# გარი ჩაფიძე



# ჩემი პაღი თვითმფრინავში


Georgian

გარი ჩაფიძე

# ჩემი ბალი თვითმფრინავში

ქ. რუსთავი
2020

კრიალოსანებივით ჩამოიმარცვლებიან წლები, თაობები შექმნიან ახალ მატიანეს, ტექნიკის განვითარების იქნება ყველა მომდევნო საუკუნე... და მაინც, ამ წიგნში მოთხრობილ ამბავს, წარსულის გადასახედიდან, უდიდესი ტექნიკური სათამაშოს ინოვაციის შესახებ, ვერაფერი ჩაანაცვლებს, ამიტომაც ამ წიგნის თითოეული ფურცელი, თავფურცელის სტილში იკითხება, მიმზიდველობით და ინტერესით.

**რედაქტორი – ლიუბოვ გვილავა**

ISBN 978-9941-8-2200-1

# ჩემი ბაღი თვითმფრინავში

...ერთი ჩემი ძველი ძველი ნაცნობი მფრინავი, ამასწინად მიყვებოდა, რომ თვითმფრინავი ცოცხალი არსების თანაზიარია, თვითონ განსაჯეო: შედიხარ ზამთარში გაყინულ რკინის ცილინდრისებრ კონსტრუქციაში, გცივა, გათოშილი თითებით წვდები სხვადასხვა ღილაკებს, პირველად შუქი ჩაირთვება... თანდათან სასიამოვნო სითბო დაისადგურებს ირგვლივ და მერე ყველაფერი გათბება... ძრავები მუშაობს, სტიუარდესები ჩვეული ღიმილით ხვდებიან მგზავრებს, რომლებიც თავიანთ ადგილებს იკავებენ და თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე დგება, ცოტაც და... ჰო, თვითმფრინავი გაცოცხლდა... ის უკვე დედამიწას თითქმის ათი კილომეტრის სიმაღლიდან დაჰყურებს და შენ, როგორც მფრინავი, გრძნობ მის რიტმულ „მაჯისცემას“, მისი თითოეული დეტალის სიმსუბუქეს...

ბავშვობაში ვინ იცის, რამდენ რამეზე ვოცნებობდით. ზოგს ექიმობა გვინდოდა, ზოგს პედაგოგობა, ბევრსაც მძღოლობა. სკოლაში, მესამე კლასში, ნათელა მასწავლებელთან თავისუფალი თემა „ვინ მინდა ვიყო“, რომ ვწერე, გაბედულად ავირჩიე მფრინავის პროფესია, მართლაც და დღემდე მიკვირს როგორ მიაფრენს ადამიანი ამ უზარმაზარ გიგანტს... ჰო, ასე იყო ბავშვობაში, მერე ზოგს გვისრულდება ჩანაფიქრი, ზოგს ვერა...

ალბათ ყველა ბავშვს უოცნებია მფრინაობაზე, აი პატარებმა, საქართველოს ქალაქ რუსთავიდან, ოცნება თითქმის აისრულეს და ისინი საბავშვო ბაღში, არც მეტი, არც ნაკლები, თვითმფრინავში დადიან!

შესაძლოა, ამ უცნაური და მსოფლიოში პირველი საბავშვო ბაღის აღმზრდელები სულაც არ გახდნენ მომავალში პილოტები ან ბორტგამცილებლები, მაგრამ მათ ოცნება ნაწილობრივ აისრულეს... და პირველი უნიკალური, განუმეორებელი შეკითხვა, ვის დაებადა იდეა, გაეხსნა მსოფლიოში ერთადერთი საბავშვო ბაღი თვითმფრინავში?

თვითმფრინავი, რომლის ბორტზე პატარებს ოცნებები უსრულდებათ, ცოტა ხნის წინ ავიაკომპანია Georgian

Airways-ის კუთვნილება იყო, ახლახანს კი ის საქართველო-უკრაინის სოციალური-ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, რუსთავის (საქართველო) აკადემიური ქალაქის დამფუძნებელმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ შეიძინა და იქ სკოლამდელი დაწესებულება გახსნა...

რა თქმა უნდა თვითმფრინავის ინტერიერი ნაწილობრივ გადაკეთებულია, აქ ძალზე ლამაზი მაგიდებია პატარების მეცადინეობებისათვის და უამრავი სათამაშოები ბავშვებისათვის... აი, პილოტების ოთახი კი, ხელუხლებელია! რა უნდა იყოს იმაზე შემეცნებითი და საინტერესო პატარებისათვის, ვიდრე თვითმფრინავის მფრინავის ნამდვილ კაბინაში ყოფნა, სადაც მოქმედი საჭე და უამრავი ღილაკია, რომელთა უმრავლესობასაც თავისი დანიშნულება ისევ აქვს... თვითმფრინავის ბორტზე ერთდროულად 25 აღსაზრდელს შეუძლია ყოფნა, იმისათვის, რომ თვითმფრინავის სალონი ბავშვებისათვის მეტად მოსახერხებელი და კომფორტული გაეხადა, პროფესორ ჩაფიძეს, რამოდენიმე თვე დასჭირდა, თუმცა შრომაც დაუფასდა“ – საბავშვო ბაღით აღფრთოვანებული დარჩნენ არა მარტო პატარები, არამედ მათი მშობლებიც... აბა, რომელ ბავშვს დაეზარება და არ მოუნდება ასეთ საბავშვო ბაღში წასვლა?

დიახ, პროფესორმა გარი ჩაფიძემ მოახერხა და რეალობად აქცია თავისი გაბედული ჩანაფიქრი! მისი თქმით, პატარებისათვის საბავშვო ბაღში ადაპტაციის პროცესი, არც თუ რთულად მიმდინარეობს, რამეთუ უცნაური დიზაინი და ყოველდღიურად ოცნებებში ყოფნის შეგრძნება პატარებს უამრავ ფსიქოლოგიურ პრობლემას გადაალახვინებს. – წერს ჟურნალი ,,kulturologia” და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეპიცენტრი რუსთავში მდებარე აკადემიური ქალაქი გახდა დიახ ეს შემდეგ, მანამდე კი... მანამდე...

– უკრაინასთან ახლო კონტაქტები მაქვს, ხშირად დავფრინავ კიევში, იმ დღესაც ოჯახით ვბრუნდებოდი თბილისში, ბორისპოლის აეროპორტიდან, ჩვენი ლაინერი, რომ აფრინდა, სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ,ჩემი

ორი წლის ვაჟი, საბა, შეუმჩნევლად წინ გაიჭრა და მფრინავის კარს გამეტებით სცემდა თავის ბუნჩულა ხელებს... რომ არავინ გამოეპასუხა, გაბრაზდა და ტირილი დაიწყო... დაიწყო და რა დაიწყო მერე... სტიუარდესები იძულებული გახდნენ პილოტის კაბინაში შეეყვანათ, იქ მოხვედრისთანავე ისეთი სიხალისე დაეუფლა, რომ თითქოს ბედნიერების მწვერვალზე იყო... იდეა მაშინ გამიჩნდა, საბასა და მისი მეგობრებისათვის ხომ შეიძლებოდა ნამდვილი თვითმფრინავი შეგვეძინა, სადაც საბავშვო ბაღს გავხსნიდი და ბავშვები მუდამ ბედნიერების მწვერვალზე იქნებოდნენ... დიახ, ეს იდეა იყო, იდეა, რომელსაც ფრთაშესხმა და ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდებოდა... ამიტომაც საქმე თვითმფრინავის მოძიებით დავიწყე, რომელიც ძალზე შრომატევადი აღმოჩნდა... მერე ერთ-ერთი ავიაკომპანიის ხელმძღვანელს ბატონ ვასილ ჯამბაზიშვილს დავუკავშირდი, რომელმაც თავის მხრივ, ორ შესანიშნავ ავიატორს ლევან ბერიძესა და დავით ჩიგოშვილს დამაკავშირა... ეს უკვე იდეის ფრთაშესხმის დასაწყისი იყო... მერე, თბილისის სახელმწიფო აერო-პორტში ახლადდამჯდარ თვითმფრინავ „იაკ-40-ზე“ მიმითითა ბატონმა ვასომ – ეს ლაინერი შეიძლება თქვენი გახდესო... პირველსავე ნახვაზე შემიყვარდა და დღესაც იგივე გრძნობითა ვარ მის მიმართ...

# ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ყველა ოფიციალურ მხარეს, ნერვიულობასთან ერთად, თავისი წარმატებებიც  გააჩნია, სახელდობრ, ის რომ, კიდევ მეტად დაფიქრდე შენი ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობასა და რეზულტატზე...

ჟურნალი – „ლეტიდორი“ – „მსოფლიოს ხუთი არაჩვეულებრივი საბავშვო ბაღი“-ს შესახებ მოგვითხრობს.

## საბავშვო ბაღი „ხაკუსუი“, ტიბა, იაპონია

თანამედროვე საბავშვო ბაღში ყველაფერი უნდა იყოს მშვენივრად, მათ შორის, შენობის დიზაინი. „ლეტიდორმა“ მოაგროვა მსოფლიოს ყველა არაჩვეულებრივი ბაღები, რომელთა შემქმნელები დარწმუნებულები არიან, რომ: „ინტერაქტიური სივრცე და არაორდინალური ინტერიერი ზრდის თავისუფალ და შემოქმედ ადამიანებს“.

საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო კონცეფციით: „საბავშვო ბაღი უნდა იყოს დიდი და ყველა ბავშვისთვის კომფორტული“.

სამშენებლო ადგილი შეირჩა ისე, რომ შენობა ორგანულად შერწყმოდა ლანდშაპტს. ბაღის გარშემო მთები და ტყეებია. სახლი ააშენეს პირდაპირ მთის ფერდობზე. მას ბევრი კიბე  და გადასასვლელი აქვს, დაყოფილია ზონებად, ყველაფერი ხის ბოძებით არის გაკეთებული. საზღვრების სიმკვეთრე არ იგრძნობა, ეს ეფექტი მიღწეულ იქნა მაღალი ფანჯრების ხარჯზე, რომელთაც დიდი მინები ჰქონდა, ასევე ინტერიერის გაფორმებაში ბუნებრივი მასალების გამოყენების დახმარებით. სასადილო ოთახი, სათამაშო ოთახები, საძინებლები, სამეცადინო კლასები, გახსნილი აივანი, ყველაფერი ეს დაეტია 530 კვადრატული მეტრის ფართობში. სამეცადინეო კლასები შეღებილია ნაირ-ნაირ ფერებით: ყვითელი, მწვანე, წითელი, ცისფერი...

სივრცის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ – 2, 3 და 5 წლის ბავშვები იმყოფებიან ერთ ოთახში და სულ ურთიერთობენ ერთმანეთთან. დიდი ბავშვები თამაშობენ, პატარებს კი, იქვე სძინავთ. ეს არის ისტორია საზღვრების

პატივისცემის, ინტერესების და რიტმის ყოველი ასაკის დიდ იაპონურ ოჯახში. საბავშვო ბაღს ერთდროულად შეუძლია მიიღოს 60 ბავშვი.

**საბავშვო ბაღი-თვითმფრინავი, რუსთავი, საქართველო**

საქართველოში, ქალაქ რუსთავში უკვე რამოდენიმე წელია მუშაობს არაჩვეულებრივი საბავშვო ბაღი, რომლის ერთ-ერთი კორპუსი განთავსებულია ნამდვილი თვითმფრინავის ბორტზე. ამ იდეის განსახორციელებლად საბავშვო ბაღის დირექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ თბილისის აეროპორტიდან ჩამოიყვანა ჩამოწერილი „იაკ-40“.

იმისათვის, რომ საჰაერო ხომალდი უვნებლად ჩამოეყვანათ ქალაქში და გაერემონტებინათ – სამი თვე დასჭირდათ. თვითმფრინავის შიგნით განათავსეს პატარა დარბაზი აქტიური თამაშებისა და მეცადინეობისთვის. პატარებს აქვთ წვდომა მფრინავის კაბინასთნ, სადაც მათ განკარგულებაშია 1500-მდე ჩამმრთველი მოწყობილობა.

თავდაპირველად ბაღი იტევდა მხოლოდ 12 აღსაზრდელს (2012 წელი), რადგან სალონის გარდა სხვა ნაგებობები არ იყო. ერთი წლის შემდეგ, დირექტორმა ააშენა დიდი კორპუსი სრულფასოვანი საბავშვო ბაღისთვის, თვითმფრინავი კი გადაიქცა ერთ-ერთ სათამაშო პოლიგონად...

გარი ჩაფიძემ ინტერვიუში გამომცემლობა Rubrika.ge განაცხადა, რომ ის დიდი ხანი ოცნებობდა გაეხსნა ასეთი ტიპის საბავშვო ბაღი, რომლიდანაც ბავშვებს სახლში წასვლა არ მოუნდებოდათ. ჩაფიძის იდეის სულისჩამდგმელი აეშენებინა ასეთი სივრცე თამაშებისა და განვითარებისათვის იყო მისი 2 წლის შვილი, საბა, ამ ეტაპისთვის ბაღი მშვენივრად ფუნქციონირებს და პრეტენზიები აქვს გახდეს ქალაქის სავიზიტო ბარათი.

**საბავშვო ბაღი-ტანსფორმერი, ტრომსო, ნორვეგია**

ქალაქ ტრომსოში საკონსტრუქტორო ბიურომ 70*N ARKITEKTUR მოიგო ტენდერი ორიგინალური ბაღის მშენებლობაზე. არქიტექტორებმა ჩაიფიქრეს მრავალფუნქციონალური სივრცე, სადაც ყველა ბავშვი თავს იგრძნობდა კომფორტულად.

გამოვიდა ძალიან კარგი! ერთ ჭერქვეშ თავსდებოდა ვრცელი დარბაზები და პატარა კომფორტული ოთახები, სადაც შესაძლებელი იყო როგორც ძილი, ასევე წიგნების კითხვა. არის რამოდენიმე სასადილო კუთხეები. შენობის ოთახები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფერებით და უკავშირდებინ ერთმანეთს გასასვლელებით, რომლებიც გვაგონებს გიგანტურ ხვრელებს დიდ ყველში, სხვათაშორის ბევრ მათგანში პატარები თავისუფლად გაძვრებიან.ზოგიერთი კედელი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შეიძლება გადაიტანო სხვა ადგილზე და ამით გააფართოო ოთახი.

კიდევ ერთი უპირატესობა ამ ბაღის – მეორე სართული აშენებულია ბავშვების პროპორციების სრული დაცვით. დაბალი ჭერი, პატარა ავეჯი, მცირე ზომის სარკმეველი, საიდანაც ბავშვები თვალს ადევნებენ ჩრდილოეთის ელვარებას.

**ყველაზე მრგვალი საბავშვო ბაღი, ტიანჯინი, ჩინეთი**

პეკინის საარქიტექტორო სტუდია SAKO-მ ააშენა ყველაზე მრგვალი საბავშვო ბაღი მსოფლიოში. აქ ვერ იპოვით მახვილ კუთხეებს. ავეჯი, ფანჯრები, კარები – ყველაფერი ექვემდებარება წრის ფორმას. თვითონ შენობა ჩიტის ფრენის სიმაღლიდან მოგაგონებთ დიდ ფუნთუშას. არქიტექტორები თვლიან, რომ გარდამავალი ხაზები ქმნიან თავისუფალ და რბილ ატმოსფეროს.

საბავშვო ბაღის ერთ-ერთი თავისებურება არის ღია გაზონიანი მოედანი, რომელიც განთავსებულია შენობის სახურავზე. არქიტექტორებმა ინტერიერის გასაფორმებლად გამოიყენეს ცისარტყელას ყველა ფერები, რომლებიც ახდენენ სასიამოვნო ეფექტს ბავშვების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებაზე.

პატარა ზომის მრგვალი ფანჯრები ქმნიან მშვენიერ სისტემას ბუნებრივი განათებისათვის, მაშინაც კი როცა გარეთ წვიმს ან თოვს.

## ბაღი-ხე, ლონდონი, ინგლისი

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში საპროექტო ბიურომ Lipton Architectს გააკეთა უჩვეულო საბავშვო ბაღი, რომელიც ბევრ ინტერიერულ ელემენტებში მოგვაგონებს ხის სტრუქტურას.

არქიტექტორების წინაშე იდგა რთული ამოცანა – ძველი შენობა, სადაც ადრე განთავსებული იყო საყოველთაო აბანო, გადაექციათ ფართო და სასიამოვნო სივრცედ ბავშვებისათვის. უნდა ითქვას რომ, დაკისრებული ვალდებულება Lipton Architects-მა შეასრულა „ფრიადზე".

პირველ და მეორე სართულებს აერთიანებს ხის ფიცრების კონსტრუქცია, რომელიც თავისი დიზაინით მოგვაგონებს ხის ფოთლებზე განშტოებებს მიკროსკოპით... პირველ სართულზე, რომელიც დიდი და მოცულობითია, იმართება აქტიური თამაშები და განვითარების მეცადინეობები. ზედა დონეზე ადის ხის კიბე, სადაც მდებარეობს ზონები ჩუმი თამაშებისა და კითხვისა. მეორე სართული გვაგონებს კეთილმოწყობილ ბუნაგს, სადაც პატარებს შეუძლიათ განმარტოვდნენ და დაისვენონ სადილის შემდეგ.

## ამ ქალაქში დღესაც ახსოვთ ეს ისტორია...

სკეპტიკოსებზე არაფერს ვამბობ, მაგრამ ჩვენი თვითმფრინავის ამბავი, რომ საზოგადოებას თავიდანვე ყურადღების მიღმა არ დარჩენია, ფაქტია, ჯერ იყო და, აეროპორტიდან ლაინერის გამოსვლას სამ საათზე მეტი ველოდეთ მე და ბატონი ვასილ ჯამბაზიშვილი მის ავტომობილში, ამიტომაც არაერთხელ მოვექეცით საგზაო-საპატრულო პოლიციის მხედველობის არეალში, ჩვენ კი სასაუბრო თემები, რომ ამოვწურეთ და გაზეთების კითხვაზე გადავედით, სწორედ მაშინ გვეახლა პატრულის თანამშრომელი, პოლიციის კაპიტანი დიდიძე, რატომ არ მოძრაობთ, სამ საათზე მეტია დგახართ, თქვენი საბუთებიო, მივაწოდეთ, – იმოძრავეთ, აქ რას უდგეხართ?!

– თვითმფრინავის გამოსვლას ველოდებით, წუთი-წუთზე აქ უნდა ჩამოიაროს!

– როგორ?

– თავისი სვლით მოდის, მას შეუძლია ასე რამოდენიმე კილომეტრი დაფაროს – პროფესიონალურად აუხსნა ბატონმა ვასომ.

– აბა ჩაბერეთ! – სპეციალური ამპულა გახსნა პატრულ-ინსპექტორმა და ისეთი თვალით გადმოგვხედა, როგორითაც „ცნობილ პილოტებს“ უცქერენ საგიჟეთში.

ამასობაში მართლაც გაიღო უზარმაზარი ჭიშკარი და ბატონი ლევანისა და დავითის მეშვეობით „იაკ-40“ მოგვიახლოვდა. დიდიძე თვალებს არ უჯერებდა, ხოლო როცა საქმის ვითარებაში გავარკვიეთ, ბოდიში მოგვიხადა და წარმატებები გვისურვა. ლაინერმა კი, გეზი რუსთავისკენ აიღო, დაღამდა კიდეც. ღამის თორმეტ საათზე შევედით რუსთავში, თან დაცვა, პოლიციისა და საპატრულო სამსახურის სპეციალური ავტოთი მოგვაცილებდნენ, – „გაატარეთ თვითმფრინავი მოდის!“ დიქტოფონში ნათქვამი ეს სიტყვები და თვითმფრინავის ისტორია დღესაც ახსოვთ რუსთავ ქალაქში. მაშინ ყველა აივნებზე გამოდიოდნენ, ფანჯრებს აღებდნენ და ამ უჩვეულო ამბის მომსწრენი ემოციებს ოვაციებით გამოხატავდნენ.

ისევ დასაწყისის გაგრძელება...

## ႷႥႤႪႠႴႤႰႨ ႭႺႬႤႡႨႧ ႨႼႷႤႡႠ

**შენ კაცის სიყოჩაღე მითხარი...**

დღეს, მრავალფეროვან საგანმანათლებლო სივრცეში. სადაც ერთნაირი დაინტერესებით გამოიცდება და იზიარებენ ევროპული, აზიური და ამერიკული განათლების სისტემის მიღწევებს, დღეს, როდესაც ქართულ სინამდვილეში ყველანაირი ტიპის განათლების ობიექტს ყველა რეგიონში ნახავთ, ალბათ, ამ მხრივ გაკვირვებას არც რუსთავი უნდა იწვევდეს, სადაც მრავალი ტრადიციული თუ ახალი ტიპის ობიექტს იხილავთ ახალგაზრდების სწავლა-განათლებას და პროფესიულ დაოსტატებას რომ ემსახურება.

გაოცების საბაბი კი მაინც გაჩნდა. საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების რუსთავის სასწავლო ცენტრის ეზოში ამ ორიოდე დღის წინათ საბჭოთა კავშირის ავიაციის მემკვიდრეობის ერთ-ერთი საპატიო პირმშო, უშველებელი და ლამაზი თვითმფრინავი „იაკ-40“ რომ... არა, არ დაშვებულა, სახმელეთო გზით შემოვიდა და საბოლოო ბინა აკადემიური ქალაქის კეთილმოწყობილ ტერიტორიაზე დაიდო.

უკრაინის საკადრო პოლიტიკის ინსტიტუტის პროფესორის, აშშ-ის ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგიური კავშირის თავმჯდომარის გარი ჩაფიძის ფანტაზიებს საზღვარი არა აქვსო, ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ რუსთაველები, როდესაც მან ნაგავსაყრელიდან სატვირთო ავტომანქანებით ტონობით ნაგავი გაზიდა და შევჩენკოს ქუჩის ნომერ 5-ში სასწავლო ცენტრის პირველი მოკრძალებული კორპუსი ააშენა. ამ ერთ სართულიან შენობაში სამი წლის წინათ 40 მოსწავლე სწავლობდა. დღეს ისინი უკვე მესამე კურსზე არიან და წელს ამ სასწავლებლის პირველი კურსდამთავრებულნი იქნებიან. მათ თვალწინ აშენდა აკადემიური ქალაქი რამდენიმე კორპუსით, ეკლესიით, ლამაზი შემოგარენით. საშუალო

ტიპის პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში ახლა 500 სტუდენტი სწავლობს 4 სპეციალობაზე, აქვე ამოქმედდა საშუალო სკოლის მესამე საფეხურიც 100 მოსწავლით...

**ეს ყველაფერი 3 წელიწადში.**

იდეა თვითფრინავის შესახებ კი მოსწავლე-მასწავლებელსაც გარი ჩაფიძის მხრიდან ხუმრობა ეგონათ.

სინამდვილეში, ერთდროულად მეოცნებე და რეალისტმა კაცმა, იმის გამო, რომ გადაწყვეტილი აქვს, აკადემიურ ქალაქში, დაწყებული ბაგა-ბაღის საფეხურიდან, დამთავრებული ბაკალავრია-მაგისტრატურა-დოქტურანტურით, ყველა საფეხურის სასწავლებელი ერთ სივრცეში გახსნას, მართლა მოიყვანა თვითმფრინავი იმ მიზნით, რომ შიგ, ანუ თვითმფრინავის სალონში გახსნას საბავშვო ბაღი. ფაქტი უპრეცედენტოა, მაგრამ უკვე დამაჯერებელი.

– 21-ე საუკუნის ბავშვები ტექნოკრატიის ეპოქაში იმგვარად უნდა იზრდებოდნენ, რომ არაფერი უკვირდეთ, ქართველი ბავშვები თავიანთი ნიჭიერებით გამორჩეულნი არიან, მათ მსოფლიოს არაცერთი მოწინავე ქვეყნის ბავშვებს არ უნდა დაუდონ ტოლი. თვითმფრინავის შიდა მოწყობილობა პულტები, ტექნიკა, 3-4-5 წლის მოზარდებს იმიტომ კი არ გვსურს შევასწავლოთ, რომ ისინი უთუოდ ავიაციის მუშაკები გახდნენ, არამედ იმიტომ, რომ პატარაობიდანვე გაითავისონ ტექნიკის ეს დონე, შეუყვარდეთ თვითმფრინავი, იოცნებონ მფრინაობაზე, იყვნენ გაბედულნი და მიზანსწრაფულნი.

...ყველაფერი ხომ ოცნებით იწყება... ამ შემთხვევაში ჩვენ ფილმ „შერეკილების" ცოცხალ დასტურს წარმოვადგენთ, მაგრამ კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ – პატარების ფანტაზიები მინდა რეალობად ვაქციო... ამ მონაყოლის შემდეგ ერთი რამ უდავოა – ჩვენს ქართულ საგანამანათლებლო სივრცეში ხვალ და ზეგ კოსმოდრომის შექმნის იდეა რომ გაუჩნდეს ვინმეს, არც ეს იქნება გასაკვირი. ქართველი კაცი უკიდეგანო ფანტაზიის პატრონია.

* * *

აკადემიურ ქალაქში ამჟამად 700-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს და 50-ზე მეტი პედაგოგი მუშაობს. სკოლაც და კოლეჯიც თანამედროვე სარეფორმო მოთხოვნათა დონეზე ყოველწლიურად საინტერესოს ხდის სწავლა-სწავლების ფორმებსა და მეთოდებს.

მართვის მკაცრმა და სწორმა მენეჯმენტმა, მაღალკვალიფიციურმა პედაგოგიურმა კადრებმა, დისციპლინამ, შემოქმედებითობამ სასწავლო პროცესში, პრაქტიკული მეცადინეობების მაღალორგანიზებულობამ რუსთავის სასწავლო ცენტრი უკვე გამოარჩია ქალაქსა და რეგიონში. აქ თბილისიდან, ახალი სამგორიდან, გარდაბნიდან, მარნეულიდანაც დადიან მოსწავლეები.

ცენტრის პედაგოგები დარეჯან იმერლიშვილი, ზეინაბ ლამაზოშვილი, კლარა მალაზონია, ლია მარტაშვილი, ქეთევან გოგია, ლალი გობეჯიშვილი, ქეთევან ციკარაშვილი, ქეთევან ხარაბაძე, ნათია პატარიძე, სალომე აჯიაშვილი, ნინო გეგეშიძე, აკაკი რეხვიაშვილი, ნინო კაკიაშვილი, დავით ბერიძე ძირითადად რუსთაველები და თბილისელები არიან, მაღალი სამეცნიერო ცენზით და დიდი პედაგოგიური გამოცდილებით. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლე და მასწავლებელი ერთნაირად ებმებიან სამეცნიერო-შემოქმედებით პროცესებში — ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, იმართება ადგილობრივი, საქალაქო და ზონალური დათვალიერებები, შეხვედრა და მოსმენა, რაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას ისახავს მიზნად.

კოლეჯსა და სკოლაში უამრავი სხვა სახის საინტერესო და სახალისო სამუშაოც ტარდება.

სასწავლო პროცესის ორგანიზებას სანიმუშოდ ართმევდა თავს მეთოდ-კაბინეტის გამგე თამუნა გოცაძე, რომელიც ახლახანს თამილა მღვდლიაშვილმა ჩაანაცვლა, ხოლო თამუნა ბარბაქაძე და თამუნა თარიმანაშვილი კი ის ახალგაზრდა კადრები არიან, რომლებიც კოლეჯს თეატრალურ სტუდიას ხელმძღვანელობენ და ერთთავად ხალისით მუშაობენ სტუდენტებთან, ამ ობიექტის შესა-

ნიშნავი დიასახლის-მზარეულია მზია ღამბარაშვილი, ყველა პედაგოგის, სტუდენტისა და მოსწავლისათვის საყვარელი პიროვნება.

ობიექტი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ყოველმხრივ დამუშავებული ბიბლიოთეკით, სხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით, აქვეა სტუდენტ-თა პრაქტიკისათვის აფთიაქი, მასაჟის კაბინეტი, თეატ-რალური დარბაზი, სააქტო დარბაზი – კონფერენციე-ბისა და შეხვედრებისთვის, სულ ახლახან აქვე დაიდო ბინა იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმმა.

ამ სასიქადულო მამულიშვილის სახელობის საქართ-ველოს პედაგოგიური კაავშირის გამგეობამ ერთი წლის წინათ სწორედ პროფესორი გარი ჩაფიძე აირჩია კავში-რის გამგეობის თავმჯდომარედ განათლების სისტემაში გაწეული ხანგრძლივი, ნაყოფიერი და ეროვნული საქმია-ნობისათვის.

პედაგოგიური კავშირის გამგეობას განზრახული აქვს ფართომასშტაბიანი საქმიანობა გოგებაშვილის მემკვიდ-რეობის გასაფრთხილებლად, შესასწავლად და მოსავ-ლელად.

აზა ბუაძე, კავშირის თავმჯდომარის მოადგილე: – იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნის იდეა რუსთავში გარი ჩაფიძეს ეკუთვნის. მან თავისივე სასწავლებელში აკადემიურ ქალაქში გამოუნახა ადგილი იმ ქართველს, რომლის სახელს დავიწყება არ უწერია, ამიერიდან პატა-რებს საშუალება ექნებათ „დედა ენის“ ავტორის ბიოგრა-ფიას ამ მუზეუმში გაეცნონ.

სასწავლო ცენტრში შარშან მესამე საფეხურის სკოლაც გაიხსნა, აქ დირექტორის, პროფესორი გარი ჩაფიძის მოადგილედ როზა გულისაბედაშვილის, 38 წლიანი პე-დაგოგიური გაოცდილებით, განათლების სისტემის წარ-ჩინებული კადრის დამსახურებაა ის, რომ ამ სკოლამ, ქალაქის საჯარო სკოლებიდან მოსწავლეთა საუკეთესო კონტინგენტი მოიზიდა. დანერგილია სიახლეებიც, ის-წავლება ახალი საგნები, კერძოდ, მოზარდის-პიროვნების ზრდა და ზოგადი უნარები – როგორც ცალკე სასწავლო

საგანი. მომავალი სასწავლო წლიდან განზრახულია არჩევით საგნებად – ხაზვისა და ხელოვნების ისტორიის სწავლება.

მაკა ხატიაშვილი, თამარ გოგალაძე, ხათუნა შიუკაშვილი, ირმა არჩვაძე, მერი ფრიდონაშვილი, ნინელი ბერუაშვილი, მადონა სვანიძე, ნინო გრემელაშვილი, რომან თევზაძე, შორენა კოპალეიშვილი სწავლების ინოვაციებით, კლასგარეშე ღონისძიებებითა და ინდივიდუალური დამატებითი მუშაობით, სემესტრიდან-სემესტრამდე აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებს.

ბიბლიოთეკის გამგე ლილი აბრამიშვილი სკოლასა და კოლეჯში დღეს ყველაზე ცნობილი სახეა თავისი პროფესიონალიზმით და ინტელექტით.

სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა შარშან თავი ისახელა საერთაშორისო ახალგაზრდულ თეატრალურ ფესტივალში რომელიც ყოველწლიურად ტარდება უკრაინაში. რუსთავის სასწავლო ცენტრის სტუდენტმა მსახიობებმა დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ დნეპროძერჟინსკში კომედიური ჟანრის ორმოქმედიანი პიესა „კინტო და ბუტიაობა“ წარუდგინეს მაყურებელს და სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდნენ. მთავარი როლი ამ სპექტაკლში თავად ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა გარი ჩაფიძემ ითამაშა, თანაც ისე, რომერთ-ერთ ნომინაციაში ჯილდო მიიღო.

მეცნიერი, რექტორი, პროფესორი სცენაზე და მთავარ როლში – ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდული მსოფლმხედველობა და გატაცებები თავის საკუთრებად აქციოს, იცხოვროს იმათი ინტერესებით, ვისთვისაც ჰქმნის და აშენებს, გაითავისოს ის პრობლემები და წინააღმდეგობები, რაც უნდა დაიძლიოს თაობათა კავშირით და ყველაზე მთავარი – სასწავლებელში მოსულ ახალგაზრდებს შეაყვაროს ეროვნული ღირებულებები.

დღეს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ცენტრები შექმნილია ლაგოდეხში, გურჯაანში, საგარეჯოში, თელავში, ახმეტაში, ანაკლიაში, ოზურგეთში,

ზუგდიდში, ახალციხეში, ჭიათურაში, ტყიბულში, თერ-ჯოლაში, თეთრწყაროში, ბოლნისში, დმანისში, ქუთაისში, წალკაში, თბილისში სტუდენტთა მაღალი კონტინგენტითა და ენერგიული ხელმძღვანელებით. დაგეგმილია ასეთი ცენტრების გახსნა დედოფლისწყაროში, წნორში, სიღნაღ-ში, პანკისის ხეობის ქართულ სოფლებში და წეროვანში, ლტოლვილი ახალგაზრდებისათვის – უფასოდ, რაც ერთ მიზანს ისახავს: ცხრაკლასდამთავრებული და საჯარო სკოლის ის კურსდამთავრებულები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ვერ ახერხებენ მრავალ მიზეზთა გამო, ისინი საშუალო ტიპის სასწავლებელში პროფესიას ისე დაეუფლონ, რომ სხვადასხვა სფეროში საქმიანობა შეძლონ. კურსდამთავრებულებს ეძლევათ სპეციალური სერთიფიკატები და შეუძლიათ მუშაობის დაწყება შესაბამისი პროფილის დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ერთმა ნაწილმა უკვე დაიწყო მუშაობა საავადმყოფოებსა და აფთიაქებში.

ცალკე და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ასეთივე ტიპის თბილისის სასწავლო ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის, ერთდროულად საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების გამგის ნაზიბროლა კაპანაძის შესახებ. ამ ქალბატონის ბიოგრაფია უშუალოდ და ბოლო წლებში ამ ახალი ტიპის სასწავლებლის ბიოგრაფიის თანმდევია.

და კიდევ ერთი სიახლე: წელს რუსთავის სასწავლო ცენტრმა თავის ჭერქვეშ ადგილი მოუნახა სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული ბავშვების 20-წევ-რიან ჯგუფს, „კოლორიტი 1991“-ის ფარგლებში.

დიახ, დღეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აღარავის არაფერი უკვირს. მით უმეტეს მათ, ვინც გა-რი ჩაფიძეს და მის საგანმანათლებლო სისტემას იცნობს. მეოცნებე კაცი დედამიწაზე მყარად დგას და ყველა ჩანაფიქრს წარმატებით ასრულებს.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2012 წლის 5 აპრი-ლი. მილიონობით გამოხმაურება მსოფლიოს ყველა კუთხიდან... მსოფლიო მედიის ყურადღება და იდეის საერთაშორისო აღიარება...

# ძველი „იაკი“-ს ახალი ისტორია

ბოლო დროს SNN, RENTV, NTV, REITER, ტელეკომპანია MIR ჟურნალისტებმა მოუხშირეს სტუმრობას რუსთავში... მიზეზი ცნობილია: ქალაქში გამოჩნდა, უცნაური საბავშვო ბაღი – თვითმფრინავში. ბუნებრივია, „Комсомольская правда“ ვერ აუვლიდა გვერდს ამ მოვლენას და ნოემბრის ერთ-ერთ სუსხიან ამინდში გადავწყვიტე თვითონ გადამემოწმებინა ინფორმაცია, რომელიც მოდებული იყო მსოფლიო ინტერნეტ სივრცეში.

ბევრი რომ არ მეძებნა, ჯერ კიდევ თბილისში გადავამოწმე ბაღის და მისი დამფუძნებლის – პროფესორ გარი ჩაფიძის მისამართი. მაგრამ აღმოჩნდა რომ ტყუილად გავისარჯე, რუსთავში ნებისმიერი გამვლელი გეტყვით, როგორ უნდა მიხვიდეთ საბავშვო ბაღ-თვითმფრინავში. ის განლაგებულია აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე – შევჩენკოს ქუჩაზე.

ბაღის თანამშრომლებს გამოუმუშავდათ რეფლექსი – დაიღუნონ თვითმფრინავის ფრთების ქვეშ გავლისას და მეც გამაფრთხილეს. ტრაპი თვითმფრინავში კუდის ქვეშაა იქიდან მე მოვხვდი თვითმფრინავის სალონში, მაგ დროს ბორტზე იმყოფებოდა სამი ზრდასრული და თხუთმეტი აღსაზრდელი. მე ვათვალიერებდი გიგანტურ მანქანას, ბავშვები კი... ბაღის დირექტორის მაკა სამხარაძისგან რომ გაიგეს ნაცნობი სიტყვა ჟურნალისტი, აუღელვებლად დაუბრუნდნენ თავიანთ საქმეს.

ყველაზე მოთხოვნადი ადგილი თვითმფრინავში პილოტის კაბინაა. იქ განთავსებულია 1500-მდე სხვადასხვა სახის ღილაკი. ზოგიერთი პასუხისმგებელია ხმოვანი სიგნალისთვის, ზოგი პასუხს აგებს განათებაზე. არის სამი ღილაკი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს თვითმფრინავის კუდი. პატარა ონავრები საქმის კურსში არიან, ყველაფერი გამოიკვლიეს და გაერკვნენ ამ უზარმაზარი სათამაშოს ფუნქციონირებაში, ადმინისტრაციამ თვითმფრინავის დასაჯდომ სკამებს დემონტაჟი გაუკეთა, მათ მაგივრად მარჯვენა მხარეს განთავსებულია მაგიდების რიგი,

იატაკზე დაგებულია ლამინატი. არის ტელევიზორი, დივიდი მულტფილმებისა და კარაოკესათვის. რამოდენიმე სატელეფონო ყურმილი ადგილობრივი კავშირისათვის, ბავშვებს უყვართ დედასთან „დარეკვა“. ბავშვების ნივთებისთვის განთავსებულია კარადები. გააფართოვეს საპირფარეშო. ორი ილუმინატორი იღება სალონის გასანიავებლად. სალონში თბილა, მუშაობს კონდიციონერი.

თვითმფრინავის ტრანსპორტირებისთვის თბილისიდან რუსთავში იძულებული გახდნენ მოეჭრათ მისთვის ფრთები და კუდი (რომ არ შეექმნა პრობლემა ტრასაზე და არ დაეზიანებინა დაბალი ხიდები). დანიშნულების ადგილზე კუდი და ფრთები ისევ მიამაგრეს. საინტერესო ფაქტია, რომ ყიდვის მომენტში საფრენი აპარატი არ იყო ჩამოწერილი და იმყოფებოდა მუშა მდგომარეობაში. ეს უმნიშვნელო დეტალია, მთავარია, რომ ადგილზე ყველაფერი რიგზეა.

იაკ-40 გამოშვებულია 1975 წელს და შეუძლია დაიტიოს 38 მგზავრი. ის გამართულად დაფინავდა 20 წლის მანძილზე. ასევე, ცნობილია მისი ბოლო მარშრუტი კიევი-დნეპროპეტროვსკი-თბილისი. ეს ბედნიერი თვითმფრინავია, მის ბიოგრაფიაში არ ყოფილა ექსტრემალური სიტუაციები (შასის არ ჩამოშვება, ცეცხლი ბორტზე). ამის მოწმეა შავი ყუთი, რომელიც ყიდვის მომენტში გაიხსნა და პენსიაზე იაკი გავიდა ლამაზად: მაშინ როდესაც ზოგიერთი თვითმფრინავი მიდის ჯართში, ეს ემსახურება ვიპ მგზავრებს – ბავშვებს. საჰაერო ექსპლუატაციის ვადა 20-25 წელია, აქ კი რამოდენიმე თაობა გაიზრდება.

საბავშვო ბაღი მუშაობს 08:00 – 20: 00-მდე. აღმზრდელი როზა ქათამაძე ამბობს: ბავშვებს 8 საათზეც არ უნდათ წასვლა. აქ სწავლობენ ინგლისურს, რუსულს, მუსიკას, ხელოვნებას, პროგრამაში ბევრია შემოქმედებითი და განვითარებითი თამაშები. სადილზე ბავშვები მიყავთ კაფეში (კვება აქ ოთხჯერადია), რომელიც განთავსებულია აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე, ძილისათვის არის სპეციალური ფლიგელი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უნდა გავფართოვდეთ, ამიტომაც შენდება ორსართულიანი

შენობა. 50 ბავშვი ეს არის ის მაქსიმუმი რომელსაც საბავშვო ბაღი მომავალში შეძლებს რომ მიიღოს. რუსთავში 20-ზე მეტი სკოლამდელი სახელმწიფო დაწესებულებაა (ადრე იყო 44). მშობლებს სურვილი აქვთ მოიყვანონ საკუთარი ბავშვები აქ და გაიღონ ამისათვის გარკვეული თანხა.

მოუთმენლად ველი შეხვედრას ამ იდეის ავტორთან – პროფესორ გარი ჩაფიძესთან ავდივარ ოფისში. ინტერნეტის ინფორმაცია ბოლოდე სიმართლე არ აღმოჩნდა. ის არ არის ყოფილი მფრინავი, ის არის მეცნიერი და მწერალი! ის არის საქართველოს პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი. ოდნავ გადასცდა 40-ს! ცხოვრობს თბილისში და არა რუსთავში, როგორც იუწყებოდა „პაუტინა" და ყოველ დღე დადის თავის აკადემიურ ქალაქში. საბავშვო ბაღის დირექტორს ძალიან გაუხარდა, როდესაც გაიგო რომელი გაზეთის წარმომადგენელი ვიყავი „ძალიან მიყვარს „Комсомолька", ვიწერდი როცა ვსწავლობდი სკოლაში, ახლაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობ – ბავშვობის და ახალგაზრდობის ნოსტალგია".

მომიყვა როგორ გაჩნდა საბავშვო ბაღის იდეა. კიევიდან მოვფრინავდით თბილისში მთელი ოჯახით, ორი წლის საბა მოუსვენარი ბიჭი იყო და ადგილზე არ ჩერდებოდა, ცდილობდა შეეღწია პილოტების კაბინაში. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს ის იქ შეუშვეს – აჩვენეს მოწყობილობა და საჭე. ამ დროს გარი ჩაფიძე ჩაფიქრდა, სხვა ბავშვებსაც ხომ აქვთ ამისკენ მისწრაფება და ინტერესი?! განსაკუთრებით დღევანდელ თაობას, რომელთაც პედაგოგიკა მოიხსენიებს როგორც „ინდიგო". დაბადებას ვერ ასწრებენ და უკვე ტექნიკასთან შენობით არიან. ზოგმა ზრდასრულმა ადამიანმა არ იცის კომპიუტერზე იმდენი, რამდენიც 6 წლის ბავშვმა.

შესყიდვის ფასი გასაიდუმლოებულია. მაგრამ რადგანაც თვითმფრინავი საგანმანათლებლო მიზნებისათვის იყო განკუთვნილი ის გაყიდეს შედარებით იაფად. ახალი ბაღი უკვე დარეგისტრირებულია საერთაშორისო პატენტთა

ბიუროში. ესაა მსოფლიოში პირველი პრეცედენტი, არსად თვითმფრინავი საბავშვო ბაღად არ გადაკეთებულა.

გარი ჩაფიძე – მომხრეა სწავლების ინოვაციური მეთოდებისა, მომხრეა თავისუფლებისა და დემოკრატიისა. მის ბაღში არ არის აკრძალული სათამაშოების გატეხვა. გარი ჩაფიძე ამბობს, რომ ამ დროს ბავშვი ეცნობა სათამაშოს. ბავშვისთვის სათამაშოს გატეხვა ნიშნავს გამოკვლევას. უნდა მისცე მას ამის საშუალება.

იხსენებს შემთხვევას, რომელიც მოხდა ტოკიოში მგზავრობისას.

– გავდივარ ერთ-ერთი მაღაზიის წინ და ვხედავ ვიტრინაში ბავშვები როგორ ამტვრევენ სათამაშოებს, იქვე, გვერდით, დგას მაღალი კაცი და კმაყოფილებით იღიმება... მე ვერ გავუძელი ამდენი სათამაშოს განადგურების მშვიდად ცქერას და მივმართე იაპონელ მამაკაცს, მომისმინეთ, პატივცემულო უნდა დავუძახოთ ამ მაღაზიის დირექტორს, ისინი მლე ყველაფერს დაამტვრევენ, მე ვარ დირექტორი, – მშვიდად მიპასუხა მამაკაცმა, მერედა რა გაღიმებთ, ცუდადაა თქვენი საქმე, – „არა, თქვენ ცდებით, ისინი ჩემს მაღაზიას არასდროს დაივიწყებენ. შემდეგში აქ აუცილებლად დაბრუნდებიან მშობლებთან ერთად და იყიდიან 2-ჯერ მეტ სათამაშოს ვიდრე გატეხეს. ეს პირველი შემთხვევა არ არის“. – მომიგო გამგე-დირექტორმა.

მათთან იაპონიაში ხომ 6 წლამდე ბავშვებს არ ეუბნებიან სიტყვას არა, მათ არაფერს უკრძალავენ და მე მივდივარ დასკვნამდე რომ ეს სწორი მეთოდიკაა.

გარი ჩაფიძის შვილი საბა დადის ბაღში, რომელიც დააფუძნა მისმა მამამ. მას ისევე როგორც ბაღის სხვა აღსაზრდელებს, არასდროს შეაწუხებს შიში ავია-გადაფრენის წინ. აი თქვენ ხერხი ფობიის წინააღმდეგ. საბავშვო ბაღის პედაგოგი როზა ქათამაძე აღირებს: „მთელი ცხოვრება თვითმფრინავით მგზავრობის მეშინოდა, ახლა კი მზად ვარ სადაც გინდათ იქ გავფრინდე“. სექტემბერ-ოქტომბერში როდესაც ჯერ კიდევ თბილი ამინდები იყო ბაღის აღმზრდელები სტიუარდესის ფორმით დადიოდნენ, რომლებიც საჩუქრად კომპანია „აირზენასგან“ მიიღეს.

ბავშვებს წარმოდგენა აქვთ რომ მიფრინავენ პარიზში ან მოსკოვში. 5 წლის ბიჭმა, სახელად არსენმა გაგვანდო კონფიდენციალური ინფორმაცია (ყურში ჩურჩული): „ჩემი მამა მალე მიყიდის ნამდვილ ტანკს!“, აი ასე! გაიგეთ?! რამდენი კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობებია, კრეატიული იდეები.

სამი წლის წინ აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე იყო ნაგავსაყრელი. რუსთაველებს ეშინოდათ ამ ქუჩაზე საღამოს გავლა. ვიდრე დაიწყებოდა მშენებლობა, მოგვიწია 300 მანქანა ნაგავი გაგვეტანა. ამჟამად 2100 კვადრატულ მეტრზე განთავსებულია რამდენიმე შენობა-ნაგებობა: ბაღი, სკოლა, კოლეჯი, რედაქცია და გამომცემლობა, აფთიაქი, ეკლესია...

შიდა, ულამაზეს ეზოში ხუთი ძეგლია: შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძისა და ტარას შევჩენკოსი. აკადემიური ქალაქი ჩამოყალიბდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ეგიდით. გარი ჩაფიძე ამბობს (და აქ მხოლოდ ხუმრობის მცირე ნაწილია) მათთან შეიძლება მისვლა 2 წლის ასაკში და გასვლა 25 წლისა. გაიარო განათლების ყველა საფეხური ბაგა-ბაღიდან – დოქტურანტურის ჩათვლით.

ამ სკოლაში სწავლობენ საინტერესო საგნებს. მაგალითად, უფროსი კლასების პროგრამაში შეტანილია „პიროვნული ზრდა“ (ამ საგანს ეთმობა 1 საათი კვირაში), „პერსონალის მართვა“, „ურთიერთობების ფსიქოლოგია“...

კოლეჯი თავაზობს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. აქ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივია, აღნიშნავს პროფესორი გარი ჩაფიძე. ხშირად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები. კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალი აკადემიის ბაზაზე გახსნილია ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა, რა თქმა უნდა, დაუსწრებელი განყოფილება, სტუდენტებისთვის ტარდება კონფერენციები. ამ წელს, კოლეჯმა მიიღო ევროაკრედიტაცია და კურსდამთავრებულები მიიღებენ სამენოვან დიპლომს (ქართული, უკრაინული, ინგლისური). გამომცემლობა უშვებს გაზეთს „კადემიური ქალაქი“ და

„ჩემი საქართველო“, რომელიც ურიგდებათ სტუდენტებს და იყიდება ჯიხურებში.

ახალი პროექტების ჩამონათვალშია ინტერნეტ-ტელევიზია. საგანმანათლებლო პროექტში — იმიტირებული ბანკი. მომავალი ოპერატორები ისწავლიან იმას, როგორ მოემსახურონ მომხმარებელს. არის აზრი გაიხსნას „აკადემ ფარმი“ — მოაგროვო, დააფასოო და რეალიზაცია გაუწიო სამკურნალო მცენარეებს.

ერთი სიტყვით, გარი ჩაფიძე — მრავალმხრივ განვითარებული ადამიანია და მისი ინტერესები სცილდება ავიაციას... და მაინც იგი დაკავშირებულია თვითმფრინავთან — ავიაგადაფრენების დიდი რაოდენობით. გარი ჩაფიძე ორ თვეს ატარებს კიევში, კითხულობს ლექციებს „პერსონალთა მართვის რეგიონალურ“ აკადემიაში. ასევე ჩადის ინგლისსა და ამერიკაში (ის არის ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი. ამის გარდა მის სახელს ატარებს ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტი). სწავლობდა მოსკოვში, ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მსახურობდა ქალაქ კიევში. სხვადასხვა წლებში ცხოვრობდა ჩელიაბინსკში, მაგნიტოგორსკში. ის არის ავტორი 80-ზე მეტი მხატვრული და 70-მდე სამეცნიერო ნაშრომისა. კვლევის თემები სხვადასხვაა: პედაგოგიკის ისტორია, ფსიქოლოგია და მოზარდების აზროვნების ფილოსფია, პოლიტოლოგია და მსოფლიოს გარდაქმნის ახალი მოდელი, პოლიტიკა და პირონება, მედიცინა და ბიოეთიკა, ჟურნალისტიკა და პიარი... შეადგინა ქართუ-უკრაინული ლექსიკონი (ახლახან გამოიცა), ქართულ-ბელორუსული და ქართულ-პოლონური ლექსიკონი. ქართულ-უკრაინული ლექსიკონის სამტომეული ბატონმა გარი ჩაფიძემ სამახსოვროდ გადმომცა და ერთ-ერთი მისი ბოლო წიგნი — „ნანატრი გაზაფხული დადგა“. საღამოს მასთან აპირებდა მისვლას ტელეკომპანია „ქვემო ქართლი“, მაგ დროს „VIP მგზავრებს“ ჰქონდათ „გეგმიური დაჯდომა“, რომ გადავიყვანოთ პროზაულ ენაზე — სადილი. მე წინ მელოდა დიდი გზა, მაგრამ უკვე ვიცოდი რით დავკავდებოდი გზაში — გარი ჩაფიძის ახალი რომანით...

**მედეა ამირხანოვა**

## „ბერიოზკა“ დაბა ბელოკურაკინო: ინნა დროგოდაილო (ვიზმა)

**მსოფლიოს საბავშვო ბაღები.**

ძალიან ხშირად შეიძლება მოისმინო ნეგატიური გამოთქმები საბავშვო ბაღების შესახებ და ბევრად ნაკლები ახასიათებეს მას დადებითად. ეხლანდელი მშობლები ნაკითხი და ერუდირებულები არიან, ბევრი რამე იციან ადრეული განვითარების შესახებ, დაყავთ ბავშვები საბავშვო ცენტრებში და მათ არ აწყობთ აღზრდის მოძველებული სისტემა. სამწუხაროდ სსრკ-ს დროიდან თითქმის არაფერი შეცვლილა – ისეთივე ავტორიტარიზმი. ჯგუფებში ბევრი ბავშვია, უვარგისი კვება. კერძო საბავშვო ბაღები ერთი საფეხურით მაღლა დგანან, მაგრამ ყველას როდი მიუწვდება ხელი. რა ხდება ამ მხვრივ საზღვარგარეთ? რა სიტუაციაა იქ?

აშშ-ში მშობლები ცდილობენ აღზარდონ ბავშვები სახლში საბავშვო ბაღების გარეშე. საბავშვო ბაღები პოპულარულია მხოლოდ მუშათა კლასის ოჯახებში. ბაღები დიდი რაოდენობით არის სხვადასხვა გემოვნების და ადგილის პოვნა ადვილია. ყველა ბაღი სპეციალიზებულია ერთ რაღაცაზე: ზოგი ბაღი ანვითარებს მხატვრულ ნიჭს, სხვები უპირატესობას ინტელექტუალურ განვითარებას ანიჭებენ. არის ბაღები რომლებიც მხოლოდ მულტიპლიკაციურ ფილმებს აჩვენებენ. საბავშვო ბაღი 1000 დოლარი უჯდებათ. ყველა ბაღებისთვის მოქმედებს ერთი წესი: ერთი პედაგოგი დაკავებულია 2,6-5 წლამდე ბავშვებთან, მათი რიცხვი არ აღემატება ხუთს, ხოლო ბაგა-ბაღში ერთ პედაგოგზე მხოლოდ ორი ბავშვია დაშვებული.

იაპონიაში ძნელია საბავშვო ბაღში მოხვედრა, ადგილების განაწილება მერიის დაქვემდებარებაშია. გადასახადი ერთსა და იგივე მომსახურებაზე განსხვავებულია და დამოკიდებულია ოჯახის შემოსავალზე. ფასები მერყეობს 20 დოლარიდან 400 დოლარამდე, ზოგჯერ შეიძლება უფრო მაღალი იყოს. 3 წელზე ზევით ბავშვები უკვე იწყებენ მეცადინეობას ცეკვებში და სპორტში. უკრავენ მუსიკალურ

ინსტრუმენტებზე. მათ ბაღში არ აქვთ სათამაშოები და იქ არ იძინებენ. ბავშვები ორ საათზე მიყავთ სახლებში. გახანგრძლივებული მომსახურეობა დამატებითი ფასით განისაზღვრება. სადილს ბავშვებს არ უმზადებენ, ის მათ თან მოაქვთ. რაც შეეხება კოლექტივს, აქ არ არსებობს პირველობა და თუ ბავშვი ავლენს თავის ლიდერულ თვისებებს, მას უხსნიან, რომ ის არაფრით არ განსხვავდება სხვებისგან.

გერმანიაში ბაღში ბავშვებს ღებულობენ სამ წლამდე. ფასი მერყეობს თვეში 60 ევროდან 400 ევრომდე. აქ ძირითადად შერეული ჯგუფებია და ითვლება, რომ ეს კარგია, რადგან უფროსები სწავლობენ პატარებზე ზრუნვას, პატარები კი ბაძავენ უფროსებს. ხშირად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები დადიან ჩვეულებრივ ბაღში, რომ არ იგრძნონ თავისი ნაკლოვანებები, ხოლო მათმა თანატოლებმა ისწავლონ ტოლერანტობა და თანაგრძნობა. სკოლისთვის მზადეის პროცესი, როგორც ასეთი, არ არსებობს.

საფრანგეთში საბავშვო ბაღებში არდადეგები – წელიწადში არის ოთხჯერ. ოთხშაბათობით კი მათ დასვენების დღე აქვთ. ასეთ დღეებში ბავშვებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა სახის წრეებში. ბავშვები იძინებენ იმავე ტანსაცმელში რომელშიაც სეირნობენ. საუზმე რძით და ორცხობილით აკრძალულია, რადგან ეს იწვევს გასუქებას. გადასახადი-წელიწადში 1000 ევროა.

ჩინეთში ბაღის გადასახადი 80-დან 320 დოლარამდეა თვეში. განრიგი ჩვენსას წააგავს. სასწავლო დატვირთვა დიდია, ბავშვები სამი წლიდან სწავლობენ წერას და თვლას. ბავშვები ცოტას მოძრაობენ, დიდხანს ზიან მაგიდასთან და თამაშობენ სამაგიდო თამაშებს.

შვედეთის ბაღების განსხვავება – ბავშვები დიდ დროს ატარებენ გარეთ. დასვრილი ბავშვი – ბედნიერი ბავშვი, თვლიან შვედეთში. ყველა ბავშვს აქვს სპეციალური ტანსაცმელი, რათა დაჯდეს მიწაზე, ითამაშოს ქვიშაში, იჭყუმპალაოს წყალში. აქ არის ბაღები სადაც ბავშვებს სძინავთ გარეთ საძილე ტომრებში. ბავშვები რომლებიც ასეთ ბაღებში დადიან ნაკლებად ავადმყოფობენ. შვედე-

ბი პატარაობიდანვე იწყებენ მზრუნველობას ბუნებაზე. უცხო ქვეყნის ბავშვებისთვის იყვანენ აღმზრდელ – რეპეტიტორებს. აქ არ აქცევენ ყურადღებას რომელი სქესისაა ბავშვი. შვედეთში არ არის მიღებული ბევრი სწავლა, აქ მიღებულია ბევრი სეირნობა, რომ ბავშვებს, ბავშვობა არ წაართვან.

თურქეთში დიდ ყურადღებას უთმობენ ბარათების დამზადებას,საქმიანობას, სწავლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, ბავშვებს არ ასწავლიან თვლას და განათლებას. საკვები მოაქვთ მშობლებს.

ეგვიპტეში გგუფში 40 და მეტი ბავშვია. რაოდენობაზე შეზღუდვები არ არის. ყოველ დილით ბავშვები მღერიან ქვეყნის ჰიმნს. აღმზრდელი მხოლოდ ერთია. საბავშვო ბაღში სათამაშოები არ არის, ბავშვებს თავიანთი მოაქვთ. კვების პროდუქტებსაც სახლიდან ეზიდებიან.

საბავშვო ბაღი 60 ლოგინით და საბავშვო ოთახი 20 საწოლით განთავსებულია ქალაქ ბულონ-ბეიანკურში, პარიზის გარეუბანში. არქიტექტორის მიზანი იყო გაელვიძებინა ქალაქის პეიზაჟი ბავშვების წარმოსახვის დახმარებით, შედეგად წარმოიშვა არაჩვეულებრივი ნაგებობა, თითქოს გამაგრებულია ცხოველებით: ყვითელი ჟირაფით, რომელიც თითქოს ჭამს ფოთლებს მეზობელი ხეებიდან, თეთრი დათვით და ჭიამაიების ოჯახის ხროვით.

***

საბავშვო ბაღის დამფუძნებელმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე დადგა თვითმფრინავი „იაკ 42“ და იყენებს სალონს აღსაზრდელთა კლასად, ქართველი ბავშვებისთვის ქალაქ რუსთავში.

საოცარი საბავშვო ბაღი კატის ფორმისა გამოჩნდა ქალაქ კარლსრუეში 2013 წელს. შენობა აგებულია ისე რომ, კატა ეს-ესაა თავს დაესხმევა გამვლელებს. ცხოველის პირი ასრულებს შენობაში მთავარი შესასვლელის ფუნქციას, ხოლო კატის დიდი თვალები გახდნენ ფანჯრები, კატის კუდი ასრულებს სასრიალოს ფუნქციას. საბავშვო ბაღში არის სასწავლო კლასი, სათამაშო ოთახი, სამზარეულო, სასადილო და გასახდელი.

## საქართველოში საბავშვო ბაღი გაიხსნა უნიკალურ ადგილას.

**კიევი რია ნოვოსტი (რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო) უკრაინა.**

საქართველოს ქალაქ რუსთავში ძველი თვითმფრინავის „იაკ-40"-ის სალონში გაიხსნა საბავშვო ბაღი.

ამის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას თავის facebook გვერდზე საზოგადოება „გაალე საქართველო".

ქალაქ რუსთავში ადამიანს რომლის სახელი და გვარია გარი ჩაფიძე თავში აზრად მოუვიდა მშვენიერი იდეა: გადაექცია თვითმფრინავის ფუზელაჟი „იაკ-40"-ის ...საბავშვო ბაღად! როგორც ის ამბობს, მისი მიზანი იყო ბავშვებისათვის შეექმნა გასართობი ატმოსფერო სწავლების დროს. მფრინავის კაბინაში განთავსებულია 1500 მეტი ღილაკი, რომლებზე ბავშვებს უფლება აქვთ თითი დააჭირონ გარესამყაროს შესწავლის პროცესში – ვგებულობთ შეტყობინებიდან.

**სამყაროს გარშემო. ცხოვრების არეალი.**
**საბავშვო ბაღი „იაკ-40"-ის ბორტზე.**

პატარაობისას ყველა ბიჭები ოცნებობს კოსმონავტობაზე, გოგოებს – თავი მსახიობებად და მომღერლებად ესახებათ. აი, ბავშვებს კი, რომლებიც ყველაზე არაჩვეულებრივ ბაღში დადიან მსოფლიოში, ქართულ ქალაქ რუსთავში, ყველა, როგორც ერთი, ოცნებობს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე დაუკავშიროს ცას: აქ ყველა მომავალი პილოტი ან ბორტგამცილებელია. რატომ არის ეს ასე? გარი ჩაფიძემ მოაწყო უნიკალური საბავშვო ბაღი... თვითმფრინავის „იაკ-40"-ის ბორტზე.

ერთდროულად თვითმფრინავში შეიძლება იმყოფებოდეს 15 აღსაზრდელი, ღილაკების გარდა პანელზე შენარჩუნებულია სხვადასხვა სახის ბერკეტები და გადამრთველები, რომელიც ანვითარებს ბავშვებში მცი-რე მოტორიკას. იმისათვის რომ, პროფესორ გარი ჩაფი-ძეს მთლიანად აღეჭურვა თვითმფრინავი დასჭირდა რამო-

დენიმე თვე, თუმცა მისი შრომა არ იყო ფუჭი: საბავშ-ვო ბაღით კმაყოფილი არიან, როგორც ბავშვები, ასევე მათი მშობლები.

გარი ჩაფიძე მოხარულია, რამეთუ შეძლო განეხორ-ციელებინა თავისი თამამი ჩანაფიქრი. ის აღნიშნავს, რომ ადაპტაციის პერიოდი ახალ ჯგუფთან ბავშვებში მიმდინარეობს ძალიან რთულად, თუმცა უჩვეულო დი-ზაინი და ის ატმოსფერო, რომელიც აქ სუფევს დაეხმა-რება ბავშვებს გადალახონ ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემა.

საიტზე „Култyрология.ру. ჩვენ არაერთხელ მოგვითხ-რობია, თუ რა ბედი ეწიათ ჩამოწერილ თვითმფრინავებს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის გიგანტები ნიჭიერი მხატვრების დამსახურებით გადაიქცნენ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებად, პროექტში ard. Art from the Bonev საშიში გამანადგურებლები გადაიქცნენ უწყინარ ექსპონატებად ფიონი ბანერის ინსტალაციაში, ხოლო, სამგზავრო თვითმფრინავი Airbus A380 საერთოდ გადაა-კეთეს – კომფორტულ რესტორნად!

თვითმფრინავი რომელშიც ახლა ბავშვები ბინადრობენ, არც თუ ისე, დიდი ხნის წინ ეკუთნოდა კომპანიას Georgian Airways. ის გამოისყიდა საბავშვო ბაღის დირექტორმა გარი ჩაფიძემ, რომელსაც ეკუთვნის იდეა არაჩვეულებრი-ვი სკოლამდელი სასწავლო დაწესებულების შექმნისა. რა თქმა უნდა, თვითმფრინავის ინტერიერი ნაწილობრივ იქნა შეცვლილი, აქ გამოჩნდა მაგიდები მეცადინეობებისათვის და ბევრი სათამაშო, მაგრამ ღილაკებიანი პანალი და მფრინავის კაბინა უცვლელი დარჩა. რა შეიძლება იყოს იმაზე მეტი მიმზიდველი, ვიდრე მოხვდე ნამდვილი პილო-ტის კაბინაში, სადაც 1500-ზე მეტი ღილაკია განთავსებული.

„იაკ-40“ – საბჭოთა სამგზავრო რეაქტიული თვით-მფრინავი განკუთვნილი ადგილობრივი ავიახაზებისა-თვის, სამძრავიანი, ტურბოაქტიური, დაბალი პლანი-რებით, უკანა ნაწილში განთავსებული ძრავით, სწორი ფრთებით და T – მსგავსი კუდით. უშვებდა სარატოვის საავიაციო ქარხანა 1966-1981 წლებში. 1970 წლიდან გადიოდა ექსპორტზე.

**საქართველო**

რუსთავი, კერძო საბავშვო ბაღი ЯК-40 4 L-TGN (9611246). ექსპლუატაციაში ჰყავდა ქართული სნს-ის, გამოშვების თარიღი 1976 წლის მარტი. მიღებულია 1976 წლის 2 მარტს, გამოშვებულია 1976 წლის 6 მარტს. დარეგისტრირებულია 1976 წლის 29 მარტს სსრკ-88158. 1988 წლის 8 სექტემბერს გაიარა ბოლო კაპიტალური შეკეთება. 1992 წელს გადაეცა საქართველოს ა/კ «Georgian Airlines>>, დარეგისტრირდა როგორც 4L – 88158. 2001-2009 წლებში გადიოდა ექსპლუატაციას და ინახებოდა საქართველოში. დარეგისტრირების შემდეგ მიენიჭა ნომერი 4L – TGN, ფრენის დრო СНЭ19934 საათი, განახორციელა 22618 დაჯდომა, 2012 წელს შეიძინა გარი ჩაფიძემ. 2012 წლის შემოდგომაზე განთავსებულ იქნა როგორც ძეგლი ქალაქ რუსთავის კერძო საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, სადაც ჩაყვანილ იქნა საავტომობილო გზით. სალონში განათავსეს სათამაშო ოთახი, პილოტის კაბინა კი, უცვლელად დატოვეს.

საბავშვო ბაღი იაკ-40-ში. უჩვეულო საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში.

მშობლების და აღმზრდელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა – არ დაუკარგონ ბავშვებს ოცნებისა და ფანტაზიის შესაძლებლობები, მათ ამას, უნდა ყველანაირად შეუწყონ ხელი. ამიტომაცაა საქართველოში, ქალაქ რუსთავში საბავშვო ბაღი – ასეთი ტიპის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია მსოფლიოში. იქ ბავშვები არ იქნებიან მოწყენილი და უინიციატივოები.

ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად ვითარდება პროგრამა ავიაციის მრეწველობის განვითარებისა – შენდება ახალი აეროპორტები (მაგალითად ქალაქ ქუთაისში და მესტიაში), მთავრობა იწვევს საერთაშორისო საჰაერო გადამზიდავ კომპანიებს, რომ მათ გამოიყენონ ქვეყნის საჰაერო სივრცე.

ქართველი ხალხის ავიაციის მიმართ კიდევ ერთი სიყვარულის გამოვლინებად, შეიძლება მივიჩნიოთ საბავშვო ბაღის გახსნა ქალაქ რუსთავში, რომლის ერთ-ერთი

კორპუსი განლაგებულია თვითმფრინავის იაკ-40-ს სალონში. ამ უცნაური ბაღის მფლობელი პროფესორი გარი ჩაფიძე თვითონაც ყოფილი – პილოტია. რომ არ დაშორებოდა თავის მისწრაფებას კარიერის დასრულების შემდეგ, მან გადაწყვიტა მიეღო არაორდინალური გადაწყვეტილება – ეყიდა ავიაკომპანიისაგან თვითმფრინავი, გაეკეთებინა მისთვის რეკონსტრუქცია და დაედგა სკოლამდელი სასწავლო დაწესებულების ეზოში. ამასთან ყოფილი თვითმფრინავის ყველა კარი ბავშვებისთვის ღიაა – ბავშვებს შეუძლიათ მოთავსდნენ პილოტის სავარძელში, დაატრიალონ საჭე და იოცნებონ იმაზე, რომ როდესღაც დაიპყრობენ საჰაერო სივრცეს. თვითმფრინავის სალონში განთავსებულია სასწავლო კლასები და სათამაშო ოთახები.

ამ სასწაულის მფლობელი ამბობს, რომ ამ ბაღის შექმნისას თვითმფრინავში მისი მთავარი მისწრაფება იყო აღეძრა სიყვარულის სურვილი ბავშვებში ტექნიკის მიმართ, განევითარებინა მათში ტექნიკური მისწრაფებები და შესაბამისი უნარები.

არ ვიცი საჭიროა თუ არა იმის შეხსენება, რომ გარი ჩაფიძის ბაღი გახდა ყველაზე პოპულარული ასეთი ტიპის დაწესებულებათა შორის ქალაქ რუსთავში, აქ მხოლოდ ოცი ბავშვი ირიცხება, მაგრამ მსურველთა რაოდენობა ასეულს აჭარბებს.

საბავშვო ბაღი კი არა, ოცნებაა! აი, რა სახე მიიღო იაკ-40-მა!

საქართველოში არის ქალაქი რუსთავი – მშვენიერი ინდუსტრიის ქალაქი. ცნობილია განვითარებული მეტალურგიული მრეწველობით. მალე მას ელოდება ახალი დიდება, დიდებული ნიჭიერი ავიაკონსტრუქტორების სახით. ეს მაშინ, როდესაც, რუსთავში არ არის აეროპორტი. სამაგიეროდ, იქ არის უჩვეულო საბავშვო ბაღი, სადაც მოხვედრის სურვილი აქვს ყველა ბავშვს ერთი წლიდან...

ყოფილმა მფრინავმა, ეხლა კი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა

პროფესორმა გარი ჩაფიძემ, განახორციელა თავისი უნიკალური და საინტერესო პროექტი – ძველი იაკ-40 – გადააკეთა, წინასწარ გამოისყიდა ის (ზოგიერთ წყაროში მოიხსენიება როგორც იაკ-42, მაგრამ მე ჩემი გამოუცდელი თვალებით, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ) ქართული ავიაკომპანიისგან Georgian Airways და მიაღებინა ის სახე, რომელიც მას სურდა. ამგვარად თვითმფრინავის სალონში გაჩნდა მოსახერხებელი საბავშვო მაგიდები, კაბინა კი, ისეთივე დარჩა, როგორც „სიცოცხლეში" – მასში სპეციალურად შენარჩუნებულ იქნა ათასზე მეტი ღილაკი, გადამრთველები, სენსორები, ზოგი მუშა მდგომარეობაში (შუქის ჩამრთველები და უბრალო მექანიზმები). ეს არის ჭკვიანი და სწორი გადაწყვეტილება ბავშვებში მცირე მოტორიკის განვითარებისა – აღძრა სიყვარულის სურვილი მომავალ თაობაში ტექნიკის მიმართ, მათში ტექნიკური მისწრაფებების და შესაბამისი უნარებისა.

თვითმფრინავის იდეა პროფესორ გარი ჩაფიძეს გაუჩნდა იმის შემდეგ, რას მისმა პატარა შვილმა, ფრენის დროს მოითხოვა პილოტის კაბინაში შესვლა და ყველა ჯადოსნური ხელსაწყოების ნახვა. ბავშვებისათვის და მისი შვილისათვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა აღმოჩნდა სავსებით შესაძლებელი. ვფიქრობ, ზედმეტია იმის თქმა, რომ ასეთი ბაღი, სადაც ერთ-ერთი სათამაშო პოლიგონი არის ნამდვილი თვითმფრინავი ყველა რუსთაველი ბავშვის ოცნებაა. ჯერ-ჯერობით, აქ მხოლოდ ოცი ადგილია, რიგი კი რამოდენიმე წლით წინაა გაწერილი.

– ეს ამონარიდია მსოფლიო ბეჭდური მედიიდან, რომლის წამყვან ფლაგმანად უკვე წლებია იქცა მსოფლიოში ერთადერთი „საბავშვო ბაღი თვითმფრინავში", ამიტომაც საერთაშორისო მედიისა და ინტერნეტ-სივრცის ერთობლიობა ამ წიგნის ლაიტმოტივია.

**ყველაზე საინტერესო...**

გასული კვირა მდიდარი იყო საჰაერო ავიაციის ახალი ხომალდების გამოჩენით საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის. კვირის დასაწყისში მომხმარებელმა

Gavia-ამ ფორუმზე Reaa.ru გვაუწყა ახალი თვითმფრინავი-ამფიბიის აშენების შესახებ: „მოხარული ვარ გაცნობოთ, დასრულდა უიღბლო გამოცდების სერია. ლაყუჩების ბოლო ვარიანტი ჰიბროთვითმფრინავი-ამფიბიისთვის შედეგიანი აღმოჩნდა. თვითმფრინავი აფრინდა. როგორც ხმელეთზე ისე წყალზე მშვენივრად იმართება. წყალზე ჯდება ადვილად და ძალადატანების გარეშე. ვისაც ერთხელ მაინც უმართავს ხმელეთზე, ორი გაკვეთილის შემდეგ, შეძლებს ადვილად მართვას. წყლიდან ორ მამაკაცთან ერთად, სავსე საწვავის ავზით, თავისუფლად იწევა ჰაერში. სახელი წინამორბედის მსგავსად ვარხვი დავუტოვე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემი გვარი ნიკიტინია, მეორეც – ლაყუჩებიანია.“ პროექტის ავტორების თქმით, თვითმფრინავმა შეიძლება განავითაროს 130 კმ/სთ სიჩქარე, ხრახნის ბრუნი კი 5000 აღწევს წუთში. ასაფრენი და დასაშვები სიჩქარე 70 კილომეტრს საათში შეადგენს, სწრაფაფრენისას 5000 ბრუნი წუთში და მოწყობილობას 90 კილომეტრ საათი, რაც 3 მეტრია წამში. თვითმფრინავის გამოცდა გრძელდება.

ყველაზე რთული იყო ნავზე დამაგრებული ბუშების შეთავსება გრუნტის შასებთან. სცადეს ბუშის დამალვა შასიში. პირველი ცდისას იგი მოწყდა და კინაღამ დაიხრჩვნენ – დაწერა მომხმარებელმა Gavia-ამ. „ის რომ, ამ ზაფხულის ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ჩვენ შევძელით პროექტი გაგვეხორციელებინა, მე მივიჩნევ, როგორც ღმერთის დახმარებას მიხეილ იგნატიევის სახით. მართალია, მეც მომიწია ოფლის დაღვრა, ამასთან ერთად ჰიდროდინამიკის მოდელიორის პროფესიაც ავითვისე. ნაგავმა ნაგავსაყრელზე მოიმატა, მაგრამ თვითმფრინავი აფრინდა“.

ამ დროს, პლანეტის მეორე ბოლოში 71 წლის ჩინელმა ჟინ შაოდჟიმ სახალხოდ განაცხადა, რომ ააშენა საკუთარი ავტო-აერისტატი. საჰაერო ხომალდი მას დაუჯდა 30 000 დოლარი, აშენებას კი 7 წელი მოუნდა. დასკვნითი ეტაპი იყო ხომალდის გამოცდა სპეციალური დამკვირვებლების წინაშე, რომელმაც გასცა ლიცენზია საჰაერო ხომალდის

ექსპლუატაციის შესახებ. მახასიათებლების შესახებ სრული ინფორმაცია არ არსებობს. ცნობილია რომ, ავტო-აეროსტატი ადის 1 000 მეტრ სიმაღლეზე, თუმცა თვითონ ჟინ შაოდჟიმ განაცხადა, რომ უსაფრთხოების მიზნით უმჯობესია ფრენების განხორციელება 500 მეტრ სიმაღლეზე.

აეროკლუბი „Альбатрос-Аэро“ აგრძელებს სამუშაოებს Л410 თვითმფრინავის აღსადგენად, რომელიც ავიასადგომზე 7 წელი იდგა. გასულ კვირას ვლადიმირ ლისნიაკმა გამოაქვეყნა ახალი ვიდეო აღდგენილი ხომალდის ფრენისა. „საზეიმო გამოსვლა – თვითმფრინავის დაბრუნებასთან დაკავშირებით“ – დაწერა ვლადიმირმა.

კიდევ ერთი ხომალდის დაბრუნებაზე იტყობინებიან გ. მ. ბერიევის სახელობის ტაგანროგის საავიაციო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის წარმომადგენლები. ლაპარაკია ლეგენდარული Бе-12-ის შესახებ. კომპლექსის წარმომადგენლებმა წინადადება წამოაყენეს თვითმფრინავის მოდერნიზაციის შესახებ, თუმცა უცნობია დათანხმდება თუ არა ამას სამხედროები, შემკვეთი რუსეთის სსძ. 40 წლის უკან შეიარაღებაში მიღებულმა თვითმფრინავმა, აჩვენა ავარიულობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. 1974-1988 წლებში 182 000 საათის ფრენისას დაკარგულ იქნა მხოლოდ 4 აპარატი, სამ შემთხვევაში არავინ დაღუპულა. პირველი ოთხი თვითმფრინავი Бе-12-ის შეუძლია ჩადგეს მწყობრში უკვე 2014 წელს.

რა თქმა უნდა, კარგია, როცა თვითმფრინავი უბრუნდება ცას. თუმცა, ერთ-ერთი მათი დანიშნულება შეიძლება გახდეს მომავალი თაობის აღზრდა, როგორც ეს მოხდა ქალაქ რუსთავში საქართველო, ქალაქ რუსთავში ადამიანს რომლის სახელი და გვარია გარი ჩაფიძე თავში აზრად მოუვიდა მშვენიერი იდეა: გადაექცია თვითმფრინავის ფუზელაჟი „იაკ-40“-ის... საბავშვო ბაღად! როგორც ის ამბობს, მისი მიზანი იყო ბავშვებისათვის შეექმნა გასართობი ატმოსფერო სწავლების დროს. პილოტის კაბინაში განთავსებულია 1500 მეტი ღილაკი, რომლებსაც

ბავშვებს უფლება აქვთ დააჭირონ გარესამყაროს შესწავლის პროცესში.

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა გახდა ვერტმფრენით გადაფრენა რუსი პილოტების მიერ ახალ ზელანდიაში. აი რას წერენ ამ ექსპედიციის შესახებ თვითონ მონაწილეები.

„არაკომერციული, არასაქველმოქმედო, უშუალოდ კერძო და გაცნობიერებული გადაფრენა ორი ვერტმფრენის მოსკოვიდან ახალ ზელანდიაში და უკან“. ‘ეკიპაჟში 4 კერძო პილოტია, რომლებიც მოგზაურობენ თავისი ხარჯებით, ყოველგვარი დახმარების გარეშე. „ჩვენ არ გვსურს სახელის მოხვეჭა, ან რეკორდების დამყარება, მხოლოდ თავგადასავლებისთვის და გართობისთვის, ემოციურობასა და პიროვნული ზრდისათვის“. ისიამოვნეთ ჩვენთან ერთად.

## ხუთი მიზეზი, თუ რატომ უნდა გაემგზავრო ქალაქ რუსთავში

ქართული ქალაქი რუსთავი განლაგებულია თბილისიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ეს არის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი, წელს მას 60 წელი შეუსრულდა. შუადღის მერე, რატომ თამაშობენ იქ ბავშვები ნამდვილ თვითმფრინავში, ხოლო პატიმრები როგორ ყიდიან თავისი შემოქმედების ნიმუშებს.

პირველი მიზეზი, განახორციელო მოგზაურობა დროში.

თბილისიდან ნახევარი საათის მანძილზე, თქვენ აღმოჩნდებით ქალაქში, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ ეპოქას. რუსთავი საქართველოს რუკაზე ოფიციალურად გაჩნდა 1948 წელს. მეტალურგებისა და ფოლადმხარშავების ქალაქი, რომელიც იყო საბჭოთა საქართველოს მძიმე წარმოების ფლანგი. მთავარი რაც ამ ქალაქშია – არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ადმინისტრაციული შენობა ოდესღაც ქარხნის აყვავების პერიოდში – არის ნამდვილი მარგალიტი. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ბარელიეფი. ამბობენ, რომ არქიტექტორებს დავალებას აძლევდა თავად სტალინი. პირველ ხუთ წელიწადში, მშენებლობა ასეთი გიგანტისა,

როგორიცაა ეს ქარხანა, იყო სიამაყის საკითხი ასეთი დიდი ქვეყნისათვის. პომპეზურად და მდიდრულად.

მართალია, ახლა ამ ქარხნიდან თითქმის არაფერი დარჩა. დიდი ტერიტორიის გარდა.

აქ ხომ, თავის დროზე მუშაობდა ათი ათასობით მუშა და ინჟინრები. აქ სამუშაოდ მოდიოდნენ მთელი საბჭოთა კავშირიდან.

ეს საწარმო იყო ერთ-ერთი შრომის გმირებისა და მაღალი წარმოების სტანდარტებით გამორჩეული.

სტატუსი – შენახვა
საბოლოო ექსპლუატანტი – საქართველოს ავიახაზები
ექსპლუატაციაშია – 29 მარტი 1976 წლიდან
პირველი ფრენა – 1976 წ. (37 წელი 2 თვე)
კბ – იაკოვლევ
ტიპი – იაკ 40 (რეესტრი)
მოდიფიკაცია – იაკ-40
დამამზადებელი ქარხანა – საზ
ქარხნის ნომერი – 9611246
სერიული რიგობითი ნომერი – 46-12
ნამუშევარი დრო – 19934 საათი, 22618 ციკლი
ექსპლუატაციის სტატისტიკა – 67 საათი თვეში, 17,5 რეისი კვირაში 0,9 ფრენის ხანგრძლიობა.

## ბაგა-ბაღი თვითმფრინავში – ქართული პროექტი, რომელსაც ანალოგი არ აქვს

„თვითმფრინავში გახსნილი ბაგა-ბაღი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს", – ასე ახასიათებს აკადემიური ქალაქის რექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე თავის პროექტს.

რუსთავის აკადემიურ ქალაქში სულ ცოტა ხნის წინ უზარმაზარი თვითმფრინავი მიიტანეს, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები ისწავლიან.

„2000 წლიდან საქართველოში იბადებიან ინდიგო ბავშვები, მათ მიდრეკილება აქვთ ტექნიკისადმი, სწორედ ამიტომ გადაწყდა საბავშვო ბაღი თვითმფრინავში გაგვეხსნა", – ამბობს ბა-ღის იდეის ავტორი.01

თვითმფრინავში საბავშვო ბაღის გახსნის იდეა გარი ჩაფიძეს ჰაერში მოუვიდა, ამბობს რომ მოგზაურობა ხშირად უწევს მისი პროფესიიდან გამომდინარე, ლექციებს კითხულობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სამყაროს გარდაქმნის ახალ მოდელზე. იხსენებს, როგორ არ უყვარდა ბაღში ყოფნა, ამიტომ პატარაობიდანვე უნდოდა ისეთი რამ მოეფიქრებინა, მოსვლაზე კი არა ბაღიდან წასვლაზე ეტირათ ბავშვებს. დღეს ამბობს, რომ საიდუმლო აღმოაჩინა. აქ ბავშვებს ბორტგამცილებლის ფორმაში გამოწყობილი პედაგოგები ასწავლიან. ბაღის ტერიტორიაზე ერთადერთი კომუნიკაციის საშუალება რაცია-გადამცემები იქნება.

ჯერჯერობით ბაღში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. თუმცა ამ დროისთვის 50-მდე განცხადება უკვე შეტანილია. საბავშვო ბაღი თვითმფრინავში პირველ სექტემბერს ამოქმედდება. ბაღი 32 ადგილიანია.

თვითმფრინავის გარშემო ეზო იქნება, კვების ბლოკი კი ცალკე. ბავშვები ისწავლიან უცხო ენებს, მოემზადებიან სკოლისათვის, წელიწადში ორჯერ იქნება სამედიცინო შემოწმება და ოთხჯერადი კვება, დაწესებულებაში სწავლის ყოველთვიური ღირებულება 200 ლარია.

ელენე ცინცაძე

**თვითმფრინავის მეორე სიცოცხლე ბავშვებისთვის**

ჩემს წინ, საქართველოს ფერებში შეღებილი მცირე ზომის თვითმფრინავი დგას. თეთრ კორპუსზე დიდი წითელი ასოებით აწერია Georgia. თუმცა ეს სტატია არც თვითმფრინავებზეა და არც რომელიმე აეროპორტში გაკეთებული რეპორტაჟია.

თვითმფრინავის ეკიპაჟიც და მგზავრებიც ორიდან ხუთ წლამდე ბავშვები არიან. თუ ძალიან დაიბენით, გეტყვით, რომ თვითმფრინავი, არც მეტი არც ნაკლები, საბავშვო ბაღია და ბავშვები კი ბაღის აღსაზრდელებია. ეს ორიგინალური ბაღი უკვე ორი თვეა ფუნქციონირებს ქალაქ რუსთავში, მისი დამფუძნებელი საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი გარი ჩაფიძეა.

უკვე რამდენიმე წელია საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას აწარმოებს თბილისში, რუსთავში, ოზურგეთში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყიბულში, თერჯოლაში, დუშეთში, აბაშაში, მარნეულში, ლაგოდეხში, თელავში, ახმეტაში, გურჯაანში, საგარეჯოსა და სხვა ქალაქებში. ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ბატონი გარი ჩაფიძე: საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, „ფაზისის" მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ასევე ამერიკაში არსებული ერთერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებლის, ლინქოლნის უნივერსიტეტის პროფესორი და უამრავი რეგალიების მფლობელია.

სწორედ ბატონი გარის ინიციატივით საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა აკადემიური ქალაქი, რომელსაც ფილიალები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც აქვს. მათ შორის ერთერთი ქალაქ რუსთავში მდებარეობს. აქ სამი წლის წინ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც დღესაც გრძელდება. როგორც თავად ბატონი გარი ამბობს, იდეა საბავშო ბაღის თვითმფრინავში მოწყობისა, განსაკუთრებულია და იშვიათობას წარმოადგენს თვით ევროპის ქვეყნებისთვისაც კი, ამით აიხსნება ალბათ ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა მედიასაშუალებები ავლენენ და აკადემიურ ქალაქს სტუმრობენ, აკადემიური ქალაქი გამორჩეულია იმითაც, რომ დაწყებული ბაგა-ბაღიდან, დოქტურანტურით დამთავრებული აქვს განათლების ყველა საფეხური. დაუჯერებელია, მაგრამ ბატონმა გარიმ ასეთი ქალაქის შექმნა შეძლო, ქალაქ რუსთავში, სულ რაღაც ათასობით კვადრატულ მეტრის ფართზე, აქ განთავსებულია ნამდვილი თვითმფრინავი (სადაც საბავშვო ბაღია), სკოლა, აგრეთვე ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლებები. სასწავლო ცენტრები აკადემიურ ქალაქს კიევის საერთაშორისო აკადემიასთან ხელშეკრულება აქვს დადებული, არიან მათი წარმომადგენლები და ამზადებენ

ბაკალავრებს, მაგისტრებსა და დოქტორებს. შესაბამისად, აქ შემოსული ორი წლის ბავშვი ამ პატარა ტერიტორიიდან გასვლისას, 25 წლის ასაკში  უკვე შესაძლებელია იყოს მეცნიერებათა დოქტორი!

ეს პატარა აკადემიური ქალაქი ამჯერად თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ აქ არსებულ სასწავლო დაწესებულებებში გადასახადი საკმაოდ დაბალია (წელიწადში 700 ლარი) ბატონი გარის თქმით, ისინი გონივრულად წარმართავენ ამ ფინანსებს და ამ მხრივ პრობლემები არ აქვთ. რაც შეეხება საბავშო ბაღს, აქ გადასახადი შედარებით მაღალია: თვეში 200 ლარი, თუმცა ის მშობლებსა და ბავშვებს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს : ფუნქციონირება დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე, ოთხჯერადი კვება, მაღალკვალიფიციური პედაგოგი, ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგი და, რაც მთავარია, ნამდვილი თვითმფრინავი, რომელიც მთლიანად ბავშვების განკარგულებაშია დილიდან საღამომდე. კიდევ ერთი განსაკუთრებულობა, რაც აქ შეიძლება ნახოთ, ეს არის მინი მეურნეობა, რომელსაც თავად სტუდენტები წარმართავენ, რაც გამიზნულია იმისათვის, რომ ბავშვებმა ჯანსაღად იკვებონ.

თვითმფრინავის იდეა, მართლაც განსაკუთრებულია და ამავე დროს უნიკალურიც. ბატონი გარის თქმით, მათ პირველებმა მოიფიქრეს ეს, განახორციელეს, დააპატენტეს და შესაბამისად არავის  აქვს უფლება მსგავისი პროექტი განახორციელოს მსოფლიოში.  თუ რა ხარჯებთან არის დაკავშრებული ამ ორიგინალური იდეის ფრთაშესხმა უცნობია, პირად კომერციულ საიდუმლოს  ბატონი გარი ჟურნალისტებს არ უმხელს. თუმცა, ჟურნალ „პენEN-X“-სთან საუბრისას  აღნიშნა რომ თვითმფრინავი ЯК-40-ის შესყიდვამდე მწყობრში იმყოფებოდა. ამ თვითმფირნავმა თავისი ოცწლიანი მოღვაწეობის შემდეგ განახორციელა ბოლო რეისი კიევი-დნეპროპეტროვსკი-თბილისი და აკადემიური ქალაქის მფლობელობაში გადავიდა. მისი შავი ყუთის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას

ყველა ნაწილი მწყობრში ჰქონდა და კიდევ რამდენიმე წელი შესაძლებელი იყო მისი ექსპლუატირება. ყოველი თვითმფრინავი, რომელიც ფუნქციონირებას წყვეტს, ნაწილებად იშლება და ჯართში ბარდება, თუმცა ЯК-42 -ის ისტორიას განსხვავებული დასასრული აქვს, ის კიდევ 20-25 წელი თავისი ახალი მგზავრების, ბაღის აღსაზრდელების, სამსახურში იქნება.

ბავშვები განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ თვითმფირნავის მიმართ. ხანდახან ეფერებიან კიდეც. მშობლების თქმით, მათი შვილები დილით სიხარულით გამორბიან სახლიდან,რომ რაც შეიძლება მალე ნახონ თავიანთი ავიალაინერი, საღამოს კი... ზოგიერთი ბავშვი ტირის კიდეც, რადგან თვითმფრინავთან განშორება ეძნელებათ, მცირე ხნითაც კი.

თვითმფრინავში საბავშვო ბაღის არსებობა ორიგინალური და საინტერესოა. თუმცა ამას პედაგოგიკური დატვირთვაც აქვს და პროფესორი გარი ჩაფიძე, რომლის კვლევის ერთერთი სფერო პედაგოგიკა, ადამიანთმცოდნეობა პედაგოგიკის ისტორია და მოზარდთა ფსიქოლოგიაა, ჩვენთან საუბრისას კომენტარს აკეთებს, თუ როგორ მიმდინარეობს პედაგოგიკის თვალსაზრისით მათთან სწავლება „სასწავლო პროცესი ჩვენთან სრულიად განსხვავებულია, ჩვენ ავაშენეთ მომავლის ბაღი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ასე დაარქვა მას მსოფლიომ. ის, რომ საბავშვო ბაღი თვითმფრინავშია გახსნილი, მხოლოდ ტექნიკური მხარეა, უფრო მნიშვნელოვანია პედაგოგიური მხარე. ჩვენ აღსაზრდელებს სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ. თამაშის პროცესში ბავშვი სრულიად შეუზღუდავია, მათ აქვთ უამრავი სათამაშო, რომლებიც ჭეშმარიტად მათ განკარგულებაშია.რაც ყველაზე მთავარია და რაზეც დიდი ხანია ვმუშაობთ, ესაა ბაღში ოჯახური გარემოს შექმნა, ამის გარანტი კი ჩვენთან შერეული ასაკობრივი ჯგუფებია. აქ უფროსები პატარებზე მზრუნველობას სწავლობენ, უმცროსები კი უფროსების პატივისცემას. თუ თამაშის პროცესში კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნა ისინი თავადვე არკვევენ ყველაფერს, მხოლოდ უკიდურეს

შემთხვევაში ჩაერევა პედაგოგი, რადგან ბავშვები თავიდანვე მიეჩვიონ პრობლემების თავად მოგვარებასა და მეტ თავისუფლებას.“

ბავშვებს, რომლებიც თვითმფრინავში თამაშობდნენ არც უცხო ადამიანის მისვლა ეუცხოვათ და არც ფოტო აპარატის ჩხაკუნი. მეტიც, ზოგიერთი განსაკუთრებული თავდაჯერებულობით პოზირებდა ფოტოკამერის წინ, ეს გასაკვირი არც არის, ბაღი სულ ორი თვეა რაც ფუნქციონირებს და უკვე უამრავი ცნობილი ტელე-არხი თუ ბეჭდური მედიის წარმომადგენელი ესტუმრა აკადემიურ ქალაქს, ამ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები უკვე მთელმა მსოფლიომ გაიცნო და ეჭვგარეშეა, ბევრი ქვეყნის ბავშვებსაც შურთ მათი. ისინი ხომ ნამდვილი თვითმფრინავის საპატიო მგზავრები არიან.

Reuters / **დავით მშვილდაშვილი**

31.10.2012, საქათველოში, ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე ნამდვილი იაკ-40 დგას. ეს საბავშვო ბაღია, მისმა მფლობელმა, გარი ჩაფიძემ შეიძინა თვითმფრინავი Georgian Airways-სგან თბილისში და ჩამოიტანა ის რუსთავში. სადაც რამდენიმე თვის მაძილზე გაარემონტეს და გააკეთეს სალონში სათამაშო მოედანი, ხელშეუხებლად დატოვეს პილოტის კაბინა, წერს ბლოგერი.

p.s თუ ამ დოკუმენტს დავუჯერებთ იაკ-40 4L-TGN (1976) შესაძლებელი იყო გეყიდათ 300 000 დოლარად.

ცნობა: იაკ-40 (კოდიფიცირებით НАТО: codling – „პატარა ტრესკა“) – სამგზავრო თვითმფრინავი ადგილობრივი ავიახაზებისთვის, დამზადებული საბჭოთა კავშირში 1960-იან წლებში.

იაკ-40 – სამმძრავიანი ტურბორეაქტიული დაბალი თვითმფრინავი უკან განლაგებული ძრავით, სწორი ფრთით და ერთმუხლიანი, T-სებრი გლუვი დაფარვით.

თვითმფრინავის ფრთა სწორხაზოვანია, დიდი დაგრძელებით, შედგება ორი კონსოლისგან. თითოეული კონსოლი აღჭურვილია სამ სექციანი ასაფრენ-დასაფრენი

საკეტებით და ელერონის ორი საკეტით. თითოეული კონსოლი ლონჟერონული კონსტრუქციისაა.

### Amusing Planet **რუსთავის ბაგა-ბაღს სტატიას უძღვნის „თვითმფრინავი** VIP **– მგზავრებისთვის“**

ვებსაიტი Amusing Planet რომელიც მსოფლიოში ყველაზე უცნაურ, ორიგინალურ და საინტერესო მოვლენებზე წერს, ამჯერად მთავარ გვერდს საქართველოს უთმობს.

Amusing Planet-ის ჟურნალისტებმა რუსთავში მდებარე თვითმფრინავში გახსნილ ბაგა-ბაღში სტატია დაწერეს.

„საქართველოში, ქალაქ რუსთავში მდებარეობს ბაგა-ბაღი, რომელიც თვითმფრინავშია გახსნილი. თვითმფრინავ Yakovlev Yak -40-ში ბაგა-ბაღისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ინვენტარია განთავსებული. აკადემიური ქალაქის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ თვითმფრინავი შეიძინა და ბორტი ბავშვის განვითარებისთვის საჭირო ნივთებითა და სათამაშოებით აღჭურვა ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს პილოტის კაბინაში თამაშიც შეუძლიათ“ – წერს Amusing Planet.

რუსთავში მდებარე ბაგა-ბაღზე ბრიტანული და ამერიკული ვებსაიტები ხშირად წერენ.

მომზადებულია amusingplanet.com-ის მიხედვით.

### **„ჩვენ ამ ბავშვებს ქუჩას გამოვტაცებთ და აუდიტორიებში შევიყვანთ”**

წარმოიდგინეთ, რომ 2 წლის ასაკში მოსული ბავშვი აქედან შეიძლება, 25 წლის ასაკში მეცნიერებათა დოქტორის რანგში გავიდეს.

აკადემიურ ქალაქს საკუთარი ტელევიზია, გაზეთი, პოლიკლინიკა აქვს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითმფრინავიც კი ჰყავს. ამ ტერიტორიაზე აკრძალულია სიგარეტის მოწევა და ჩართული მობილური ტელეფონით შესვლა. წესრიგის დაცვას კრიმინალისტიკისა და დაცვის სამსახურები უზრუნველყოფენ და საშვის გარეშე იქ ვერ მოხვდებით. ეს მასშტაბური პროექტი 2010 წელს დაიწყო. იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი პროფესორი გარი ჩაფიძეა, საქართველო-უკრაინის სოციალურ

ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის რექტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი, საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, რომელმაც უამრავი ადამიანის ცხოვრება შეცვალა:

„წლების განმავლობაში საზღვარგარეთ ვმუშაობდი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გამიჩნდა სურვილი, რომ რაღაც ახალი და განსხვავებული შემექმნა. არავის სჯეროდა, როცა ვამბობდი, რომ გავაკეთებდი საბავშვო ბაღსა და სკოლას, სადაც ბავშვები სიხარულით მოვიდოდნენ და სახლში წასვლა აღარ ენდომებოდათ, მაგრამ ამას მივაღწიეთ. ჩვენი აკადემიური ქალაქის ადგილას ნაგავსაყრელი იყო და სანამ მშენებლობას დავიწყებდით, 300 მანქანა ნაგვის გატანა მოგვიწია. ამ დრომდე 17 კორპუსი სრულიად დასრულებულია და ახალი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობს. პატარა კორპუსებია, მაგრამ ყველას თავისი დანიშნულება აქვს. ამ ტიპის აკადემქალაქს ამიერკავკასიაში ანალოგი არ აქვს და ევროპაშიც კი იშვიათობაა. ჩვენთან სწავლა იწყება ბაგა-ბაღიდან, გრძელდება სკოლაში, შემდეგ სურვილით კოლეჯში დასრულდება ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. წარმოიდგინეთ, რომ ორი წლის ასაკში მოსული ბავშვი აქედან შეიძლება, 25 წლის ასაკში, მეცნიერებათა დოქტორის რანგში გავიდეს.

„მფრინავი“ საბავშვო ბაღის გარდა, პროფესორის კიდევ ერთი დაპატენტებული გამოგონება ქართული ანბანის ასოების მოყვანილობის ორმეტრიანი სასკოლო მერხებია:

„ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული, სასწავლო მერს მაგიდის ფორმა აქვს და ერთ ან ორადგილიანია. ჩვენ შევქმენით ეგრეთ წოდებული სასწავლო მერხების სრულიად ახალი მოდელი. სექტემბრიდან ჩვენი სკოლის პირველი, მეორე და მესამეკლასელი ბავშვები მერხების ნაცვლად, ორი მეტრის სიმაღლის, მოცულობით ასოებში ჩასხდებიან.

აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე მუშაობს პროფესიული სასწავლებლები, დიპლომის შემდგომი გადამზა-

დების ცენტრები, ტელევიზია, „აკადემ-ტელეინფო“, ყოველთვიური გაზეთი, ბიბლიოთეკა, კაფე-ბარი, სასადილოები, პოლიკლინიკა, კრიმინალისტიკისა და დაცვის სამსახურები, ფიტნეს-კლუბი, სამოდელო სტუდია, თეატრალური კოლექტივი, სიმღერისა და ცეკვის კოლექტივი...

**გარი ჩაფიძის სამომავლო გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე, მზრუნველობამოკლებულ მოზარდებსა და მარტოხელა დედებზე ზრუნვაც შედის:**

აკადემიურ ქალაქში ამჟამად ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი, შშმ-ბავშვთა ცენტრი და მოხუცთა სახლი ფუნქციონირებს, მალე გაიხსნება დედათა და ბავშვთა სახლი.

ქართული მენტალობიდან გამომდინარე, მარტოხელა დედა ხშირად, შვილთან ერთად, ქუჩაში რჩება. ქუჩაში გაზრდილი ბავშვის ციხეში მოხვედრის ალბათობა კი ძალიან დიდია, ამიტომ გადავწყვიტე, გავხსნა ცენტრი, რომელიც მარტოხელა დედებს შვილებთან ერთად ცხოვრების, უფასო საკვებისა და მკურნალობის მიღების და რეაბილიტაციის საშუალებას მისცემს. ასევე, ამ კატეგორიის ადამიანების დასაქმებისთვის აშენდება შოკოლადი ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, ფარმაცევტული საწარმო აკადემფარმი“.

გარი ჩაფიძე ამჟამად 50 ტომეულზე და რამდენიმე ლექსიკონზე მუშაობს, რათა საკუთარი ინტელექტუალური შრომით მიღებული შემოსავლებით და საზღვარგარეთ წაკითხული ლექციებიდან შემოსული თანხითა და იქაური მეგობრების დახმარებით ის საქმე გააგრძელოს, რომელმაც ბევრი ადამიანის ცხოვრება სასიკეთოდ უკვე შეცვალა.

**ზოია მაყაშვილი** – სანამ ასეთი კეთილშობილი ადამიანები არსებობენ ამ ერს გადაშენება არ უწერია. ღმერთმა ამრავლოს ასეთი ქველმოქმედი ადამიანები, რომ თავი არ წაგვაჭამონ ზოგიერთებმა კუმირის მეცენატობაზე და როცა ბევრი იქნებიან, არ დაგვაყვედრიან კეთილ საქმეს,

ისე როგორც საზღვარგარეთ არის ქველმოქმედება მოდაში, აქაც უნდა შემოვიდეს, მდიდარი ადამიანების ცხოვრების აუცილებელი საქმიანობა და მათი კრედო გახდეს უპოვართა, გაჭირვებულ ადამიანთა დახმარება და მზრუნველობა.

**ნუნუ გიგაური** – ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამ კეთილ საქმეში, ბატონო გარი!

## ისევ დასაწყისის გაგრძელება...

თვითმფრინავი, ეს მართლაც გიგანტური სათამაშო, მომავალი თაობის აღზრდის ტექნიკურ-შემეცნებითი მხარეა, ძირითადი მიმართულება კი, აღმზრდელობითი პედაგოგიკაა! სწორედ ამიტომ, ამ წიგნის, მომდევნო, რამოდენიმე თავი, გადავწყვიტეთ ბავშვთა ემოციურ ასპექტებს დავუთმოთ:

### ადვილად აგზნებადი ბავშვი (ქოლერიკი)

თავდაჯერებული, ფეთქებადი, მიზანდასახული, ხშირად გაუწონასწორებელი, ემოციური, წამიერად იღებს გადაწყვეტილებას, ამიტომ მისი იდეები ხშირად საინტერესოა. ქოლერიკი ძალიან მოძრავია, ადვილად ეცვლება ხასიათი. ძნელია გამოიცნო, თუ როგორ მოიქცევა ის უცხო გარემოში – რეაქცია შეიძლება იყოს სხვადასხვა. ბავშვი ქოლერიკი ხშირად მოჩხუბარი და მოუსვენარია, უშიშარი და თავდაჯერებულია. შეიძლება გადაწყვეტილება ბოლო მომენტში შეცვალოს. უყვარს რისკი და თავგადასავლები. ადვილად გადადის მხიარულებიდან მოწყენილობაში. მშვიდად იძინებს, ბევრს მოძრაობს საწოლში, ადვილად ეღვიძება. ხმამაღლა საუბრობს, ხმაურიანია, ადვილად შედის კონტაქტში ბავშვებთან და იმის გამო, რომ თავის სურვილებს ვერ ისრულებს, კონფლიქტის ინიციატორი ხდება. იმდენად, რამდენადაც ასეთი ბავშვები უფრო ხშირად აგზნებულები არიან, ვიდრე თავშეკავებულები, რეკომენდაცია ასეთი იქნება:

ყველა გამაღიზიანებელი ფაქტორი მოაშორეთ (ხმამაღალი მუსიკა, ხმამაღალი ლაპარაკი, ხმაურიან ბავშვებთან თამაში, დიდი თავშეყრის ადგილები); დაიცვით

დადგენილი რეჟიმი; გააძლიერეთ თავშეკავების პროცესი მშვიდი თამაშით – იმისთვის, რომ ენერგიებმა და ნერვებმა არ უმტყუნოს და ხანდახან მაინც იყოს მშვიდად. მეტისმეტი აგზნებადობა არავის რგებს.

მშვიდი თამაშები, მაგალითად, „გაშეშობანა", კონსტრუქტორით თამაში. სთხოვეთ ააშენოს რაიმე შენობა. თქვენ განაგრძეთ თქვენი საქმე, თან შეხედეთ, როგორ ასრულებს დავალებას, მიეცით რჩევები. დაამშვიდებს ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, საბავშვო ლოტოს თამაში, ჭადრაკი.

ყველაზე ხშირი შეცდომები, რომლებსაც მშობლები ასეთი ტემპერამენტის მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას უშვებენ არის მკაცრი კონტროლი, აქტივობის შეზღუდვა, რაც იწვევს ბავშვის უფრო მეტად გაღიზიანებას და მშობელი კარგავს ბავშვთან კონტაქტს.

ასეთ ბავშვს ესაუბრეთ მშვიდი ტონით და ხმადაბლა. ამასთან, უფროსის ტონი უნდა იყოს მომთხოვნი და არ განიხილებოდეს მოლაპარაკებები. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შეუზღუდეთ ტელევიზორთან ჯდომის დრო. თუ დღემ მშვიდად ჩაიარა, და შეაქეთ ბავშვი. ცუდად მოქცევის შემთხვევაში, შენიშვნა მიეცით მხოლოდ მაშინ, როცა გაბრაზება გაუვლის და დამშვიდდება.

**ბავშვი სუსტი ნერვული სისტემით (მელანქოლიკი)**

ადვილად აგზნებადი ბავშვებისგან განსხვავებით, ამ ბავშვებს სუსტი აქვთ არა მარტო თავშეკავების, არამედ აგზნების პროცესებიც. ასეთი ტიპის ბავშვი სავსებით სრულფასოვანია, მაგრამ ნაკლებად აქტიური, პასიურიც კი, მალე ღიზიანდება და ადვილად სწყინს. თავის თავში არ არის დარწმუნებული, იმაშიც კი – რაც კარგად იცის და გამოსდის. ასეთი ბავშვი იშვიათად იცინის, ხმაურიანი ბავშვები მას ღლიან. დიდხანს ახსოვს წყენა და ძალიან განიცდის ამას. თავის თავში ჩაკეტილია, მგრძნობიარეა მოფერებისას, აქვს შენელებული რეაქციები. იმდენად, რამდენადაც პატარა მელანქოლიკი გულდახურულია,

ხშირად მშობლები ვერ ამჩნევენ მის პრობლემებს. გამუდმებითი საყვედურით, რომ ზარმაცია და უინტერესო, მშობლები კიდევ უფრო უღვივებენ არასრულფასოვნების კომპლექსს.

ასეთი ტიპის ბავშვთან ურთიერთობის დროს საჭიროა შევაჩვიოთ ერთად თამაშს, შემდეგ მოთამაშეთა რაოდენობა ნელ-ნელა გაზარდეთ, თქვენც ჩაერთეთ თამაშში. ეცადეთ, მარტო არ დატოვოთ, რათა არ ჩაუღრმავდეს თავის პრობლემებს. ეცადეთ დამოუკიდებლად აკეთოს ესა თუ ის საქმე, თუნდაც არ გამოუვიდეს, მაინც. ესაუბრეთ მშვიდად, მაგრამ დამაჯერებლად. ორგანიზება გაუწიეთ იმას, რომ ხშირად ჰქონდეს ურთიერთობა უფროსებთან და ბავშვებთან, შეაქეთ კარგი საქციელისთვის და ხშირად წაახალისეთ.

## შენელებული ბავშვი (ფლეგმატიკი)

ფლეგმატიკი ნელი და შინაგანად მშვიდი ბავშვია, შენელებული რეაქციები და ქმედებები აქვს, აღუშფოთებელია, მდგრადი. სკოლამდელ ასაკში რამდენიმე საყვარელი სათამაშოთი თამაშობს, არ უყვარს ხმაური და სირბილი, სამაგიეროდ უყვარს ჭამა და ძილი. ბავშვობიდან აკურატულად ალაგებს ტანსაცმელსა და სათამაშოებს. პატარა ფლეგმატიკს შეუძლია საათობით ითამაშოს ისე, რომ არ შეუშალოს ხელი უფროსებს. მაგრამ მას შეუძლია მოაწყოს სკანდალი, თუ არ მისცემენ თავის ჭიქას ან კოვზს და საერთოდ უკმაყოფილოა, როცა ირღვევა მისი დღის რეჟიმი. ნუ ეცდებით, ყვირილითა და სკანდალებით აიძულოთ გაკვეთილების მომზადება; თუ იგი გეწინააღმდეგებათ, არ ღირს ჯიუტად მოახვიოთ თავზე თქვენი შეხედულებები. არ დაუძახოთ უქნარა,ზარმაცი და მსგავსი „საალერსო“ სიტყვები.

საყურადღებოა! თუ თქვენ გამუდმებით სჯით ბავშვს თავისი ნელი საქციელისთვის, მას გამოუმუშავდება თავისი ქმედებების შიში და განუვითარდება არასრულფასოვნების გრძნობა.

ასეთი ბავშვის აღზრდა მოითხოვს მოთმინებას. ნუ დააჩქარებთ და ნუ ეჩხუბებით ამის გამო: „ისევ ბოლო

გამოხვედი?“ და ა.შ. იმდენად, რამდენადაც ბავშვი არ არის მოძრავი, უბიძგეთ მოძრაობისკენ: მიიყვანეთ სპორტზე, ტანვარჯიშზე. ეცადეთ, დააახლოოთ აქტიურ და მოძრავ ბავშვებთან. შესთავაზეთ თამაშები: „აბა, ვინ გაასწრებს?“ დააჩქარებინეთ ტემპი მიმზიდველი პერსპექტივით. მაგ: „თუ ჩქარა ჩაიცვამ, არ დააგვიანებ ცირკში“, და ა. შ.

### აქტიური და კონტაქტური ბავშვი (სანგვინიკი)

სიცოცხლით სავსე, ძლიერი, გაწონასწორებული ადამიანია. ბავშვობაში ასეთი ბავშვი ნამდვილი მზეა. კარგი ხასიათის, ცნობისმოყვარე, აქტიური, შეუძლია საკუთარი ემოციების კონტროლი. მოზრდილი ახდენს ოპტიმისტის, თავის თავში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილებას. რთულ სიტუაციებში არ კარგავს იუმორის გრძნობას, მაგრამ ხშირად დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიჰყავს.

სანგვინიკი ადვილად უგებს სხვა ადამიანებს, არ არის მომთხოვნი გარშემო მყოფთა მიმართ. ხშირად იკავებს ლიდერის პოზიციას კომპანიაში. პატარა სანგვინიკები კითხვაზე „ვისთან მეგობრობ?“ პასუხობენ: „ყველასთან“.

ასეთ ბავშვთან მშობელს უიოლდება ურთიერთობა. ადვილად იძინებს და ადვილად იღვიძებს. შეუძლია თამაშის დროს ერთდროულად იუფროსოს და დაგემორჩილოს კიდეც. ბევრ შეკითხვას სვამს, გახსოვდეთ: ის ადვილად ექცევა სხვის ზემოქმედების ქვეშ, როგორც კარგის, ასევე ცუდის. მალე იღლება ერთი და იგივე საქმის კეთებით.

სანგვინიკი ადვილად ურთიერთობს, სიცოცხლით სავსეა, მალე ითვისებს სკოლის პროგრამას და მშობელი ხშირად ბოლომდე არ აკონტროლებს მას, თუმცა მისი ცოდნა ზედაპირულია.

საჭიროა დაეხმაროთ ასეთ ბავშვს, გააკეთოს ყველაფერი მოწესრიგებულად, მაგ: დაკეცოს ტანსაცმელი, დაალაგოს სათამაშოები. თუ დავალება არასწორად დაწერა, მაშინვე გაასწორებინეთ. კონტროლი მშობლის მხრიდან უნდა იყოს სისტემატიური, მოთხოვნა – მკაცრი და ყოველდღიური.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ინდივიდუალური მიდგომა – ბავშვის თავისებურებების გათვალისწინებით,

დაგვეხმარება აღმოვაჩინოთ მისი ნატურის დადებითი მხარეები. ტემპერამენტის ტიპი – მომავალი ხასიათის ჩამოყალიბების საფუძველია, რომელიც პიროვნების ქმედებებში აისახება.

## ვერძი
## 21.03-20.04

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ადრეული ასაკიდან-ვე დაიწყებს და რამდენიმე კვირის ასაკშიც გაგაცნობთ თავს!.. მოუთმენელი! აი, მისი ხასიათის უმთავრესი შტრიხი. ძალიან აქტიური იქნება ფიზიკურად და შეიძლება მუშტებზე დაიწყოს დახედვა, თუ რაღაცას დაუგვია-ნებთ. მას ყველაფერი უნდა ახლავე. თუ მოფერება უნდა, მაშინვე სწრაფად და გულმხურვალედ უნდა ჩაეხუტოთ, მაგრამ თუ თქვენი ინიციატივით ლოლიავი დაუწყეთ, არ გაგიკვირდეთ, ხელის კვრით რომ მოგიშოროთ. მე? მე? მე? მე? მე? – ყველაზე ხშირი კითხვა და შესაძლოა პირ-ველი სიტყვაც ეს იყოს. უმთავრესი მისი საჭიროებებია და თქვენ უკან უნდა დაიხიოთ. ადრეული გარდატეხის ასაკში (საშუალოდ 2 წლისა) შესაძლოა კიდევ უფრო ჯიბიანი გახდეს და დიდი ნებისყოფა დაგჭირდებათ, რათა მის მიერ ყოველთვის თავის გატანის აგრესიული მცდელობე-ბი ჯანსაღი ფორმით ჩაანაცვლებინოთ. ჰიპერ აქტიური ბავშვია, უამრავი ენერგია აქვს და თუ ამ ენერგიას ვერ ხარჯავს, მოწყენილია ან დაღლილია, მაშინვე უარყოფითი ემოციები ეძალება. ლიდერობის ამბიციები ბაღის ასაკშივე მკვეთრად გამოხატულია. ყველა ბავშვმა მისი წესებით უნდა ითამაშოს, ყველა საქმე მისი გადასაწყვეტია და ყველაფერი მისი გასარჩევი. საკმარისია მისას შეეხონ, საკმარისია „მისიანის“ ვინმემ დაჩაგვრა დააპიროს, მა-შინვე კბილებით დაიცავს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ის რუსული ლექსი გახსოვთ? – „Я свою сестренку Лиду, Никому не дам в обиду. Я живу с ней очень дружно, Очень я ее люблю; А когда мне будет нужно, Я и сам ее побью.“ – ვერძული ლოგიკაა.

როცა ცოტა წამოიჩიტება სპორტული ინტერესები გაუჩნდება და ეყვარება თამაშები, სადაც შეჯიბრია საჭირო. მას სჭირდება საკუთარი ფიზიკური თუ მენტალური ძლიერების დემონსტრირება. ყოველგვარ სიახლეს იღებს სიხარულით და შესაბამისად სკოლაშიც ნებისმიერ ახალ საგანს დიდი ენთუზიაზმით ჩაუჯდება. ნუ დაგავიწყდებათ მისი მოუთმენელი ხასიათი, ასწავლეთ რომ უცებ და დაუფიქრებლად უშეცდომოდ არ კეთდება. მას გამოულეველი მენტალური კრეატივი აქვს, უამრავი იდეა და ამ იდეების სისრულეში მოყვანის ენერგიაც. თქვენ უბრალოდ აწონდაწონვა და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა უნდა ასწავლოთ.

ოთახი ეცადეთ ნათელ ფერებში მოუწყოთ, ბევრი სინათლით და სივრცით. აურჩიეთ სათამაშოები რომლებიც კოორდინაციის გაუმჯობესებაში დაეხმარებიან. მიეცით სიახლეები, გამოწვევები და თავისუფლება. არ გიჯერებთ? უნდა რომ ყველაფერი თავის ჭკუაზე იყოს? შესთავაზეთ თქვენი ვარიანტები და ამ ვარიანტებიდან აირჩიოს თავად. ასე ორივე კმაყოფილები დარჩებით. ეს ბავშვი დედისგან მისი დამოუკიდებელი სულის წახალისებას მოითხოვს. ის თქვენგანაც მოითხოვს რომ იყოთ ლიდერი, ძლიერი და დამოუკიდებელი ქალი, რადგან მის გულშიც ყოჩობის პოტენციალი ღვივის და თუნდაც არ გქონდეთ მკვეთრად გამოხატული „მომყევით“ ტიპის ხასიათი, მუდმივად ეცდება თქვენში ამ ხასიათის დანახვას. სხვანაირად ვერაფერს გახდებით. გინდათ რომ თქვენს ჭკუაზე გაიაროს? ამისთვის თქვენი ძალა უნდა იგრძნოს, მაგრამ თვითგამოხატვის ჯანსაღი ფორმა რომ განუვითარდეს არავითარ შემთხვევაში არ დაანახოთ აგრესია, სხვა ფორმა მოძებნეთ. მან უნდა გაიაზროს მისი ქმედებების და სიტყვების ზემოქმედების მნიშვნელობა სამყაროზე, თუკი დედა მოახერხებს დაჟინებულობასა და ანგარიშის გაწევას შორის ბალანსის პოზიტიურ დემონსტრირებას, იგი მშვენივრად აითვისებს ყველაფერს.

## კურო
## 21.04-20.05

ბუთქუნა, ბუნჩულა, დინჯი და რბილი. მას სიმშვიდე უყვარს და შეიძლება მთელ ოჯახზე დამამშვიდებლად მოქმედებდეს. თანმიმდევრობა, კომფორტი და სტაბილურობა – აი, მისი უპირველესი მოთხოვნები. რალაცნაირად ნაზი და სასიამოვნო ბუნება გამოსჭვივის ამ ბავშვისგან, მოსაფერებლად გეძახისო თითქოს, მაგრამ თუ დისკომფორტი შეექმნა, ისეთი სიკერპის გამოჩენა შეუძლია, რომ არ დაგესიზმრებათ. ჩვილობისთანავე მოგიწევთ მკაცრი რეჟიმის შედგენა – წუთებში უნდა გქონდეთ გათვლილი მისი კვების, ბანაობის, ჰაერზე გასეირნებისა და დაძინების განრიგი. ხასიათის სიმტკიცეს, რომლის გამოვლენასაც სადღაც 2 წლის ასაკის ზევით იწყებენ სხვა ბავშვები, თქვენი პატარა თვეებისაც გამოავლენს. კურო როგორც იცით, ფიქსირებული ნიშანია და სიახლეები დიდად არ უყვარს, ამიტომ მის მენიუში ნებისმიერი ახალი კერძის შეტანა პრობლემებთან დაკავშირებული შეიძლება გახდეს. ნუ მიაყრით ერთბაშად ყველაფერს, ნუ დააძალებთ, ნუ გაუბრაზდებით, ნელ-ნელა და მშვიდად „შეაპარეთ“ ნებისმიერი სიახლე და აუცილებლად მიეცით დრო ადაპტაციისთვის. აუცილებლად წინასწარ მიიყვანეთ ბაღში და სკოლაში, წინასწარ შეაგუეთ მასწავლებლებს, თუ გინდათ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს.

ლამაზი, მშვიდი და მიწიერი სითბოთი სავსე გარემო მის კრეატივს გაზრდის. კონსტრუქტორები, ასაწყობი აგურები, პლასტელინები, ხელის საღებავები და ზოგადად ყოველგვარი სათამაშო, სადაც ,,ფანტაზია და მარჯვე ხელები“ დასჭირდება, სასიკეთოდ იმოქმედებს მის განვითარებაზე. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ სათამაშოები ნატურალური მასალისგან იყოს შექმნილი. თერაპიული ფუნქცია ექნება მისთვის მუსიკასაც, შეიძინეთ მუსიკალური ნივთები და როცა აფორიაქებულია უმღერეთ, დედის ნაზი ხმა მას აუცილებლად დააწყნარებს. არასოდეს უყვიროთ, მშვიდი და რბილი ტონი მასთან გაცილებით ეფექტურია.

გახსოვდეთ, რომ თქვენი პატარასთვის უმნიშვნელოვანესია გრძელვადიანი ემოციური კავშირების შექმნა. თქვენ უნდა ასწავლოთ, როგორ შექმნას ძლიერი კავშირები ხალხთან და ამასთანავე შეეგუოს ცვლილებებს, როცა საჭიროა.

## ტყუპები
## 21.05-21.06

თქვენი პატარას ცნობისმოყვარე თვალები ალბათ სამშობიაროშივე გადაგიკრავენ სიტყვას, თუ რა მოუსვენარ არსებასთან გაქვთ საქმე. სახლში მოყვანისთანავე საწოლში ფერად-ფერადი ტრიალ-ბზრიალა სათამაშოები ჩამოუკიდეთ, რომ რამენაირად გაართოთ. ბედნიერებისთვის მას მრავალფეროვნება სჭირდება. სხვადასხვა სანახაობა და მხიარული ჰანგები – პირველივე დღეებიდანვე გაახალისებს. ვერ ისვენებს ვერც ფიზიკურად, ვერც გონებრივად და თუკი გასართობი ვერ ნახა, სახლს გადადგამს. განწყობა, ხასიათი და გემოვნება ქარის სისწრაფით ეცვლება და გუშინ რომ ნეტარებით მიირთმევდა იმ ფაფაზე დღეს შეიძლება დაგეჯღანოთ.

ტყუპებს მერკური მართავს და თქვენ პატარასაც მენტალური კავშირის საოცარი მოთხოვნილება ექნება. ასეთი ბავშვები როგორც წესი ადრე იწყებენ ლაპარაკს, თუნდაც მხოლოდ თქვენთვის გასაგებ ენაზე. როცა ელაპარაკებით მშვიდდება, როცა უგებთ, თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს. დედა მისთვის არის შუამავალი, ერთგვარი კომუნიკატორი, მისთვის გაუგებარი და ასე საინტერესო სამყაროს პირველი განმმარტებელი. ასე რომ, დედიკოებო, თუკი რომელიმე საგნის სწავლა ბავშვობაში დაგეზარათ, ახლა მოგიწევთ თქვენს ცნობისმოყვარე შვილთან ერთად.

მას ყველაფრის ცოდნა სურს, ყველაფრის გაგება, ყველაფრის ნახვა, თქვენ კი ფოკუსირება უნდა ასწავლოთ. თავდაპირველად შეიძლება ვერც შენიშნოთ, მაგრამ შემდგომში როცა უკვე დისციპლინა დასჭირდება საგნის დასაუფლებლად, აღმოაჩენთ როგორ უჭირს კონცენტრი-

რება რამეზე, როგორც კი ინტერესს კარგავს. ამიტომ ზრუნვა ადრეული ასაკიდანვე დაიწყეთ. აუცილებლად დაუთმეთ დღის რეჟიმში დრო კითხვას, ისე რომ ეს ჩვევად ექცეს. როცა წამოიზრდება წაახალისეთ თვითონაც შეთხზას, დაწეროს და მოყვეს მისი მოგონილი ისტორიები (სასურველია თუ ტყუილების მოგონების მაგივრად ამაზე დაიხარჯება მათ უშრეტი ფანტაზია და მთხრობელის ნიჭი). ანბანი, რიცხვები, წიგნები (განსაკუთრებით მუსიკალური და ნახატებით გაფორმებული წიგნები) მისთვის საყვარელი გასართობი იქნება, მაგრამ მერკური ხელებსაც მართავს და ნურც მანუალური განვითარებისთვის შექმნილ სათამაშოებს დაივიწყებთ.

ნათელი ოთახი, დიდი ფანჯრებითა და სუფთა ჰაერით ტყუპებისთვის ყველაზე კომფორტული იქნება, მაგრამ სავარაუდოდ დაძინების პრობლემაც გექნებათ და ძილისთვის აუცილებლად უნდა შეუქმნათ წინაპირობა. პირველ რიგში, გაანიავეთ ოთახი ძილის წინ, ჩაურთეთ წყნარი მელოდია, აქტიური თამაშიდან რაიმე მონოტონური გასართობზე გადაიყვანეთ, საუკეთესო გამოსავალი ამ დროს ზღაპრების კითხვა იქნება. სუსტი განათება და სიწყნარე თავისას გაიტანს და ნელ-ნელა მიეჩვევა მოსვენების მდგომარეობას. ასწავლეთ მოდუნება, კონცენტრირება, დაიცავით დისციპლინა და მისდიეთ დღის განრიგს.

## კირჩხიბი
## 22.06-22.07

მის და მისტერ უჩახუტებულესობა. ის დედიკოს ბაიაა და მშვიდად და უსაფრთხოდ მხოლოდ თქვენზე მოწებებული გრძნობს თავს. ძალიან გაგიჭირდებათ მისი კალთიდან მოგლეჯა. ყოველთვის ზურგს უკან მოგეფერებათ, როცა ვინმეს წარუდგენთ და ბედნიერი წამოგყვებათ სახლში ხალხმრავალი და ხმაურიანი წვეულებიდან.

კიბო მთვარეს იმდენად ძლიერი დრაივი აქვს ოჯახისგან დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, შეიძლება თქვენმა პატარამ რაიმე ნივთი, სათამაშო აიჩემოს, რომელსაც ამ გრძნობას დაუკავშირებს და ყველგან თან ატაროს. არასოდეს დაუშალოთ ეს.

როცა წამოიზრდება სიამოვნებით დაგეხმარებათ საოჯახო საქმეებში და აუცილებლად მოძებნის ვინმეს, ვისზეც უნდა იზრუნოს. არ აქვს ბავშვის სქესს მნიშვნელობა, ბიჭებიც კი სიამოვნებით იტრიალებენ სამზარეულოში თქვენთან ერთად და იცოდეთ რომ ეს სრულიად ჯანსაღი და ბუნებრივია. ნუ ეტყვით რომ ეს ბიჭის საქმე არ არის, მამაკაცები ხშირად ქალებზე უკეთესი მზარეულები დგებიან და თქვენს პატარასაც მიეცით შანსი. დაეხმარეთ მის მზრუნველ ბუნებას განვითარებაში. გოგონები თოჯინებთან მაინც ითამაშებენ დედა-შვილობანას და ბიჭებმა რა ქნან? შესანიშნავი იქნება თუ ლეკვს, ან სხვა რომელიმე შინაურ ცხოველს მოუყვანთ, რომლის სიყვარულით და მოვლით დაიკმაყოფილებს ვინმეზე ზრუნვის საოცარ მოთხოვნილებას.

თქვენი პატარა იმდენად მგრძნობიარე და ადვილად მოწყვლადი იქნება, აუცილებლად უნდა აკონტროლოთ არა მხოლოდ სიტყვები, ემოციებიც კი, იმიტომ რომ შესანიშნავი ინტუიცია აქვს და იმდენად ძლიერი გამტარია, როგორც არ უნდა ეცადოთ მის მოტყუებას, ემოციურ დონეზე აუცილებლად იგრძნობს ყველაფერს, რაც ხდება. ეს უდიდესი ნიჭია და თუ შეძლებთ მის განვითარებაში დაეხმაროთ, ჩათვალეთ რომ უკვე სწორ გზაზე დააყენეთ.

მისთვის დედა ზრუნვის და დამცველის მოდელია, მაგრამ ზედმეტად სულსაც ნუ შეუხუთავთ. არასოდეს უყვიროთ და გაუბრაზდეთ. მას ისე უყვარხართ, თუკი გაიგო რომ ტკივილი მოგაყენათ, უკვე დასჯილია. არასოდეს დასცინოთ, გახსოვდეთ რომ ის ფრთხილია და არა მშიშარა. უბრალოდ ასწავლეთ რეალურ და არარეალურ შიშებს შორის განსხვავება. ნუ დააძალებთ, შესთავაზეთ და დაელოდეთ, თავად გააკეთებს თქვენს სასურველ არჩევანს.

შეუქმენით თბილი და მყუდრო გარემო, რელიქვიებითა და სამახსოვრო ნივთებით სავსე. მოეწონება შესახებად სასიამოვნო და კარგი ჩასახუტებელი სათამაშოები.

ეყვარება სიმღერა, განსაკუთრებით თუკი ვინმე აყვება და ისტორია. მოუყევით მისი დაბადების ამბები, პატარაობის ვიდეოები, ფოტოები აჩვენეთ, თქვენი

ბავშვობის, წინაპრების ისტორიასაც სიამოვნებით მოისმენს. რომ წამოიზრდება ალბათ დღიურებსაც დაწერს, კოლექციონერობას მიჰყოფს ხელს და ალბომში ამონაჭრების ჩაწებებაც ძალიან გაართობს, მაგრამ ყურადღებით იყავით, ზედმეტი არ მოუვიდეს და ერთხელაც მისი ლეიბის ქვეშ ამ ამონაჭრების, გამხმარი ყვავილების, წერილებისა თუ ფოტოების ზღვა არ აღმოაჩინოთ. აუცილებლად ასწავლეთ რალაცეებისთვის მარტივად შეხედვა, გადახარშვა, გატარება და დავიწყება და რომ ცრემლების ღვარ-ღვარითა და წუწუნით პრობლემები არ გვარდება.

## ლომი
## 23.07-23.08

კამერა ჩართეთ! პროჟექტორები მიანათეთ! თორემ შეიძლება სახლი გადაწვას, თქვენი ყურადღება რომ მიიქციოს. ის კომფორტულად ყურადღების ცენტრში გრძნობს თავს და ნებისმიერი ხერხით ეცდება რომ შეამჩნიოთ.

ლომი ბავშვი სულ სცენაზეა, დგამს დრამას, ითხოვს აპლოდისმენტებს და გასხივოსნებული ღიმილით იღებს კომპლიმენტებს. ისინი არტისტული მონაცემებით არიან დაჯილდოებული და თუ მისცემთ თამაშის, ცეკვის თუ სიმღერის საშუალებას, სიამოვნებით დახვეწენ ტალანტს. ეს მაინცდამაინც არ ნიშნავს რომ მსახიობი გეზრდებათ, მაგრამ თუ სწორად უპოვნით ნიშას, ნიჭის განვითარებაში ხელს შეუწყობთ, სხვებისთვის თავის წარდგენის, ყურადღების მიქცევის ადეკვატურ მეთოდებს შეასწავლით, აუცილებლად დაეხმარებით პოზიტივზე ფოკუსირებაში, რაც შემდგომში ნებისმიერ პროფესიაში გამოადგება, მით უმეტეს რომ ლიდერობის პოტენციალი მასში უკვე დევს.

ლომი ბავშვის გულში თქვენ დედოფალი ხართ და ამის დასამტკიცებლად, ათასი სისულელე შეიძლება თქვას (მაგალითად – ჩემი დედიკო შენს დედიკოზე მაგარია, ჩემი დედიკო შენს დედიკოზე ხმამაღლა ლაპარაკობს!). ყოველთვის იამაყებს და ყოველთვის მოიწონებს თავს თქვენით. თავადაც ძალიან ეყვარება ტრაბახი და თავისი

შესაძლებლობების გაზუქება. მათი სისუსტე, ის არის, რომ მიდრეკილება აქვთ სიზარმაცისკენ და ძალიან უყვართ თავისი გასაკეთებელი საქმის, სხვისთვის გადავალება (ე.წ. ,,პატარა პრინცის“, ან ,,პატარა პრინცესას“ კომპლექსი). ამიტომ ადრეული ასაკიდანვე უნდა ასწავლოთ, რომ ,,მეფობას“ ცოდნა სჭირდება, პატივისცემას – დამსახურება და რომ ბრძანებების გაცემა კი კარგია, მაგრამ მომთხოვნი და მბრძანებლური ტონი, არც ისე სასიამოვნო. ყოველთვის როცა ცუდად იქცევა, მიეცით შენიშვნა, მაგრამ ნურასოდეს ეტყვით რომ ცუდია, უბრალოდ აუხსენით რომ ასეთ კარგს ასეთი ცუდი საქციელი არ შეშვენის და არ ეკადრება. ამასთანავე, არ გამოგეპაროთ არცერთი მისი დიდსულოვანი და კეთილშობილური საქციელი (თუნდაც წვრილმანი) და აუცილებლად შეაქეთ, რომ წაახალისოთ.

სახლში, მზიანი და გასართობი სათამაშოებით სავსე ოთახი გამოუყავით, ეს მისი სამფლობელო იქნება. კარგი იქნება თუ ოჯახურ შეკრებებზე რაიმე თამაშებს ითამაშებთ და თქვენს პატარასაც ჩართავთ. მიეცით საშუალება რომ ისწავლოს ღირსეული წაგება, მოგებულისთვის მილოცვა, სხვისი თამაშის ყურებით ტკბობა და სხვისთვის ტაშის დაკვრითაც სიამოვნების მიღება.

## ქალწული
## 24.08-23.09

მას დაბეჯითებული, ღრმა ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით იცნობთ. კაპრიზული და აზიზი ბავშვები არიან და ჩვილობაშივე გამოხატავენ ამას, როცა მის საკვებ რაციონში ახალი საკვების დამატებას დაიწყებთ. თუ გასინჯული საკვები არ მოეწონა, ცოტა დრო უნდა მისცეთ, თორემ შემდეგი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდება.

ასეთ ბავშვებს სწავლა უყვართ და ძალიან კმაყოფილი რჩებიან, როცა მშობლები აღნიშნავენ მის სწორ პასუხებს და მიღწევებს. ის ჩუმად ზის და ჩვეულებრივ რაღაცეებს არაჩვეულებრივი ფორმით აკეთებს, თანაც საკუთარი თავით უკმაყოფილო. ქალწულ ბავშვს ადრეული ასაკიდანვე უვითარდება თვით დისკრიმინაციის გრძნობა,

ბავშვობაშივე ხედავს ნაკლოვანებებს და იტანჯება არასრულყოფილებით. აუცილებლად გაგისწორებთ თუკი რაიმეს არასწორად ამბობთ და საშინლად განიცდის თუკი რაიმეს ზედმიწევნით ზუსტად ვერ აკეთებს. ხშირად ჰგონია რომ სტანდარტებთან შესაბამისობაში ვერ მოდის და არასრულფასოვნების კომპლექსი რომ არ განუვითარდეს, მშობლებმა უნდა დააჯერონ რომ ყველაფერი რიგზე აქვს.

თქვენს პატარას მოეწონება საქმიან როლში ყოფნა და სათამაშოები, რომლებიც ასწავლიან როგორ აკეთოს საქმე. სხვადასხვა ხელსაწყოები, ელექტრონული გაჯეტები, დამხმარე ტექნიკა და კომპიუტერები – აი, რით უნდა გაახაროთ მისი პაწია გული.

მისთვის დედა ის ადამიანია, ვინც ყველაფერს აკეთებს სწორად, არასოდეს უშვებს შეცდომას და ყოველთვის განუმარტავს რა მისაღებია და რა – მიუღებელი.

ასეთი ბავშვები ორგანიზატორებად არ იბადებიან. შესაძლოა მუდამ ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდეს, მაგრამ ამის მოთხოვნილება აქვს და სისუფთავე და დალაგება თქვენ უნდა ასწავლოთ. ის სიამოვნებით წაგიკრავთ ხელს ნებისმიერ საქმეში და დაგეხმარებათ სხვადასხვა აქტივობაში. დიახ, ბავშვობიდანვე!

## სასწორი
## 24.09-23.10

სასწორი ბავშვი ესთეტად იბადება, ხელოვანის თვალით უყურებს სამყაროს და მშვენიერებისადმი გულგრილი ვერასოდეს რჩება. მშვიდ და ლამაზ გარემოში თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს. ფერები ძალიან დიდ გავლენას ახდენენ მასზე.

თქვენი პატარა იმაზე მგრძნობიარე იქნება, თქვენ რომ თავიდან გეგონათ. სულ მცირე უხეშობაზე და არასასიამოვნო გარემოში მყისიერად გაღიზიანდება. საკმარისია მოუხერხებელ პოზაში დასვათ/დააწვინოთ ან სინათლე ეზედმეტოს ფანჯრებში, მაშინვე საშინელ ხასიათზე დადგება. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ვერ შეამჩნიოთ მისი რბილი, დამჯერი და წყნარი ხასიათი.

სხვა ადამიანების გარემოცვაში ყოფნა სასწორი ბავშვისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ არ იცის ლაპარაკი. სხვებთან შეხება და კონტაქტი ასეთი ბავშვებისთვის ყველაზე ძლიერი მოტივატორია.

შეურჩიეთ ისეთი გასართობი გარემო და სათამაშოები, რომელიც არტისტული პოტენციალის გამოვლენაში დაეხმარება: ფერადი ფანქრები, ცარცები, ფლომასტერები, სახატავი დაფები, საჭრელ-საწებებელი აპლიკაციები და ა.შ. მას თანდაყოლილი დიზაინერობის ნიჭი აქვს. ყველა თოჯინას და დათუნიას თავად შემოსავს და სახლის, განსაკუთრებით კი თავისი ოთახის მოწყობაშიც თუ მიაღებინებთ მონაწილეობას, შეიძლება მისი ენთუზიაზმით გაოცებული დარჩეთ.

უმთავრესი პრობლემა, რომლის დაძლევაშიც უნდა დაეხმაროთ თავდაჯერების ნაკლებობაა. ისინი გიჟდებიან თავიანთ მეგობრებზე, მარტივად იხიბლებიან სხვისი შესაძლებლობებით, მაგრამ საკუთარ ძლიერ მხარეებს საერთოდ ვერ აღიქვამენ და ვერ აფასებენ. ოჯახის წევრებთან და ცოტა მოგვიანებით უახლოეს მეგობრებთან სასწორი ბავშვი უფრო თამამად ახერხებს თავისი ნიჭის გამოვლენას, მაგრამ სცენაზე აბიჯებას მათი მხარდაჭერის გარეშე ვერასოდეს მოახერხებს. მასზე ძალიან მოქმედებს ნებისმიერი ადამიანის აზრი და მუდმივად განიცდის იმას, თუ როგორ შთაბეჭდილებას დატოვებს სხვებზე. ეცადეთ გვერდში დაუდგეთ, აგრძნობინეთ რომ მარტო არ არის: კარგი იქნება თუ ეცოდინება რომ კულისებში დგახართ, ან წინა რიგში, გამოსაჩენ ადგილას დაბრძანდით. ამასთანავე, აუცილებლად გაატარეთ რეპეტიციები, ისე გაუსწორეთ შეცდომები, არ დააკომპლექსოთ და გამხნევებული გაუშვით პუბლიკასთან შესახვედრად.

მტკივნეული საკითხი იქნება მისთვის თანატოლებში ზეწოლის და ჩაგვრის არსებობაც და აუცილებლად ელაპარაკეთ ამ თემაზე, მიეცით რჩევები როგორ გაართვას თავი სკოლის მეგობრებთან ურთიერთობას. ნუ დაგავიწყდებათ რომ მისი უმთავრესი დრაივი

პარტნიორობაა და თქვენი და თქვენი მეუღლის, თუ თქვენი და თქვენი ნაცნობ-მეგობრების ურთიერთობა პარტნიორობის მოდელი მისთვის, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს ზრდასრულ ასაკში. ასე რომ ფრთხილად! იყავით სამაგალითო, დაეხმარეთ გახდეს თავდაჯერებული და ასწავლეთ თვითგამოხატვა.

## მორიელი
## 24.10-22.11

ასეთი ბავშვები ძალიან მძაფრად გრძნობენ და აღიქვამენ ყველაფერს. ძალიან სენსიტიურები არიან გარემოს გამაღიზიანებელი სტიმულების, განსაკუთრებით კი ხმაურის და ტემპერატურის ცვლილებების მიმართ. დამოკიდებულები არიან დედაზე, აქვთ ფიზიკური სიახლოვის აშკარად გამოხატული მოთხოვნილება. არასდროს არ ჰყოფნით სიყვარული და თუკი მოფერება მოაკელით, მთელი ცხოვრება ახსოვთ.

მორიელი ბავშვები ძალიან ჯიუტები არიან და ხასიათის სიმტკიცეს, წამოიჩიტება თუ არა მაშინვე გაგრძნობინებთ. შეიძლება არაფრით დაგითმოთ საბანი, გარეცხვას რომ დააპირებთ, ან თქვენთან მოსულ ნათესავ ბავშვთან თამაშსა თუ სათამაშოების თხოვებაზე კატეგორიული უარი განაცხადოს, მხოლოდ იმიტომ რომ ასეთ ხასიათზეა და ასე ეპრიანება ახლა. ეს მოლაპარაკებების წარმოების ნიჭის განვითარების საწყისი ეტაპია, მაგრამ თქვენ შეიძლება იფიქროთ რომ მასთან გამარჯვების შანსი არ გაქვთ. მუქარა მასთან არ გაჭრის, ვერ გატეხავთ – „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა!". სიჯიუტე კიდევ უფრო ექსტრემალურ ფორმებს იღებს, თუკი ოდესმე სიტყვა გაუტეხეს, ერთხელ რაიმე აიღეს და უკან აღარ დაუბრუნეს. ეცადეთ, რასაც დაპირდებით, ყოველთვის შეუსრულოთ, ან საერთოდ ნუ დაპირდებით. როცა გარანტია ექნება, მოლაპარაკებაზეც წამოვა.

მას თავისი ოთახი სჭირდება, აუცილებლად თავისი, კომფორტული ლოგინით და თეთრეულით. სავარაუდოდ ეყვარება მუსიკა, ხელოვნება, მისტიკა და ზღაპრებიც ფანტასტიკის ჟანრში შეურჩიეთ.

მას დაბადებიდანვე ხასიათი აქვს და სკოლის ასაკში განსაკუთრებით გამოავლენს ამას. იცოდეთ რომ ექნება უამრავი საიდუმლო და მისი პირადი ცხოვრება, რასაც პატივი უნდა სცეთ, თორემ სამუდამოდ დაკარგავთ ნდობას. უყიდეთ ბოქლომიანი დღიური, პატარა ყუთი, სადაც თავის სამყაროს შეინახავს და არასოდეს ჩაყოთ ცხვირი შიგ, მის დაუკითხავად.

საიდუმლოებებს წარმოადგენს მისი განცდებიც. ეს ის ბავშვებია, თავის ოთახში რომ შერბიან ცრემლების საღვარღვაროდ, ღამღამობით რომ ტირიან მარტო და ვერ ხვდებით რატომ. მალავენ გრძნობებს, ემოციებს. ეცადეთ მიაჩვიოთ ამ ყველაფრის გამოხატვას, სხვისთვის გაზიარებას. თუნდაც წყენა იყოს, ტკივილი, ასწავლეთ რომ ყველაფერი თქვას და გულში არ ჩაიდოს, თორემ შემდეგ საკუთარ თავს მოიწამლავს.

მისთვის დედა ღრმა, სერიოზული და ჭკვიანი ადამიანია, ის თვლის რომ კეფაზეც თვალები გაქვთ და ყველაფერს ხედავთ, ყველაფერს ამჩნევთ. მისთვის თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც დაეხმარება გარდაიქმნას და უკეთესი გახდეს, ამისთვის კი ნდობა უნდა მოიპოვოთ. ეს არც ისე რთულია, თუმცა თუკი ერთხელ იმედი გაუცრუეთ ხელახლა აღდგენა ძალიან გაგიჭირდებათ. ამიტომ ფრთხილად. მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული ვის გაზრდით – დიდებულ ადამიანს თუ უკანასკნელ არამზადას.

## მშვილდოსანი
## 23.11-21.12

,,ატაში“ უნდა! სანამ ფეხს აიდგამს, თქვენ მოგიწევთ კენტავრის ფუნქციის შესრულება, მერე კი ფორთხვას როცა ისწავლის, აღმოაჩენთ რამდენი თავგადასავალი შეიძლება ვინმეს გადახდეს საკუთარ სახლშიც კი...

ის პატარა მაწანწალაა. სადმე წასვლაზე თვალების გაბრწყინებით სავარაუდოდ ვერ შემოიფარგლება და სიხარულის ყიჟინასაც დასცემს. მოკლედ, მანეჟისთვის ნუ დაიხარჯებით, შესაძლოა არც გაჩერდეს. მისთვის სივრცე და მოძრაობა ჰაერივით საჭიროა.

კიდევ ერთი შტრიხი, რითაც სხვებისგან გამოარჩევთ, მისი საფირმო სიცილია, ჩაბჟირებამდე. ხმაურიანი, გულიანი და გადამდები სიცილი. მისი გაცინება ადვილია.

თქვენი პატარა დაბადებით ოპტიმისტი იქნება. სხვა ბავშვები თუ ერთი ფეხის წამოკვრის მერე წარუმატებლობის შიშით ნაბიჯს ვერ დგამენ, ის მეათეჯერ კისრის მოტეხვის შემდეგაც დამოუკიდებლად წამოდგება და თავიდან შეუდგება საქმეს.

მშვილდოსანი მთვარის დრაივი და მოთხოვნილებები ბავშვებს უბიძგებს ყველაფერი თამაშად აღიქვან, ის არ ცნობს ლიმიტებს. მოგეჩვენებათ რომ ბავშვმა არ იცის „არ შეიძლებას" მნიშვნელობა. მშვენივრად იცის! უბრალოდ არ სურს ამ სიტყვის მიღება!

მისი უმთავრესი პრობლემაც დისციპლინასთანაა დაკავშირებული. უჭირს წვრილმანებზე კონცენტრირება, ვერ ეგუება შეზღუდვებს და არ სურს დაემორჩილოს საყოველთაო წესრიგს. სკოლაშიც შერჩევით სწავლობენ ხოლმე, თუ რომელიმე საგნის მიმართ ინტერესი არ აქვს, მხოლოდ იმიტომ რომ საჭიროა, გაგიჭირდებათ მისი სამეცადინოდ დასმა. შატალოების ორგანიზებასაც ბრწყინვალედ გაართმევს ხოლმე თავს.

მისი მასწავლებელი თქვენ უნდა გახდეთ. სწორედ თქვენ უნდა წაახალისოთ მეტი რომ ისწავლოს და უკეთესად აკეთოს, რასაც აკეთებს. ეცადეთ ფილოსოფიურად მიუდგეთ მას, იგავების ენაზე ესაუბროთ და ასე მიიყვანოთ სწორ გზამდე. უნდა იცოდეთ რომ თქვენ მიერ მისთვის ბავშვობაში ნათქვამი ყოველგვარი სისულელე და ბანალობა აბსოლუტურ ჭეშმარიტებად აღიქმება და მის ემოციური ინტელექტის ჩამოყალიბებაში ლომის წვლილი შეაქვს. რა ღირებულებებსაც მისცემთ, იმ ღირებულებებით ივლის, სანამ მთელი სამყარო ამის საწინააღმდეგოს არ დაუმტკიცებს და მერე იწყება იდეალების მსხვრევა. ნუ გაწირავთ ამხელა სტრესისთვის. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ თქვენს ფუნქციას. დახვდით მის შეკითხვებს მზად. უყიდეთ ენციკლოპედია, ან ინტერნეტში მოიძიეთ ერთად საჭირო ინფორმაცია. არ ინანებთ!

## თხის რქა
## 22.12-20.01

თუკი რომელიმე ბავშვს თანმიმდევრობის, დისციპლინის და მუდმივობის მოთხოვნილება აქვს, მაშინ ეს თხის რქა ბავშვი იქნება. დაბადებიდან სერიოზულები არიან. მისი დრაივი სტრუქტურიზებიდან იღებს სათავეს. გაწერილი გეგმის გარეშე გაურკვევლობაში გრძნობს თავს, რუტინა მოსწონს, მაგრამ ზედმეტიც ნუ მოგივათ დღის წესრიგის შედგენისას. უბრალოდ ნუ იქნებით დაუდევარი, თორემ მის პატივისცემას და ნდობას აუცილებლად დაკარგავთ.

აუცილებელია რომ წაახალისოთ გრძნობების გამოხატვაში, რადგან საშინელი მიდრეკილება აქვს აკონტროლოს, გულში ჩაიმარხოს ემოციები.

ის ყოველთვის ზედმეტი პასუხისმგებლობით უდგება ყველაფერს, რამდენიც არ უნდა გააკეთოს მუდმივად აქვს შეგრძნება რომ საკმარისი არ არის. კარგია რომ კარგის და ცუდის განსხვავება იცის, ძალიან მნიშვნელოვანია რომ ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეს, მაგრამ ზედმეტ ტვირთს ნუ აჰკიდებთ, თორემ ჩათვლის რომ ბავშვობა საერთოდ არ ჰქონია. განსაკუთრებით მიაქციეთ ყურადღება ამ საკითხს, თუკი თქვენი თხის რქა პატარა უფროსი შვილია ოჯახში, შესაძლოა მოგეჩვენოთ რომ სიამოვნებით იღებს უმცროს და-ძმებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, მაგრამ საკუთარი მოთხოვნილებების განვითარებაში აუცილებლად შეუშლის ხელს. ეცადეთ გაუხანგრძლივოთ ბავშვობა.

რაც შეეხება ნათელ მხარეს, თხის რქა იუმორით უყურებს ცხოვრებას. „წვეტიანი“ აზრები პატარა ასაკიდანვე აწუხებს და ბასრი გონებამახვილობით ბავშვობაშივე გაგრძნობინებთ მომავალი ცინიკოსის პოტენციალს.

მას ეყვარება უფროსების კომპანიაში ყოფნა, მათთან თანატოლებზე მეტ დროს შეიძლება ატარებდეს, ეგებ მეგობრებსაც მასზე უფროსი ასაკისას ირჩევდეს. თითქოს მენტორს ეძებს, გზამკვლევს წინსვლასა და თავდაჯერების მოპოვებაში ვინც დაეხმარება.

ეცადეთ, მეტი დრო გაატაროს ბუნებაში. ნუ დაუშლით „არქეოლოგიური თხრების“ წარმოებას და თავისი

„აღმოჩენებით“ ოთახის ავსებას. მისთვის მიწასთან ახლოს ყოფნა აუცილებელია. მას ყველაზე მეტად მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის ხილვა სურს ცხოვრებაში და ბუნება ამის საუკეთესო მასწავლებელია.

## მერწყული
## 21.01-20.02

პირველი, რითაც მერწყული ბავშვი თქვენს ყურადღებას მიიქცევს ეს მისი კრიალა, ციმციმა თვალების მშვენიერება იქნება. ის კი არ იცქირება, ბრწყინავს. შეყვარებული თვალები გინახავთ? როცა გიყურებთ, მოგეჩვენებათ რომ თქვენს სულში ჩაიხედა, მაგრამ მხოლოდ კარგი დაინახა და ბედნიერად იგრძნობთ თავს ამის გამო. ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს რჩება პრიორიტეტად შემდეგ უკვე ზრდასრულ ასაკშიც – დაინახოს ადამიანები საუკეთესო მხრიდან.

ბავშვობაში მას საოცარი მოთხოვნილება აქვს რომ იყოს უნიკალური, განსაკუთრებული. თუმცა შესაძლოა პირიქით, განიცდიდეს რომ ზედმეტად განსხვავებულია და კომპლექსები გაუჩნდეს ამის გამო.

ზრდასთან ერთად დაიწყებს ისეთი მეგობრების და ზოგადად ისეთი სამეგობრო წრის მოძებნას, რომლებიც გამორჩეულები იქნებიან თავიანთი ინდივიდუალურობით, ხასიათით. მეგობრობა და მეგობრები მისთვის უმნიშვნელოვანესია და უპირველესი მიზეზი ყოველდღე ჯერ ბაღში, მერე კი სკოლაში სასიარულოდ. საბედნიეროდ, კვლევის შემეცნების პროცესიც ძალიან უყვარს და ამის ხათრითაც სიამოვნებით შეიძლება სწავლობდეს.

სახლში ბევრი ჰაერი სჭირდება, კარგად რომ ნიავდება ისეთი ოთახი და ბევრი სივრცე. ძალიან ეყვარება კომპიუტერული თამაშები, ელექტრონული სათამაშოები, სხვადასხვა გაჯეტები, ფაზლები, ინტერაქტიული თამაშები. მას ძალიან მოსწონს გამოცნობის პროცესი და კონტაქტი.

აუცილებლად წაახალისეთ მისი კომუნიკაციის სქილები, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენს პატარას ძალიან ბევრი აქვს სათქმელი. ხშირად გაგაოცებთ საინტერესო აზრებითა და ძველი იდეების საკმაოდ ორიგინალური ახლებური ხედვით.

ყოველთვის ყურადღებით მოუსმინეთ მის შეკითხვებს და ეცადეთ საინტერესო პასუხები გასცეთ. ამ ბავშვებთან ჩხუბს და მუქარას აზრი არ აქვს, ყოველთვის როცა რაიმეზე გინდათ დაიყოლიოთ, თუკი კარგად დაუსაბუთებთ, რატომ უნდა გააკეთოს ან არ გააკეთოს ეს, აუცილებლად გაითვალისწინებს თქვენს აზრს (სკოლამდელ ასაკშიც კი).

ის დედას განსაკუთრებულს და განსხვავებულს ხედავს. ეცადეთ არ იყოთ შაბლონური და კიდევ დაიმახსოვრეთ რომ სწორედ თქვენ უნდა ასწავლოთ ემოციური კავშირის დამყარება. მას მენტალურ დონეზე კონტაქტი შეიძლება არ უჭირდეს, მაგრამ ემოციურ დონეზე ძალიან მიუდგომელი და დამოუკიდებელია. თუ გინდათ რომ ზრდასრულ ასაკში ურთიერთობები არ გაურთულდეს და ისწავლოს ჯანსაღ ობიექტურობასა და ემოციურ უკარებლობას შორის განსხვავება, ეცადეთ თავი აგრძნობინოთ განსაკუთრებულ, თბილ და სიცოცხლით სავსე პიროვნებად. დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი გაიზრდება.

## თევზები
## 21.02-20.03

თევზები ბავშვი სახლში ემოციების ბარომეტრია. თევზების შთაბეჭდილებიანი ბუნება ამ ბავშვების ემოციებს ექსტრა მგრძნობიარე ფილტრს სჩუქნის. ის ყველაზე ძლიერი გამტარია ნიშნებს შორის. სარკესავით ირეკლავს გარშემომყოფების გრძნობებს, ემოციებს და როცა სხვები გაღიზიანებულები და აფორიაქებულები არიან ავადმყოფობასავით გადაედებათ ხოლმე მათაც.

მისთვის მშვიდი გარემო სასიცოცხლოდ აუცილებელია. როცა ღელავს, პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ იმას რომ თავადაც დამშვიდდეთ. გაუღიმეთ, წყნარი მუსიკა ჩაურთეთ, ან თავად უღიღინეთ რაიმე და აუცილებლად მოახერხებთ მის დაწყნარებას.

თქვენს პატარას საოცარი მოთხოვნილება ექნება თქვენთან შინაგანი კავშირის შენარჩუნების და აუცილებლად უნდა იცოდეთ რომ ჭიპლარი ემოციურ დონეზე არასოდეს წყდება. ის ძალიან ადვილად შეისრუტავს თქვენს გუნება-

განწყობილებებს და შეძლებს განიცადოს ზუსტად ისე, როგორც თქვენ განიცდით.

ამ ბავშვების საოცარი ფანტაზია, შემოქმედებითი ნიჭი და სიკეთით სავსე გული  მის თვალებშიც ირეკლება. თავადაც შენიშნავდით, რაღაცნაირად ღრმა და მაჰიპნოზებელი თვალები აქვთ, მისტიური.

მის წარმოსახვას და კრეატივს ბავშვობიდანვე დიდი გასაქანი სჭირდება. პირველ რიგში, აუცილებლად მოუყევით ზღაპრები და ეცადეთ ეს ზღაპრები დადგათ, გაითამაშოთ. მიუხედავად მისი მორცხვი ბუნებისა, თქვენი შვილი შესაძლოა სცენის აღმოჩენა გახდეს. კარგი იქნება თუ ატარებთ თეატრალურ წრეზე. შეგიძლიათ სხვადასხვა გმირების კოსტიუმებიც უყიდოთ, ან სახლში მოძებნოთ ძველმანები: შლაპები, ხელთათმანები, შარფები, სასაცილო სათვალეები, კაბები თუ პალტოები, ერთ ყუთში ჩაყაროთ და ოთახში დაუდგათ, როცა ხასიათზე იქნება თვითონ შექმნის გმირებს ამ ყველაფრიდან. ძალიან გაერთობა თოჯინებითაც, ალბათ მშვენიერ სცენარებს მოიფიქრებს და სპექტაკლებს დადგამს. მოკლედ, თუკი მსახიობობისადმი, რეჟისორობისადმი, სიმღერისადმი, ცეკვისადმი, ინტერესს იჩენს, აუცილებლად წაახალისეთ და მხარი დაუჭირეთ, სხვა რეალობის შექმნისადმი მისი მიდრეკილება ამ ფორმით გამოიხატოს უმჯობესი იქნება.

ეცადეთ, სწორი მიმართულება მისცეთ მის გულკეთილ ბუნებასაც, რომ მერე ვერავინ შეძლოს მისი სიკეთით მანიპულირება. თუკი კირჩხიბი ბავშვი საყვარელ ადამიანებზე ზრუნვის მოთხოვნილებას გრძნობს, თევზების მთელი დრაივი მიმართულია სხვების დახმარებისკენ.  ის გულჩვილია, ეცოდება ყველა, ცხოველებიდან დაწყებული საკუთარი თავით დამთავრებული. კარგი იქნება თუ საქველმოქმედო აქტივობებს მოაწყობთ ხოლმე და თქვენს პატარასაც ჩართავთ ამ საქმეში. ერთად გადაარჩიეთ სახლში ნივთები, ძველი ტანსაცმელი, სათამაშოები და ეწვიეთ ბავშვთა სახლებს, თავშესაფრებს. ეს დაეხმარება, ისწავლოს ჯანსაღი ფორმით თანაგრძნობა, განასხვავოს

ვის უნდა დაეხმაროს და ვის არა და ამასთანავე, ისე დაეხმაროს, რომ თავად დაზარალებული არ დარჩეს.

აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება რას უყურებს ტელევიზორში, რას კითხულობს, რა წრეში ტრიალებს, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მას ძალიან შთაბეჭდილებიანი ბუნება აქვს და ძალიან პირადულად იღებს ყველაფერს. მდიდარი ფანტაზიის მეშვეობით ყველაფერს საკუთარ თავთან, საკუთარ ცხოვრებასთან აკავშირებს და ზუსტად ისე განიცდის როგორც მისი გარშემომყოფები, მეგობრები და პერსონაჟებიც კი. მასთან უხეშობა და კატეგორიულობა არ გაჭრის, შემდეგ ჯერზე, უბრალოდ მოგატყუებთ. ამიტომ უმჯობესია თუ გაუგებთ, მოუსმენთ, გაუზიარებთ თქვენს გამოცდილე-ბას, მოკლედ გახდებით მისი მეგობარი და აკრძალვების მაგივრად, უკეთეს ალტერნატივებს შესთავაზებთ.

აუცილებლად გამონახეთ დრო რომ ესაუბროთ, გახსნათ, ალაპარაკოთ მის ემოციებზე, გრძნობებზე, სი-ხარულსა თუ დარდზე, დაეხმარეთ იპოვოს ზღვარი სხვის პრობლემებსა და საკუთარ პრობლემებს შორის, სხვის ემოციებსა და საკუთარ ემოციებს შორის, დაეხმარეთ ისწავლოს განსხვავება თუ რა სჭირდება და რას გრძნობს თვითონ და რა სჭირდება და რას გრძნობენ სხვები და თქვენ საუკეთესო ადამიანს გაზრდით.

## ასაკობრივი თავისებურებები ცხოვრების პირველ წელს

თავიდან ახალშობილი დიდ დროს ატარებს ძილში ან თვლემს, მაგრამ დღითი-დღე უძილობის პერიოდი მატულობს. თანდათან იძენს თვისებას რეაქციის მოხდენისა მასზე მზრუნავ დედის ხმაზე, ის ხედავს მის სახეს და ამყარებს მასთან ემოციურ კავშირს. დაახლოებით ერთი თვის ასაკის მიღწევისას ბავშვი დედის დანახვისას აჩერებს მასზე მზერას, აფართხალებს ხელებს, სწრაფად ამოძრავებს ფეხებს, გამოსცემს ხმებს და იწყებს ღიმილს. მას უჩნდება ურთიერთობის სურვილი, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბავშვი თავის ფსიხოლოგიურ განვითარების ახალ

პერიოდზე გადადის. მთავრდება გარდამავალი ეტაპი ახალშობილობის. იწყება ჩვილობის პერიოდი.

**2-6 თვემდე.** ღიმილი უფროსებთან ურთიერთობისას, გამოცოცხლება მათთან კონტაქტისას. დედის დანახვისას წუხს ან იწყებს გამოცოცხლებას, ათვალიერებს ირგვლივ მყოფ საგნებს და ადამიანებს.

**6-12 თვემდე.** ყურადღებით აკვირდება უფროსებს, სანამ მათთან კონტაქტში შევა, დიფერენცირებას უწევს თავისიანებს და უცხოებს. უჩნდება სათამაშო კონტაქტი უფროსებთან. ბუტბუტი და ჟესტები როგორც კომუნიკაციის საშუალება (მე-8 თვიდან), სხვადასხვა სახის ემოციური რეაქციები დედასთან ურთიერთობისას (მე-9 თვიდან), ბუნებრივი მოთხოვნილებისას ხმით იპყრობს ყურადღებას, ამომჩევრული დამოკიდებულება გარშემო მყოფ ადამიანთა მიმართ (წლის ბოლოსკენ), ითხოვს მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას, უფროსებთან ურთიერთობისას ცდილობს ხმის გამოყენებას, ასრულებს ზოგიერთ ინსტრუქციებს, აქცევს ყურადღებას იმ ადამიანს, რომელიც ლაპარაკობს (წლის ბოლოსთვის).

**3-6 თვემდე.** წევს მუცელზე, ეყრდნობა სწორი კუთხით მოღუნულ მხრის ქვედა ნაწილს (4 თვისას), გამართულ ხელებს (5 თვისას), წევს მაღლა თავს, ტრიალდება გვერდზე (4-5 თვისას), ჯდება (6 თვისას), იღებს სათამაშოებს, ურტყამს საგნებს, ხელს სტაცებს სათამაშოებს ყოველი მხრიდან, ხშირად ორივე ხელით (5 თვიდან), ყოველ ხელში თითო საგანი უჭირავს (6 თვიდან).

**6-12 თემდე.** დამჯდარი ზის და ეყრდნობა ორივე ხელებს, დახოხავს მუცელზე, ტრიალდება ზურგიდან მუცელზე (7 თვისას), ჯდება დაყრდნობის გარეშე, დგება ოთხივე კიდურით, დგება მუხლებზე და ხელს კიდებს საყრდენს (8 თვისას), საყრდენზე მოჭიდებით დგება ფეხებზე, ცდილობს ნაბიჯების გაკეთებას, ხელით მოკიდებისას მყარად დგას (9 თვისას), დამოუკიდებლად დგას, დადის ხელზე მოკიდებისას (10 თვისას), მყარად დგას საყრდენის გარეშე, დადის ცალი ხელით მოკიდებისას, აკეთებს რამოდენიმე ნაბიჭს საყრდენის გარეშე (11 თვისას), დადის დახმარების

გარეშე, ჯდება და დამოუკიდებლად დგება (12 თვისას), გადადებს სათამაშოს ხელიდან ხელში, ურტყამს ხელს სათამაშოებს (7 თვისას), მანიპულირებს 2-3 საგანთან (8 თვისას), იღებს წვრილ საგნებს ორი თითით (9 თვისას), ყოფს თითებს ნახვრეტებში და აკონტროლებს თავის მოქმედებას თვალებით, თითებით იჭერს წვრილ საგნებს (10 თვისას), ისვრის სათამაშოებს ლოგინიდან, თითებს ყოფს ნახვრეტებში მოთათუნებით, იმეორებს წიგნის გვერდების გადაფურცვლას (11 თვისას), ერთ საგანს აწყობს მეორეზე, ხსნის ყუთებს, კოლოფებს, იყენებს კოვზს (12 თვისას).

**3-6 თვემდე.** ხელები მიზანმიმართულად მიაქვს პირთან. აკვირდება ხელების მოძრაობას. მხედველობის კონტროლის ქვეშ ხელები მიაქვს საგანთან და იღებს მას.

**6-12 თვემდე.** საგანი ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს. შეუძლია კოვზი ჩადოს ჭიქაში, სათამაშო ყუთში.

**0-6 თვემდე.** სმენითი მიყურადება. ტირილის შეწყვეტა ან მისი შეცვლა უფროსის ხმის გაგონებისას (1 თვიდან), ახდენს ხმის ლოკალიზაციას გარემოში (4 თვიდან), ადეკვატური რეაქცია ინტონაციაზე, დედის ხმაზე იწყებს შფოთვას ან გამოცოცხლებას (5 თვიდან), ტრიალდება ხმის გაგონებაზე (6 თვიდან); აფიქსირებს და თვალებით აცილებს საგნებს (2 თვიდან), თვალს ადევნებს ხელების მოძრაობას, ცდილობს შეეხოს მათ (3-3,5 თვემდე), ცდილობს შეეხოს ახლომდებარე საგნებს, ხელებით ეხება მათ, ერთდროულად ათვალიერებს საგნებს და თავის ხელებს (4 თვისას), იტაცებს საგნებს (5-5,5 თვემდე), სხვადასხვა მდგომარეობიდან აფიქსირებს საგნებს (ზურგზე დაწოლილი, მუცელზე, უფროსების ხელებში ყოფნისას) (5-6 თვემდე), ერთობა სათამაშოებით (5-6 თვემდე).

**6-12 თვემდე.** თვალების კონტროლის ქვეშ იღებს საგნებს, ათვალიერებს მათ და ხელს კიდებს სათამაშოებს, გადააქვს ისინი ხელიდან ხელში. საგნებს ერთმანეთს ურტყამს და ცდილობს გაიგოს ამ დროს წარმოშობილი ხმა. განასხვავებს უცხოებს. უსმენს მუსიკას და ხმოვან ინტონაციებს. ცნობს ახლობლების ხმებს (7 თვიდან). აჩვენებს თავისი სხეულის ნაწილებს (11 თვიდან).

**3-12 თვემდე.** უვითარდება კონტროლი ხელებისა და ფეხების მოძრაობაზე. სხვადასხვა სახის საგნებს იტაცებს, აგდებს, ისვრის, თავისკენ მიიზიდავს. გამოხატავს უკმაყოფილებას, როცა წაართმევენ სათამაშოს. კონტაქტს ამყარებს ხმებისა და ჟესტების საშუალებით.

**3-12 თვემდე.** ტრიალდება ხმის გაგონებისას (5-6 თვისას). ცნობს ახლობლების ხმებს (7 თვიდან), რეაგირებს სახელზე (8-9 თვისას), უსმენს ლაპარაკს, მუსიკას, ესმის ზოგიერთი საგნის დასახელება (11 თვიდან), უკრავს ტაშს, როცა მას ამას თხოვენ, ახორციელებს სიტყვიერ უბრალო ინსტრუქციებს, ავსებს მათ ჟესტებით (9 თვიდან), ყურადღებას ამახვილებს იმაზე, ვინც მას ელაპარაკება (12 თვიდან).

## 2დან 3 წლამდე

• თამაშობს დამოუკიდებლად, გამოავლენს ფანტაზიას, უყვარს, როცა სხვებს იგი მოსწონთ, ბაძავს თანატოლებს. თამაშობს უბრალო ჯგუფურ თამაშებს.

• სწავლობს სირბილს, ცერებზე სიარულს, ერთ ფეხზე წონასწორობის დაკავებას, ზის ჩაკუზული, დაბალი საფეხურიდან ხტება. ხსნის ყუთებს და რაც შიგნით დევს გარეთ ყრის. თამაშობს ქვიშაში და თიხით. ხსნის თავსახურებს, იყენებს მაკრატელს, თითებით ღებავს, მძივებს აგროვებს.

• შეუძლია თითით ტელეფონის დისკი ატრიალოს, ხატავს ხაზებს, უბრალო ფორმებს ქმნის, ჭრის მაკრატლით. შეუძლია დახატოს ჯვარი.

• ათვალიერებს სურათებს, შლის და აწყობს პირამიდას რგოლების სიდიდის გათვალისწინების გარეშე, შეუძლია მოძებნოს მსგავსი სურათები.

• უსმენს უბრალო მოთხრობებს. ესმის მნიშვნელობა ზოგიერთი აბსტრაქტული სიტყვების (დიდი-პატარა, სველი-მშრალი და სხვა). სვამს კითხვებს – ეს რა არის?, ესმის სხვისი აზრი, აბსურდულ კითხვებზე პასუხობს – არა, უვითარდება დაწყებითი წარმოდგენა რაოდენობაზე (მეტი-ნაკლები, სავსე-ცარიელი).

• ხდება სიტყვიერი მარაგის სწრაფი მატება, ესმის რთული წინადადებების შინაარსი, მაგალითად: „როცა ჩვენ მოვალთ სახლში, მე ვიქნები...“, ესმის შემდეგი ტიპის შეკითხვა: „რა გიჭირავს ხელში?“, უსმენს ახსნას „როგორ“ და „რატომ“, ასრულებს ორსაფეხურიან ინსტრუქციას „ჯერ დავიბანთ ხელებს, მერე კი ვისადილებთ“.

## 4დან 5 წლამდე

• აწყობს და შლის 3 და 4 შემადგენლიან მატრიოშკას თვალის ზომით და ცდების საშუალებით. აწყობს პირამიდას რგოლების სიდიდის გათვალისწინებით, თვალის ხედვის გამოყენებით, აწყობს დახეულ სურათებს, ორი-სამი ნაწილისაგან შემდგარს, თვალის ხედვის გამოყენებით.

• ასრულებს 2-3 მოქმედებიან დავალებას; უფროსის თხოვნით იმახსოვრებს 5 სიტყვამდე.

• 15-20 წუთამდე შეიძლება იყოს დაკავებული საინტერესო საქმით;

• იყენებს განმაზოგადებელ სიტყვებს, შეუძლია დაასახელოს ცხოველები და მათი ნაშიერები, ადამიანების პროფესიები, საგნის ნაწილები. უფროსების დახმარებით ყველა ნაცნობ ზღაპრებს, შეუძლია ზეპირად წარმოთქვას მოკლე ლექსები.

• იყენებს ლაპარაკში სიტყვებს „ბევრი“ და „ერთი“, ცნობს წრეს, სამკუთხედს, კვადრატს, სფეროს, კუბს. შეუძლია ნახოს გეომეტრიული ფიგურები გარშემომყოფ საგნებში. სწორად ამბობს წელიწადის დროებს, დღე-ღამის ნაწილებს. განასხვავებს მარჯვენა და მარცხენა ხელს.

• ხატავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სწორ ხაზებს, აფერადებს უბრალო ფორმის ფიგურებს, აკოპირებს დიდ ასოებს, ხატავს უბრალო სახლს (კვადრატი და სახურავი), ადამიანს (ორ-სამ სხეულის ნაწილს), კეცავს ქაღალდს ერთზე მეტჯერ, მძივებს ასხამს ძაფზე, ხელის მოკიდებით ცნობს გარკვეულ საგნებს. დახტის ერთ ფეხზე, ხან ერთ ხან მეორე ფეხზეც, დადის ხის ძელზე, ააგდებს ბურთს ზევით და იჭერს ორი ხელით, ძერწავს პლასტელინით, იკრავს თასმებს ფეხსაცმელზე.

**0-18 თვემდე.** ნახევარი საათის განმავლობაში თქვენი ბავშვი მესამედ აგდებს ბოთლს იატაკზე, იგი მას ვერ იღებს და იწყებს ყვირილს. აიღეთ ბოთლი და მიეცით მას. ასეთი სახის დახმარება მომავალში დადებითი მოქმედებით გამოიხატება.

**1,5-3 წლამდე.** თქვენი 2,5 წლის ბავშვი ველოსიპედით კუთხეში შევა და გამოსვლას ვერ ახერხებს, რა უნდა გააკეთოთ? აჩვენეთ მას როგორ უნდა გამოვიდეს უკანა სვლით. თუ მას ეს არ შეუძლია აუხსენით როგორ უნდა მოუხვიოს მანამ სანამ წინაღობა დახვდება წინ. მოეხვიეთ, აკოცეთ მას და ასეთი სახის თქვენი ინსტრუქცია მიუტანეთ მას. ამ სტადიაზე მისი მხარდაჭერა და სწავლება – საუკეთესო დახმარებაა.

**3-6 წლამდე.** თქვენი 5 წლის ბავშვი, რომელმაც იცის როგორ უნდა შეკრას თასმები ბრაზობს, როდესაც ეს მას არ გამოსდის. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. გაამხნევეთ ის, მაგრამ ნუ დაეხმარებით, უკეთესი იქნება თუ ის ამას თვითონ შეძლებს.

**6-9 წლამდე.** თქვენი 8 წლის ბავშვი ჩივის: „მე არასდროს არაფრის ნებას არ მაძლევენ, როდესაც მას არ აძლევენ უფლებას უყუროს საღამოს გადაცემას, რომელიც მას საინტერესო ჰგონია. შეეცადეთ ერთად გაიგოთ მართლა აინტერესებს მას ეს გადაცემა, თუ უბრალოდ უნდა დარჩეს გვიანამდე, როგორც ზრდასრული. მიეცით პირობა რომ მას ამ გადაცემას ჩაუწერთ ვიდეოზე, მაგრამ არ დართოთ ნება, რომ დაარღვიოს რეჟიმი. ბავშვები უნდა მიეჩვიონ აკრძალვებს, შეზღუდვებს და შეიკავონ ის გრძნობები, რომელიც ამ დროს უჩნდებათ.

**9-12 წლამდე.** თქვენმა ბავშვმა იკამათა ორ ახლო ამხანაგთან და არ იცის როგორ მოიქცეს. ნუ განერიდებით მის პრობლემებს, მოუსმინეთ მას ყურადღებით და სერიოზულად განეწყვეთ მის მიმართ. თქვენ შეგიძლიათ მას რამე შესთავაზოთ, მაგრამ ხელი შეუწყვეთ რომ მან თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს დამოუკიდებლად.

## ბავშვის აღზრდა
## რითი იწყება აღზრდა?

უკვე ეჭვს არ იწვევს ის, რომ ადამიანის მომავალი ხასიათი ყალიბდება მუცლად ყოფნის პერიოდში. რადგან ახალდაბადებულს დაბადების მომენტისთვის 9 თვე აქვს განვლილი. ეს პერიოდი განაპირობებს მის მომავალ განივითარებას.

ბავშვის მომავალი ორგანიზმი ყალიბდება იმ მატერიალისგან, რომელსაც მას აწვდის დედის ორგანიზი. აქედან გამომდინარე დედის ცხოვრების სტილი, მისი კვება დადებიითი ან უარყოფითი თვისებების ქონა/არ ქონა (ალკოჰოლის მიღება, სიგარეტის მოწევა, წამლების ზედმეტად მიღება და სხვა) აყალიბებს ნაყოფის ჯანმრთელობის ფუნდამენტს. დედის არასწორი მოქცევა ორსულობის დროს და ძუძუთი კვებისას ზედმეტი ემოციური რეაქციები იწვევენ ისეთ დაავადებებს ბავშვებში როგორიცაა, ნევროზი, მშფოთავ მდგომარეობას, სხვადასხვა სახის ალერგიულ დაავადებებს, ჩამორჩენა გონებრივ განვითარებაში და სხვა პათოლოგიურ მდგომარეობებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე მამის როლი. მისი დამოკიდებულება ცოლის მიმართ მისი ორსულობისა და მომავალი ბავშვისადმი. – ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ბედნიერებისა და ძალის ფორმირებისა მომავალ ბავშვში, რომელიც გადაეცემა მას დამშვიდებული და თავდაჯერებული დედისგან.

დაბადების შემდეგ ბავშვის აღზრდა განპირობებულია სამი თანმიმდევრული ეტაპით: საალმზრდელო ინფორმაციები, მიბაძვა და პირადი გამოცდილება. არ შეიძლება უარყო ბავშვის აღზრდის მნიშვნელობა, განსაკუთრებით ცხოვრების პირველ წლებში, ისევე როგორც თვით აღზრდის ეფექტურობა. როდესაც უფროსი ადამიანი იღებს თავის თავზე პასუხიმგებლობას საკუთარ განვითარებაზე თავის თავზე მუშაობით. მაგრამ არც ერთ და არც მეორეს არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც

მუცლადყოფნის პერიოდს. რადგანაც ახალდაბადებულმა უკვე იცხოვრა 9 თვე და ამ პერიოდში მას ჩამოუყალიბდა ბაზა მისი მომავალი განვითარებისა.

**მომავალი დედა:**

• უარი თქვით ყველა ნეგატიურ თვისებებზე, რადგან თქვენი ცხოვრების სტილი, კვება საფუძველს უდებს მომავალი ბავშვის ჯანმრთელობას;

• ეცადეთ განერიდოთ სტრესს და არ მისცეთ საშუალება უარყოფით ემოციებს, რადგანაც შიშს, ეჭვიანობას, სიბრაზეს, გულის ტკივილს მოაქვს გამოუსწორებელი შედეგი ნაყოფისთვის და ფორმირდება ის მის ფსიქიკაში;

• გიყვარდეთ თქვენი მომავალი ბავშვი, რადგანაც დედის სიყვარული – არის უძლიერესი დაცვის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია დაიცვას ნაყოფი უარყოფითი ზეგავლენისაგან ძალიან ძნელ სიტუაციებშიც კი;

• არ დაგავიწყდეთ რომ მუსიკა, სიმღერა, პოეზია, ხელოვნება, ბუნებასთან ურთიერთობა ამშვიდებს, ჩუქნის სიყვარულს და შინაგანი თავისუფლების გრძნობას, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ბავშვზე. მოაქვს მისთვის ბედნიერებისა და სიმშვიდის შეგრძნება;

• შეეცადეთ, იფიქროთ იმ ღირებულებებზე, რომლებიც გინდათ დაინახოთ თქვენს ბავშვში: მომართეთ თქვენი აზრები ისეთ კატეგორიებზე, როგრიცაა: სიკეთე, სიბრძნე, ინტელექტუალობა, სამართლიანობა, სულიერი სილამაზე. იცოდეთ, რომ ნაყოფს შეუძლია ინფრომაციის დაჭერა თავისი უჯრედებით, ასევე მათი დამახსოვრება.

• ილაპარაკეთ თქვენს მომავალ ბავშვთან, აუხსენით მას რაც ირგვლივ ხდება. დააწყნარეთ და ძალა მიეცით მას, რადგან ამ ყველაფრით ის გიკავშირდებათ თქვენ.

ადრეული განვითარება – ეს მრავალწლოვანი დაუღალავი შრომაა, რომელიც მოითხოვს მუდმივ ჩართულობას თქვენი ბავშვის ცხოვრებაში, მუდმივ შემოქმედებით დაძაბულობას, დიდი დროის ხარჯსა და ძალას სხვადსხვა სახის თამაშებისა და მეცადინეობის მომზადებისათვის.

თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ადრეული განვითარება – ეს არის გზა ურთიერთგაგებისა თქვენს ბავშვთან; თუ თქვენ გინდათ აავსოთ ნაცრისფერი დღეები სიხარულითა და ერთობლივი შემოქმედებით; თუ თქვენ გესმით რამდენად პატარაა ეს დრო სკოლამდელი ბავშვისთვის და ამ ბავშვმა უნდა მიიღოს ამ პერიოდში ყველაფერი, მაშინ შეგიძლიათ თამამად შეუდგეთ საქმეს.

თუ თქვენი მიზანია – მოამზადოთ თქვენი პატარა პრესტიჟულ სკოლაში მოსახვედრად, ან მომავალში შეუქმნათ კარიერა, არ არის აუცილებელი ზედმეტი ძალისხმევა; სკოლისთვის მომზადება შეგიძლიათ დაიწყოთ 5-6 წლიდან. ადრეული განვითარება არ არის წარმატებული სწავლის გარანტია. პირიქით, ის თვისებები რომელთა ასახვას ბავშვებში ცდილობენ ავტორები ადრეული განვითარების მეთოდიკით (ინდივიდუალური აზროვნება, დამოუკიდებელი აღქმა, შემოქმედებითი მიდგომა დავალებებისადმი) – ყველაფერი ეს დაბალი კლასის მასწავლებლების მიერ არ აღიქმება დადებითად, მათ შორის საუკეთესო სკოლებშიც კი; აქ მნიშვნელობას ანიჭებენ დაჯერებას, შესრულებასა და აკურატულობას.

მაგამ თქვენ გულის სიღრმეში თუ გაგიჩნდათ სურვილი აღზარდოთ ძალიან ნიჭიერი ან ვუნდერკინდი, ჯობია თავიდანვე შეჩერდეთ. გაჩერდით თუნდაც ერთი კვირით, ვიდრე დაიწყებთ თქვენი სურვილების განხორციელებას, შეიძლება შეძლოთ ამ ერთ კვირაში შეიცვალოთ თქვენი აზრები. რადგან შესაძლებელია თქვენი ურთიერთობა ბავშვთან დაემსგავსოს გაწვრთნას, ყოველდღიურ მომზადებას კონკურსებისთვის, შეჯიბრებისთვის, კონცერტებისა და გამოსვლებისთვის, რაც ბავშვში ინტერესს არ გამოიწვევს.

თუ თქვენი ბავშვი მართლაც ნიჭიერია, მითუმეტეს მისთვის ხელშემშლელი იქნება ადრეული ფორსირება და სახალხო დემონსტრაცია. ნიჭიერ ბავშვებს ახასიათებთ სუსტი ნერვული სისტემა და მშობლის უაზროდ ზედმეტი მოქმედებების გამო შეიძლება გადაიქცეს ნევროტიკად.

ადრეული განვითარება არ არის ყველასთვის მისაღები. არანაირი მათ შორის, ყველაზე პროგრესული მეთოდიკებიც კი არ მოიტანენ შედეგს, თუ ბავშვის ირგვლივ იქნება დაძაბული გარემო. უმჯობესია ბავშვმა ერთი წლით გვიან ისწავლოს კითხვა, ან საერთოდ არ დაუკრას ვიოლინოზე, ვიდრე არ შეესწროს „ოჯახურ მიწისძვრებს".

თუ თქვენ აპირებთ 3-4 წლის ასაკში საბავშვო ბაღს მიაბაროთ ბავშვი – ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას რომ, თქვენ სახლში მასთან არ იმეცადინოთ. მაგრამ უმჯობესია წინასწარ შეარჩიოთ ისეთი საბავშვო ბაღი, რომელთა პროგრამა თქვენს ოჯახურ მეცადიონებასთან თანხვედრაში იქნება.

## ოჯახში აღზრდის საერთო წესები

ბავშვის დაბადება უნდა იყოს სერიზული საკითხი ოჯახის ყველა წევრის შერიგებისათვის.

**ახლობელი ადამიანის მოქმედება და არა სიტყვები ახდენენ გავლენას ბავშვის განვითარებაზე, ხელს უწყობენ მის ღირებულებით განვითარებას.**

სამწუხაროდ, ოჯახური აღზრდა ისევე როგორც სკოლაში დადის იქამდე, რომ ბავშვმა უნდა „ისწავლოს", თანაც სიტყვებში „ისწავლოს" არც თუ იშვიათად მოიაზრებენ: დასაჯო (შეაშინო და ა. შ.).

• უფროსები ხშირად ფიქრობენ, რომ ბავშვი შეიძლება მოატყუო, რადგან ის ჯერ სულელია და ვერ გაიგებს. სხვათა შორის სიმართლესა და ტყუილს შორის განსხვავების სწავლისას ბავშვი ფორმირდება ისე, რომ ის ეჩვევა გადაამოწმოს მოსმენილი დანახულთან. თუ მაგას ეტყვიან, რომ „დედა სახლში არ არის" და ის მას შემთხვევით დაინახავს მაშინ ის პირველივე შესაძლებლობისას, როდესაც მას რამე არ მოეწონება იტყვის რომ ის სახლში არ არის. რაც უფრო ხშირად ატყუებენ მას და ის ამას ხედავს მით უფრო თვალსაჩინო ხდება მისთვის სიმართლისა და ტყუილის განსხვავება და ის იწყებს ლაპარაკს მხოლოდ იმაზე, რაც მას აწყობს.

• აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბავშვი თავდაპირველად გრძნობს მხოლოდ იმას რასაც ის აღიქვამს გრძნობის ორგანოებით. მას სჯერა მხოლოდ ამ გრძნობებების და ხშირად მოქმედებს მხოლოდ მათი ზეგავლენის ქვეშ. ის აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მას სიამოვნებს; და გაურბის ყველაფერ იმას, რაც მას არ მოსწონს.

ახალშობილი დაყავთ ხელით, მას არწევენ, აძინებენ სხვადსხვა ტკივილის ქვეშ, მას კოცნიან, რა ხმებსაც გამოსცემს იმავე ხმებით პასუხობენ – ყველაფერი ეს არის ხელოვნური გამაღიზიანებელი.

როდესაც მოდის სწავლების დრო, ცხადი ხდება რომ ბავშვი არის უსუსური, ზარმაცი. მშობლები წუხან, რომ მას სწავლა არ უნდა, თუმცა ეს ყველაფერი მათი დამსახურებაა.

ბავშვს სწავლის სურვილის განვითარებისთვის ისევ იწყებენ ხელოვნური გამაღიზიანებლის გამოყენებას შექებით, ნიშნებით, საჩუქრებით და მედლებით. ამ დროს ფორმირდება აპათია, რომლის დროსაც ის მიისწრაფვის შეხედულებების გადააზრებისკენ (მომავალში შეიძლება ამან გამოიწვის: ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები და ა.შ.) ახალგაზრდას განიკითხავენ მისი უხეში და ცუდი ქცევისთვის, ამავდროულად მიზეზებს არ უკვირდებიან, რამაც ყოველივე ეს გამოიწვია. ავიწყდებათ, რომ მარტო ოჯახსა და სკოლაში შექმნილი ვითარება არის წინაპირობა მისი მოქმედებებისა.

• მნიშვნელობა იმ ჩვევებისა, რომელიც პატარა ასაკიდან უვითარდებათ ძალიან დიდია. მომავალში მათგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელიც. განვითარების ნორმალური პირობებისა, როდესაც ბავშვი არ განიცდის შეზღუდვებს, მასში ფორმირდება დამკვირვებლობა, რასაც დაინახავს იწყებს მის აღქმასა და განჭვრეტას. ეს ყველაზე კარგი თვისებაა ბავშვის განვითარებისას, აუცილებელია მისი მხარდაჭერა, ამ დროს ბავშვი ყველაზე ხშირად ფიქრდება იმ მოვლენებზე, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომია. ის მას თავად აღიქვამს, ეს არ არის მასზე თავსმოხვეული, შესაბამისად ამის აღქმა ბავშვს არ უჭირს.

• ბავშვში შეუძლებელია ხელოვნურად განავითარო დამკვირვებლობა. შესაძლებელია, მხოლოდ, მოაშორო გარე ზეგავლენები, რომელიც ხელს უშლის ამ თვისების განვითარებას. დამკვირვებლობასთან ერთად ბავშვი ხშირად იმეორებს იმას, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამით ის ეჩვევა სხვადსხვა სახის მოქმედებებს, რომლებიც ხდება ცხოვრებაში. როდესაც ყოველივე ეს ხელოვნურად ხდება, ბავშვი არა თვით აკეთებს, არამედ იმაეორებს იმას, რასაც მას სთხოვენ. ეს მოთხოვნები შეიძლება არ იყოს თანხვედრაში მის ფიზიკურ განვითარებასთან და შეუძლებელი იყოს მის მიერ მათი განხორციელება. დაკვირვებისა და დაკვირვებულის გამეორების შემდეგ ბავშვი თავისი სურვილით მსჯელობს იმის მნიშვნელობაზე რაც დაინახა და აღიქვა. ეს ძვირადღირებული თვისება ხელს უწყობს მის განათლებას.

**ბავშვში პიროვნების ფორმირება**

• ყველაზე მნიშვნელოვანი – არ გავხადოთ ჩვენს მიზნად ვუნდერკინდის, გენიოსის აღზრდა. შედეგების დევნისას, შეიძლება გადავტვირთოთ ბავშვი. გარშემომყოფებისთვის ამ რეზულტატის დემონსტრირებით, შეიძლება გავუფუჭოთ ბავშვს თვისებები.

• არ არის საჭირო ერთი მოდური გატაცებიდან მეორეზე გადართვა. პატარა ბავშვები კონსერვატორები არიან, ისინი სწრაფად ეჩვევიან ამა თუ იმ ცხოვრების სტილს. ამის შეცვლა კი, ყოველთვის პატარა ტრამვა არ არის. თუ თქვენ დაიწყებთ სწრაფ-სწრაფად საკუთარი შეხედულებების ცვლას, რომელიც ბავშვის განვითარებას ეხება, შესაძლოა მიაყენოთ დარტყმა მის ფსიქიკას.

• ამა თუ იმ სწავლების ხერხის შერჩევისას იყავით კრიტიკულები. არ აიღო ყველაფერი ბრმად და დაკვირვების გარეშე. ნებისმიერ მეთოდიკაში შეიძლება იყოს ის რაც ერგება ან არ ერგება თქვენს პატარას. არ შეგეშინდეთ თქვენი არაპროფესიონალიზმის. მხოლოდ თქვენ შეიძლება იცოდეთ, რა არის კარგი თქვენი პატარისთვის და რა არა.

• პატარასთან თამაშისას ეცადეთ გამოიყენოთ განსაზღვრული წრე სწავლების მეთოდისა. არ იყიდოთ ყველა ახალი განმავითარებელი თამაშები და საშუალებები. უმჯობესია ძალიან კარგად გამოიყენოთ რაღაც ერთი (ან რამდენიმე) ყველამხრივ, ვიდრე ავითარებდე ბავშვს ერთი მხრივ სხვადსხვა თამაშებითა და რესურსებით. ის ვერ შეძლებს ბოლომდე გაითავისოს რამდენიმე თამაში, მხოლოდ დაინევა. გამოავლინეთ კრეატიულობა, მოიგონეთ სხვადსხვა თამაშები ნაცნობ თემებზე.

• ყველა თამაში და დავალება დაიყვანე პრინციპზე „ძალიან მარტივიდან – მარტივამდე, მარტივიდან რთულამდე, და შემდეგ ძალიან რთულამდე“. თუ პატარა რაღაცას ვერ უმკლავდება მაქსიმალურად გაამარტივეთ დავალება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არ შეესაბამება ინსტრუქციას. თავდაპირველად გააკეთეთ ყველა დავალება ერთად, შემდეგ კი დამოუკიდებლადაც სცადოს.

• არ ღირს აღელვებად თუკი რამე არ გამოგდით, გადადეთ ესა თუ ის დავალება ან თამაში. რამდენიმე ხნის შემდეგ სცადეთ თავიდან. თქვენ ხომ არ ისწრაფვით რეკორდისკენ, არამედ ეკონტაქტებით ბავშვს, ეხმარებით მას გაიგოს ზრდასრულის ცხოვრების გამოწვევები, დაიმორჩილოს საკუთარი სხეული და ტვინი.

• არ დაუდგინოთ თამაშებისა და დავალებების ნორმა დღიურად.პირველ რიგში, ასეთი ნორმების შესრულება რთულია. როდესაც არ შეასრულებ ამა თუ იმ დაგეგმილ დავალებას, არ ჩაატარებ თამაშს, მეცადინეობას, თქვენ დაიწყებთ საკუთარი თავის დადანაშაულებას, რომ არ შეგიძლიათ უზრონველყოთ პატარას სრულფასოვანი განვითარება. ეს ასე არ არის. რადგანაც ცოტა რაოდენობის მეცადინეობა გაცილებით მეტია, ვიდრე არაფერი. იმეცადინეთ იმდენი, რამდენის საშუალებასაც დრო მოგცემთ. მეორე მხრივ, თქვენი ბავშვი შეიძლება დააინტერესოს ამა თუ იმ საქმემ. არ ღირს მისი გაჩერება, ამა თუ იმ მიმდევრობით დაგეგმილი დავალების შესასრულებლად. უმჯობესია მან გამოავლინოს საკუთარი თავი იმაში, რამაც ბავშვი დააინტერესა.

• არასდროს მიიზიდოთ დავალებების შესასრულებლად ბავშვი თუკი ის ავადაა ან თუნდაც, თავს არ გრძნობდეს კარგად, ან თუ ის ცუდ განწყობაზეა. ეს მოუტანს მას არა სარგებელს, არამედ ცუდს.

• თუკი თქვენ გინდათ ბავშვს მისცეთ დავალება, რის შესახებაც არ უნდა იყოს იგი, წარუდგინეთ მას მრავალი გზა ინფორმაციის მოგროვებისათვის, არ შეზღუდოთ რუკებით ან სხვა თანამედროვე გასართობებით. მიეცი მას ინფორმაციის თამაშების, წიგნების, ფილმების სახით.

• ეცადეთ ხშირად ეკონტაქტოთ ბავშვს და ელაპარაკოთ მას ყველაფერზე დედამიწის ზურგზე, ტრანსპორტში, სეირნობისას — ზრდასრულის საუბარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეთოდიკა აღზრდისა.

• ინფორმაცია რომელსაც აწვდით პატარა ბავშვს, უნდა იყოს დაყრდნობილი პრინციპზე „პატარა და მისი გარშემომყოფები"

და მისი საზღვრები უნდა ფართოვდებოდეს ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად. არ უნდა დავეწაფოთ ერთად ბევრსა და რთულს.

• ნუ მისცემთ ბავშვს იმ ცოდნას, რომელიც მას უახლოეს დროს არ გამოადგება. რადგან სანამ ისინი მას გამოადგება, მან ეს ყველაფერი დაივიწყოს. ძვირადღირებული დრო კი შეიძლება დაიხარჯოს იმაში, რაც მას ამ პერიოდში გამოადგება. ნუ მისცემთ „ცოდნის მარაგს" იცხოვრეთ დღევანდელი დღით.

ბავშვი, რომელიც მთელი დღე რაღაცით არის დაკავებული არ უნდა დატვირთო ტელევიზორის ყურებით. ეს მისთვის ზედმეტი ინფრომაცია და ზედმეტად დატვირთავს მას. მას სჭირდება დრო და მყუდრო გარემო, რომ აითვისოს მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

• დაეხმარეთ ბავშვს თვითონ შეიძინოს ცოდნა, მიეცით მას თავისუფალი შემოქმედების უნარი ამ პროცესში.

• გიხაროდეს მისი ყოველი წარმატება. თუნდაც პატარა მცდელობა გამოავლინოს საკუთარი თავი, განსაკუთრებით თუ ეს პირველად ხდება.

• ნუ უღრმავდებით ერთსა და იმავე მიმართულებას, მაგალითად, კითხვას, მათემატიკას, მუსიკას ან ფიზიკურ მომზადებას, სხვების დავიწყების ხარჯზე.

ყოველმხრივი განვითარება ბევრად მნიშვნელოვანია თქვენი ბავშვისთვის, ვიდრე რეკორდი რომელიმე ერთ მიმართულებაში. არასდროს მოახდინოთ თქვენი ბავშვის წარმატების დემონსტრირება.

იმის შემდეგ რაც ბავშვს გაუჩნდა შეხედულება თავის თავზე, როგორც „კარგისა", მას უჩნდება სწრაფვა იმისკენ, რომ უფროსების მოთხოვნებთან იყოს თანხვედრაში, იყოს აღიარებული ახლა და მომავალში. ამიტომ, აუცილებელია, რომ ოჯახმა შეინარჩუნოს მისი თავდაჯერებულობა, რომ ბავშვი აუცილებლად ისწავლის იმას, რაც ჯერ არ იცის, რომ ის სინამდვილეში კარგია, კეთილი, კეთილსინდისიერი, კეთილისმსურველი, მშვენიერი ბავშვი.

ბავშვს 5-6 წლის ასაკში შეუძლია გაცნობიერებულად განახორციელოს თავისი მოქმედება, თავისი აზრები. თუმცა, მათი გამოყენების სფერო შეზღუდულია. მშობლებს არ უნდა გამოეპაროთ ბავშვის თავის თავზე მიღწეული წარმატებები. დაინახონ ბრძოლა საკუთარ თავთან ბავშვში და მხარი დაუჭირონ მას – ეს ნიშნავს მისცე მას ძალა ყველა სიძნელისთვის – მოამზადოს საკუთარი თავი, ეყრდნობოდეს საკუთარ შინაგან მიზნებსა და მოქმედებებს.

მშობლებთან მიჯაჭულობა – მნიშვნელოვანი კომპონენტია ემოციონალური განვითარებისა სკოლამდელ პიროვნებაში. ფორმა ემოციონალური კომუნიკაციის, ურთიერთობების მშობლებთან, პირველ რიგში დედასთან, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანთან.

პირველად მიჯაჭვულობაზე შეგვიძლია უკვე ვთქვათ, პირველი წლის სუა პერიოდისთვის. შფოთვას განშორებისა დედასთან გოგონები ინარჩუნებენ 2,5 წლამდე, ბიჭები – 3,5 წლამდე.

ზოგიერთი მბრძანებლური ხასიათი დედები, თავისდაუნებურად, მიაჯაჭვებენ მათთან ბავსვებს იმ დონემდე რომ მათ უჩნდებათ ხელოვნური ან ავადმყოფური

მიჯაჭვულობა. ისინი განიცდიან მარტოობის შიშს, რაც გამომდინარეობს ზედმეტი მზრუნველობით ბავშვების მიმართ. მსგავსი ნევროტიპული მიჯაჭულობა ქმნის ინფანტიულობას, არადამოუკიდებლობას, არადამაჯერებლობას საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში.

ნევროზულ მიჯაჭულობასთან მივყავართ მამის ზედმეტ სიმკაცრესაც, არა აღმზრდელობით, არამედ წვრთნას, რომელიც მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას მის მაღალ მოთხოვნებთან და ფიზიკურ დასჯას პატარა დაუმორჩილებლობასთან. ასეთი მამები ბავსვებს ექცევიან, როგორც დიდებს, უკუაგდებენ მათ აჭიროებას, რომელიც მდგომარეობს სიყვარულსა და სინაზეში.

დედები, მამების ანტონიმები არიან, ცდილობენ შეუვსონ ბავშვებს ემოციონალური სითბო, ყველაფერს უთმობენ ბავშვებს და შემოსაზღვრავენ მათ უსასრულო ზრუნვით. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებები მშობლების მიერ უკვალოდ არ ჩაივლის. ასეთ შემთხვევაში, ბავშვები ნევროზულად მიჯაჭვულნი არიან დედაზე, ასევე განასხვავებენ ჭირვეულობას, დაუმორჩილებელ დამოკიდებულებას.

შემდეგი წინააღმდეგობა მშობლების დამოკიდებულებისა შვილების მიმართ, მდგომარეობას შვილების მიმართ ემოციური მხარდაჭერის არასაკმარისობაში – მათ ადრე აბარებენ საბავშვო ბაღებში, ან ანდობენ მათ აღზრდას ბებიებს, ბაბუებს ან სხვა ნათესავებს.

მგრძნობიარე ბავშვები ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობას ივსებენ იმით, რომ ხშირად იმყოფებიან აფექტურ მდგომარეობაში, ყვირიან, ტირიან, გამოითხოვენ, ეშინიათ რომ მათ შესახებ დაავიწყდებათ.

ყველაფერი რაც აფერხებს მშობლებსა და შვილებს შორის ემოციურ კონტაქტს, მათ შორის მიჯაჭულობა, მიემართება ისეთ ადამიანურ ფასეულობას, როგორიცაა სიყვარული. მის საპირწონედ მიჩნეულია საპასუხო გრძნობა ბავშვისა, როდესაც ოჯახში არ არის გამოხატული სითბო და სიყვარული.

თუკი ბავშვი არ არის უზრუნველყოფილი სიყვარულის გრძნობით, მიზეზი უნდა ვეძებოთ მშობლებში. ხშირად დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: „როგორ აღიქვამს ამას ჩემი შვილი?“ ჩვენ წყვილში ვერც კი ვიაზრებთ, რომ განუწყვეტლივ ვახდენთ გავლენას ცხოვრების მიმართ ამა თუ იმ შეხედულების ფორმირებაზე, ბავშვში. თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა აღზრდამ გააღვივოს ბავშვში პასუხისმგებლობის გრძნობა და მიზანმიმართულად ჩვენი დახმარება, აუცილებელია გამოვიმუშავოთ ჩვენში სამი აუცილებელი რამ:

• როგორ შეიძლება ჩემმა ბავშვმა აღიქვას ის, რომ მან უკვე დაასრულა ცხოვრების შეცნობა

• რისი ცოდნა მოქმედებს ყველაზე მეტად იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ჩემს ბავშვს ყველაფერ იმაზე, რაც გარშემო ხდება?

• რა ხერხებით შემიძლია გავლენა მოვახდინო ამ ცოდნაზე ან ვუბიძგო მას სწორი მიმართულებისკენ?

იქამდე სანამ გავატარებთ კონკრეტულ აღმზრდელობით მეთოდებს ცხოვრებაში, ყურადღებით გაეცით პასუხი ამ სამ შეკითხვას, და თქვენ არა მხოლოდ გაიგებთ, რა უნდა გააკეთოთ, არამედ იმასაც, თუ რატომ ხდება ასე.

იმისათვის, რომ უკეთ გაიგოთ, რა ახდენს თქვენს შვილზე გავლენას, თქვენ აუცილებლად უნდა შეაფასოთ სიტუაცია მისი თვალთახედვით. უყურე მომხდარს ბავშვის თვალით, ამ შემთხვევაში, მშობლები გაექცევიან შეცდომებს ნაბიჯებში, რომლებსაც ხშირად მივყავართ ბავშვებში საკუთარი თავის არასათანადო შეფასებასთან.

არსებობენ ხერხები, რომელთა დახმარებითაც თქვენ შეგიძლიათ გადააწყოთ სიტუაცია და დაეხმაროთ ბავშვს გამოავლინოს ძალა და შესაძლებლობები.

თბილი, მოთმენითი დაყოლიებები და ცოდნა თვალი ადევნო ბავშვს, იმისათვის, რომ გაიგო რა შეუძლია მას, და რისი გაკეთება ჯერ კიდევ არ შეუძლია, მიგიყვანთ თანდათანობით ზრდად ცდებზე, რომელიც დაყრდნობილია ბავშვისთვის საკუთარი სურვილების შესრულებაზე.

ეს ნაადრევი ზრდა, საკუთარ ძალაში თავდაჯერებისა მოგვცემს კარგ საძირკველს, თუ თქვენ არ დაიწყებთ ყველაფრის კეთებას თქვენით, და როდესაც მას მოუკაკუნებს 18 წელი, იტყვით: „ახლა შენ უკვე დიდი ხარ, მოუარე საკუთარ თავს თავად!“

ადრეულად დაწყებული აღზრდა დაგეხმარებათ მიჯაჭვულობის თავიდან არიდებაში, რომელსაც ჩვენ ვქმნიდით ჩვენით, ზედმეტი მზრუნველობით და ყველაფრის გაკეთებით ბავშვებისთვის.

მშობლების დავალებები მდგომარეობს იმაში, რომ მივცეთ სწორი მიმართულება ჩვენს უსუსურ და დამოკიდებულ ბავშვებს, ასევე დაეხმარონ მათ გააცნობიერონ, რომ მათ შეუძლიათ გახდნენ თავდაჯერებულნი და ისწავლონ მოქმედება დამოუკიდებლად.

ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღიქვამს ჩვენი შვილი საკუთარ თავს გარესამყაროსთან მიმართებაში. ეს მიმღებლობა – არის ჩვენი ყველა ქმედების განმსაზღვრელი. ყოველ ჯერზე როდესაც თქვენ იყენებთ ორიენტაციის შეცვლის მეთოდს, დაუსვით თქვენს თავს კითხვა, „როგორ მიიღებს ამას ჩემი ბავშვი?“

იმისთვის რომ ბავშვი ჩამოაყალიბო ჰარმონიულ პიროვნებად უნდ გაითვალისწინოთ შემდეგი:

• ითამაშეთ ბავშვთან ერთად, გააცანით მას ახალი საგნები, ასწავლეთ მას სხვადასხვა ქმედებები, არ შეცვალოთ ახლობლებთან კონტაქტი ხელსაქმით, მისი მანიპულირებით, ბავშვისთვის „ძალდატანებით“.

• მხარი დაუჭირეთ და გაუღრმავეთ ინტერესი ზრდასრულების საქმიანობის მიმართ. სიცოცხლის მეორე წელს ბავშვებში იზრდება ცნობისმოყვარეობა ზრდასრულების საქმიანობის მიმართ, ჩნდება სურვილი მათი წაბაძვისა. დედასთან ან ბებიასთან ერთად შეიძლება თეთრეულის რეცხვა მანქანაში, საჭირო ღილაკებზე თითის დაჭერითა და მოსმენით, როგორ ტრიალებს თეთრეული დოლურაში, და შემდეგ დავეხმაროთ მათ გაავლონ წყალი საკუთარ წინდებს. არაფერია იმაზე საინტერესო,

ვიდრე მამასთან ერთად დაშალო და წაიკითხო ტელეფონი ან ბაბუას გვერდით გესმოდეს ხის ჩაქუჩით ხის მორზე ლურსმნების ჩაჭედების ხმა.

• თუკი ზრდასრულები ნებას რთავენ ბავშვებს მიიღონ მონაწილეობა საოჯახო საქმეებში, ბავშვი არა მხოლოდ ისწავლის ბევრ რამეს, ის შეიძენს ერთობლივი სამუშაოს კეთებით მინიჭებულ სიხარულს, გამოწვეულს კარგი შედეგისგან. თქვენ არა მხოლოდ ერთად იშრომეთ, არამედ მიანიჭეთ ბავშვს თქვენთან ურთიერთობის სიამოვნება, შეამჩნიეთ სად გაუჭირდა და დაეხმარეთ მას. შექმენით სათანადო სიტუაცია იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს დააკვირდეს თქვენ ქმედებებს. დაე, ის ხედავდეს დედა ან ბებია როგორ ამზადებს სადილს, რეცხავენ, ალაგებენ სახლს, როგორ ასრულებენ კაცურ სამუშაოებს მამა ან ბაბუა. აუხსენით მას საკუთარი და სხვაა დამიანების მოქმედება. გაზარდეთ ბავშვი მიზანმიმართულობა გბაძავდეთ და გეხმარებოდეთ თქვენ: დართეთ მას ნება გადაწმინდოს მაგიდა, მოხვეტოს იატაკი, გარეცხოს საკუთარი ჭიქა, გარეცხოს თქვენთან ერთად ტილო, გააპილასოსოს ხალიჩა.

• არ დაგავიწყდეთ მადლობა გადაუხადოთ გაწეული დახმარებისთვის. შეაქეთ ის, ხაზი გაუსვით მათ მსგავსებას უფროსებთან, მაგალითად „მაშინკა, შენ ისევე ქმნი ოთახში წესრიგს, როგორც დედა“. რა თქმა უნდა, ბავშვების მონაწილეობას დიდების საქმეში მოაქვს ბევრი დაბრკოლება. ცხოვრების მეორე წელს, ბავშვს აინტერესებს არა შედეგი, არამედ თავად მოქმედება. ადრეული ასაკის ბოლოსლა იაზრებს ბავშვი, რომ ნებისმიერი საქმე უნდა გაკეთდეს კარგად, იწყებს შეცდომების შემჩნევას. მაგრამ, თუკი ახლობლები დაიწყებენ მისი აქტივობის შემოსაზღვრას, იმის მოლოდინში როდის გაიზრდება პატარა, მისი მოთხოვნილება იურთიერთოს დიდებთან შეიძლება განელდეს, ხოლო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ჩაქრება. შთაბეჭდილების სიღარიბე და საერთო ქმედებების ნაკლებობა დაატორმუზებენ სიუჟეტური თამაშების განვითარებას – დიდ სტიმულს ბავშვებში ფსიქიკური განვითარებისა.

• არ შეზღუდოს ბავშვის მოქმედება ძალიან მკაცრად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იგრძნობს საკუთარ ძალებში რწმენას. და არ დატოვოთ ყურადების გარეშე პატარას ყველა ჩავარდნა – მოვიყვანოთ მისი ქმედებ კულტურულ ჩარჩოში, მივცეთ სამყაროში მოქცევის ორიენტირი. როდესაც ბავშვი ვერ ხედავს ამ ორიენტირის და ესმის მხოლოდ ყვირილი – „არ შეიძლება“, „გაიწიე“, „გატეხავ“ – ის გრძნობს დაბნეულობას, უჩნდება ახლის შიში, ტირის ან ყვირის, როდესაც რომელიმე საგანი „იქცევა ჯიუტად“ მის ხელში.

• დაეხმარეთ ბავშვს გაითავისოს ყოფითი ქმედებები. ერუდიციული ქმედებების გათავისება მიმდინარეობს ბავშვისთვის ყოფითი უნარების სწავლებისას, ისეთი როგორიცაა: ჰიგიენური წესები, სწავლება როგორ გამოიყენოს კოვზი, სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, საპონი და ა.შ. სწავლება იმისა, თუ როგორ გამოიყენოს ყოფითი საგნები, უნდა იყოს ბავშვისთვის გასაგებ ენაზე. აუცილებლად აუხსენით ბავშვს ყოველი ქმედების არსი: საპონი და წყალი ხდიან ხელებს სუფთას, კბილები უდა გამოვიხეხოთ, იმისათვის რომ ისინი იყვნენ თეთრები და არ აგვტკივდნენ; თმები უნდა დავივარცხნოთ, იმისათვის რომ ისინი იყვნენ ლამაზები. შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით სწავლება საბავშვო ლექსებითა და სიმღერებით.

• გააფართოვეთ ბავსვის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. სიცოცხლის მეორე წლისთვის, როდესაც ბავშვი, ჯერ კიდევ, ძალიან პატარაა დამოუკიდელად რაიმეს გასაკეთებლად, ახლობლები ცდილობენ გააკეთონ ყველაფერი მის ნაცვლად. იმის მიხედვით რაც მეტ უნარს ივითარებს ბავშვი იწყებს ბრძოლას დამოუკიდებელი ქმედებებისათვის. განსაკუთრებული სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ილვიძებს სამი წლის ასაკში. მას უკვე ბევრი რამის გაკეთება შეუძლია დამოუკიდებლად, იცის საყოფაცხოვრებო ნივთების დანიშნულება და გამოყენება, ისწრაფვის, დაეხმაროს უფროსებს, რეცხავს ჭურჭელს,

წმენდს მაგიდას, აპილასოსებს იატაკს, რწყავს ყვავილებს. მხარი დაუჭირეთ ბავშვის ამ მისწრაფებას.

• ათვისების შესაბამისად, მხარი დაუჭირეთ და ენდეთ ბავშვს რომ იმოქმედოს დამოუკიდებლად. აიღეთ საკუთარ თავზე მხოლოდ ის, რაც მას არ შეუძლია გააკეთოს დამოუკიდებლად, დანარჩენი მას დაუთმეთ. აივსეთ მოქმედებით, შეაფერხეთ თქვენში სურვილი გააკეთოთ ყველაფერი ბავშვის ნაცვლად სწრაფად. შეეშვით პენდატიზმსა და უსაზღვრო კონტროლს ბავშვის მიმართ.

• იმისათვის რომ ავუცნობიეროთ ბავშვებს დამოუკიდებლობა, საჭიროა ვანახოთ და ავუხსნათ თანმიმდევრობით ესა თუ ის მოქმედება, ისე რომ, ეს მისთვის გასაგები იყოს.

• აუცილებელზე აუცილებელია ვასწავლოთ ბავშვს აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე საკუთარი დადებითი შედეგების მიღწევისათვის, მიუხედავად იმისა მონაწილობს ამაში გავლენიანი პირი, თუ არა. ეს ეხმარებათ ბავშვებს გაიგონ სისწორე (არასისწორე) საკუთარი არჩევანისა, რადგან არჩევანი, რომელიც ბავშვმა თავად გააკეთა, შესაძლებელია მისთვის იყოს როგორ სიხარულის გამომწვევი, ასევე უბედურების. თუკი საკუთარ ქცევაზე შინაგანი კონტროლი ხდება ბავშვისთვის მნიშვნელოვანი, ეს ხელს უწყობს მასში საკუთარი ღირსების გრძნობის გაღვივებასა და სწორი თვითშეფასების გამომუშავებას. ბავშვები იქევიან ცუდად, როდესაც გრძნობენ საკუთარ უძლურებასა და ორჭოფობას საკუთარ თავში, მაშინაც, როდესაც ჩვენ მათ ვაძლევთ საკუთარ დაწყებულს ან ვაგრძნობინებთ მათ „არაფრისმაქნისობას“. არ აქვს აზრი დავსაჯოთ ბავშვი, რომელიც ისედაც საკუთარ ძალებში ორჭოფობას გრძნობს.

• გაცილებით მეტს შეიძლება მივაღწიოთ, თუკი აღმზრდელობით პროცესში შევიტანთ სიხარულს, და დავეხმარებით ბავშვებს განივითარონ ყველაფერი მომხდარის ირგვლივ ისეთი დამოკიდებულება, რომელიც ცხოვრების მანძილზე მისცემთ მათ საშუალებას გადალახონ ბედის ყველა სიმუხთლე, რომელიც ელოდებათ მათ

ზრდასრულ ცხოვრებაში. ამ მნიშვნელოვანი პროცესის დასაწყისში, გახსოვდეთ, აღზრდის ბევრი პრინციპი, შემოთავაზებული ამ წიგნში, შესაძლოა იწვევდეს სიჯიუტეს, მოთმენას და რა თქმა უნდა, არა მცირე დროს. მაგალითად, თქვენ გინდათ ასწავლოთ პიანინოზე დაკვრა. ცხადია, ამისთვის საჭიროა პრაქტიკა. იგივეა აღზრდის პრინციპების შემთხვევაშიც. ისინიც აუცილებელია „გამოიმუშავო“. თავდაპირველად შეიძლება თქვენ არაფერი გამოგივიდეთ, ან ისე არ გამოგივიდეთ, როგორც გინდათ. მეტი მოთმენა და პრაქტიკა – და რწმენა მოვა თქვენთან. გახსოვდეთ, რომ შეცდომები ასეთ რთულ პროცესში გარდაუვალია.

ირწმუნეთ თქვენი ბავშვის შესაძლებლობები. და თქვენ იქნებით გაოცებული იმით, რასაც თქვენ და თქვენი შვილი მიაღწევთ.

## ბავშვის სწავლების თავისებურებები

• ასწავლეთ ბავშვს სწორი მოქცევა მაგიდასთან. დაეხმარეთ სასადილო ხელსაწყოების გამოყენებაში, ხელსახოცის მოხმარებაში, მასთან ერთად ლამაზად მორთეთ მაგიდა. ჭამის მერე თხოვეთ, რომ თვითონ წაიღოს თეფშები და ჩანგალი გასარეცხად.

• მიეცით ბავშვს თავისუფლება თამაშისა და მეცადინეობის დროს, მიაჩვიეთ ყოველივე ამის დასრულების შემდეგ, ყველაფერი დაალაგოს თავის ადგილზე, სათამაშოები მიალაგოს, წიგნები დადოს თაროზე, გაწმინდოს მაგიდა. შეეცადეთ ეს საქმე ბავშვმა ინტერესით გააკეთოს. ამისათვის გამოიყენეთ სათამაშო მეთოდები. მაგალითად: უთხარით ბავშვს სათამაშოს სახელით, რომ მას მობეზრდა იატაკზე გდება და სურვილი აქვს თავის სახლში (ყუთში) ჩაძრომა. წიგნებს კი, სურვილი აქვთ თავის დებთან ერთად თაროზე განთავსებისა.

• ასწავლეთ ბავშვს ტანსაცმლის ჩაცმა და გახდა, თასმების შეკვრა და გახსნა, ღილების შებნევა. მიაჩვიეთ თავისი თავის მოვლას, ტანსაცმლის გაფრთხილებას. ისწავლოს თმის დავარცხნა, მაისურის ჩაყოლება,

ტანსაცმლის დაკიდება საკიდზე, ფეხსაცმლის დალაგება, საწოლის გაშლა და დალაგება.

• მანამ სანამ, ბავშვს ასწავლით სათამაშოების დალაგებას, შეუქმენით ოთახში სათამაშო კუთხე. გააკეთეთ დაბალი თარო წიგნებისთვის, ფანქრებისთვის, საღებავებისათვის, მანქანებისთვის. დადევით პატარა ყუთი სათამაშოებისათვის, პატარა ზომის მაგიდა და სკამი, რომ მან იქ შეძლოს ხატვა და ძერწვა.

• თუ ბავშვს უძნელდება ან დაუშვა შეცდომა, აუცილებლად გაამხნევეთ, დაეხმარეთ შეცდომის გამოსწორებაში. არასოდეს გაუწყრეთ, არ დასცინოთ, თუ მან შემთხვევით გატეხა ჭიქა, დაასხა წყალი ან დაისვარა, თუ მას რაღაცა არ გამოსდის. უთანაგრძნეთ მას და უთხარით, რომ შემდეგში მას ყველაფერი გამოუვა.

• არ დაგავიწყდეთ შექება მისი დამოუკიდებელი მცდელობებისას, აკურატულობას და შრომისმოყვარეობის გამოვლენის დროს. შეეცადეთ, უთხრათ მადლობა არა უბრალოდ, არამედ კონკრეტული საქმისათვის. „მე ისეთი დაღლილი ვიყავი, შენ კი დამეხმარე მაგიდის ალაგებაში“.

• მიაჩვიეთ ბავშვი უფროსების და საკუთარი შრომის დაფასებას.

• როდესაც ასწავლით პატარას საყოფაცხოვრებო საგნებთან სწორ მოპყრობას, ჯერ თვითონ აჩვენეთ, თუ როგორ უნდა მოეპყრო მათ, მერე თხოვეთ ბავშვს იგივე გაიმეოროს. არ დააჩქაროთ პატარა, მიეცით დრო, რომ მან დამოუკიდებლად გაიმეოროს თქვენი მოქმედება. კეთილგანწყობით გაუკეთეთ კომენტარი მის მოქმედებას. აუცილებლობის შემთხვევაში დაეხმარეთ მას, აიღეთ მისი ხელი თქვენ ხელში და ისე გააკეთეთ სწორი მოქმედება. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ რამოდენიმეჯერ.

• დააკორექტირეთ ბავშვის მოქმედება რბილად, ძალდატანების გარეშე. არ გაუწყრეთ მას არასწორი მოქმედების გამო. ამ ასაკში მთავარია ბავშვის მისწრაფება გააკეთოს ისე როგორც უფროსი აკეთებს და

არა ყველაფრის სწორად გაკეთება. იქონიეთ მოთმინება – რაც ჩვენ გვგონია იოლი, ის ბავშვისთვის ძნელია.

• არ დაგავიწყდეთ ბავშვის შექება მისი მცდელობებისთვის. გაიხარეთ მის მიღწევებზე მასთან ერთად. მისი თანდასწრებით მოუყევით ახლობლებს პატარას მიღწევებზე. ამით აივსება სიამაყით, მიეცემა სტიმული მისი მცდელობების დახვეწისათვის.

• გამოეხმაურეთყველა მის ინიციატივას, გაუწიეთ ანგარიში ყველა მის თხოვნას დახმარების შესახებ.

• მხარი დაუჭირეთ მის ცნობისმოყვარეობას. მკვეთრად გამოხატული ცნობისმოყვარეობა – აუცილებელი წინაპირობაა ბავშვის წარმატებული ფსიქიკური განვითარებისა. ის აქტიურად მიისწრაფის ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად, უყვარს გარემოს დათვალიერება, მალე პოულობს ახალს, ცდილობს გაერკვიოს მასში. მას შეუძლია დიდი დრო დაუთმოს ექსპერიმენტებს ქვიშით, წყლით, საღებავებით, უხარია თავისი აღმოჩენები, ცდილობს გაუზიაროს თავისი სიხარული ახლობლებს. შეეცადეთ გაიზიაროთ მისი სიხარული, ხელი შეუწყვეთ მისი ინტერესის გაღვივებას.

• შეუქმენით პირობები ბავშვს ექსპერიმენტებისთვის, მოუწყვეთ ადგილი და მოუმზადეთ მასალა, ისე რომ, როცათქვენ იქნებით თქვენი საქმით დაკავებული, ბავშვი დარჩეს თვალთახედვის არეში და აუცილებლობის შემთხვევაში გაუწიოთ მას დახმარება. პატარებს ძალიან უყვართ თავისი სათამაშოებით უფროსებთან მოკალათება. თუ თქვენ ამზადებთ საჭმელს, დაისვით ბავშვი გვერდით, მიეცით რკინის ქილები და შესთავაზეთ მათი ერთმანეთზე დაწყობა, ან ქილაში რამის ჩაყრა, ის გაერთობა და ხელს არ შეგიშლით.

სამზარეულოში ან სააბაზანოში შესაძლებელია თამაშის ორგანიზება წყლით. აუვსეთ აბაზანა წყლით, აჩვენეთ როგორ შეიძლება გემების გაშვება ნიგვზის ნაჭუჭით ან პატარა ფიცრის ნატეხით, დაანახეთ რომ, ზოგი სხეული დაცურავს, ზოგი კი იძირება, ასწავლეთ წყლით გაჟღენ-

თილი გუპკის გაწურვა. გარეთ სეირნობისას შეიძლება თამაში ქვიშით, სათლში ჩაყრა და ეგრეთწოდებული პასკების გაკეთება, კოშკების აგება და გვირაბების გაყვანა.

• შეთავაზებებით და შეკითხვებით გაუჩინეთ ბავშვს ინტერესი გამოკვლევებისათვის. მაგალითად: „შეეცადე გახსნა კოლოფი". „შეიძლება ამ ყუთში რამე დევს?", „რა მოხდება თუ რკინას ქვას ვესვრით?", „რას იზამს წყალში ნასროლი ქვა, იცურავებს თუ ჩაიძირება?" შეხედე ჯოხი დაცურავს, ქვა კი ჩაიძირა.

• შეეცადეთ უპასუხოთ ბავშვის ყველა კითხვას, თანც ისე რომ, მისთვის გასაგები იყოს.

• იხარეთ ბავშვის აღმოჩენებზე და გამოგონებაზე, გაუზიარეთ სიხარული ოჯახის სხვა წევრებს, აქეთ პატარა. თუ მას შეუძლია ლაპარაკი შეეკითხეთ, რას აკეთებს, რისი გაკეთება უნდა, დაეხმარეთ მას მოუყვეს მამას, ბებიას, ბაბუას იმის შესახებ თუ რისი გაკეთება მან შეძლო.

• ნუ გაუწყრებით პატარას, თუ მან, ინტერესის გამო გატეხა მანქანა გააფუჭა სათამაშო, დასველდა ან გააჭუჭყიანა ტანსაცმელი. ადრეულ ასაკში ეს აუცილებლად ასე მოხდება. შეეცადეთ მოთმინებით მოეკიდოთ მათ ექსპერიმენტებს და შეეცადეთ ისე მოაწყოთ სათამაშო კუთხე, რომ ადვილი იყოს მისი დალაგება.

ყველა ბავშვს შეუძლია მიაღწიოს მეცნიერულ სიმაღლეებს, თუ სწორად დავინახავთ მის საუკეთესო მხარეებს და ხელს შევუწყობთ შემდგომ განვითარებას.

ჩვენი რჩევაა კარგად შეისწავლოთ თქვენი ბავშვის ქცევები, მისი ინტერესები, შიშები, მიდრეკილებები. ეს მოგცემთ შესაძლებლობას აღზრდის საუკეთესო მეთოდების გამოყენებისათვის. შეეცადეთ გულახდილად გასცეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს პასუხი. ეს დაგეხმარებათ თქვენ გაიგოთ, თუ რამდენად კარგად იცნობთ თქვენს ბავშვს, მის ხასიათს, ტემპერამენტს, ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს.

• რით არის დაკავებული თქვენი ბავშვი ყველაზე მეტად?

• თქვენი ბავშვი ცაციაა თუ არა?

• როგორი ჯანმრთელობა აქვს?

• ხშირად ხომ არ ავადმყოფობს და ხომ არა აქვს ქრონიკული დაავადებები? (გახსოვდეთ, რომ ცხოვრების პირველ წლებში ბავშვის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია, მის ჯანმრთელობაზე.)

• ვინ მონაწილეობს ბავშვის აღზრდის პროცესში ყველაზე მეტად?

• როგორია საფუძველი ბავშვის აღზრდისა ოჯახში და საერთოდ თუ არსებობს ის? არის თუ არა ოჯახში აღზრდის ერთიანი სისტემა, ტრადიციები, მოთხოვნები? როგორ ატმოსფეროში იზრდება თქვენი ბავშვი?

• როგორ როლს თამაშობს ბავშვის აღზრდაში მამა?

• რომელია ბავშვის საყვარელი სათამაშო?

• როგორ ფიქრობთ, რატომ მოსწონს მას ის?

• ინფორმაციის აღქმის რომელი ხერხია ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი თქვენი ბავშვისთვის: სმენითი, მხედველობითი? თუ უფრო კარგად აღიქვამს სხვებთან კონტაქტისას?

• უყვარს თუ არა ბავშვს წიგნები? ათვალიერებს (კითხულობს) წიგნებს თვითონ, თუ ურჩევნია როდესაც ამას სხვა აკეთებს? (სასურველია გაიგო აღზრდის რომელი მეთოდი უმჯობესია თქვენი ბავშვისთვის.)

• თქვენი ბავშვი აქტიურია თუ წყნარი?

• როგორია თქვენი ბავშვის ტემპერამენტი? (ეს დაგეხმარებათ თქვენ ბავშვთან პედაგოგიური აღზრდის მეთოდების შესარჩევად: ზოგ ბავშვს მეცადინეობისას შეუძლია დიდხანს ბეჯითად ჯდომა ერთ ადგილზე, ზოგს კი აუცილებლად სჭირდება შესვენება სამოძრაოდ, ან მეცადინეობისას უშუალოდ უნდა მოძრაობდეს.)

• რა დონეზე აქვს ბავშვს მიცემული თავის თავთან ყოფნის შესაძლებლობა და მოსწონს თუ არა მას

დამოუკიდებლად ყოფნა? ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ბევრი ბავშვი – „ჩაკეტილაი“ არიან თავისი ბუნებით და ვერ იტანენ საზოგადოებაში დიდი ხნით ყოფნას. სხვები პირიქით – თავს კარგად გრძნობენ კოლექტიური ღონისძიებების დროს.

• როგორი სახით მიმდინარეობს თქვენი მხრიდან განვითარების პროცესი ბავშვთან?

• როგორი თამაშები უფრო მოსწონს მას: ლოგიკური თავსატეხები, მოზაიკები, წიგნები, ლოტო, მუშაობა სახატავ ხელსაწყოებთან?

• ბავშვი თვითონ ასრულებს თქვენს მიერ მიცემულ დავალებებს, თუ თხოულობს თქვენს დახმარებას?

• რამდენ დროს ხარჯავს ის, დავალების შესასრულებლად?

• მეცადინეობს ის ბეჯითად თუ გაფანტული აქვს ყურადღება?

• უხარია თუ არა მას მეცადინეობა?

• აქვს თუ არა ბავშვს სახლში შრომითი მოვალეობები?

• რომელია ეს მოვალეობები და როგორ ასრულებს ის მათ?

• აუცილებელია მისთვის მოვალეობების შესრულების შეხსენება, თუ ის დამოუკიდებლად ასრულებს მათ?

• ჰყავს თუ არა ბავშვს თანატოლი მეგობრები და უყვარს თუ არა მათთან თამაში?

• როგორი რეაქცია აქვს თქვენ ბავშვს ქებაზე? შენიშვნაზე? აკრძალვაზე?

მთავარია ბავშვმა არ განიცადოს გრძნობა არასრულყოფილების, არ უნდა აფიქრებინოთ, თუ მას რაიმე არ გამოსდის ეს ნაკლოვანებაა. მშობლის წუხილმა შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ინტელექტუალური პასიურობა – სწავლის სრული უარყოფა და სიხარულის შეგრძნების უნარი. თუ მოუკლავთ ერთხელ ბავშვს მეცადინეობის სურვილს, შესაძლებელია ის მან სამუდამოდ დაკარგოს.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აღზრდის მეთოდები რომლებიც ცალკე აღებული ერთი ბავშვისთვის დადებით ეფექტს იძლევა, შესაძლებელია სხვა პიროვნებისთვის არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდეს.

ყველა მეთოდი რომლიც აღზრდისას გამოიყენება – შექებით დაწყებული და დატუქსვით დამთავრებული, სხვადასხვაგვარად ახდენს გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაში. თუმცა ბავშვი, რაც შეიძლება მეტი უნდა აქო, რომ მან შეძლოს თავისი ძალების რწმენა. ზოგ შემთხვევაში უმჯობესია თავი შევიკავოთ ზედმეტი ქებისაგან, რადგან ამან შეიძლება მოიტანოს ზედმეტი თავდაჯერებულობა. იგივე შეიძლება ითქვას ზედმეტ შენიშვნებზე. (მხედველობაში გვაქვს ისეთი სახის შენიშვნები როგორიცაა: „უკეთესი იქნებოდა თუ მეტ ყურადღებას გამოიჩენდი, მაშინ ნახატი უკეთესი გამოგივიდოდა.“)

თავდაჯერებულ და არა თვითკრიტიკულ ბავშვს დავალება უნდა მისცე  შედარებით ძნელი, რომელიც მოითხოვს მეტ შრომას და ყურადღებას. დავალების შესრულების შემდეგ უნდა გამოყოთ შეცდომები და გაამახვილოთ მათზე ყურადღება. მორიდებული ბავშვის შემთხვევაში იგივე მოქმედება ზიანის მომტანი იქნება, ბავშვი შეიძლება ჩაიკეტოს თავის თავში და დამღუპველ შედეგს მივიღებთ.

თუ თქვენ იპოვით ბავშვის ძლიერ მხარეს და მისცემთ შესაბამის დავალებებს, მათი შესრულების შემდეგ ბავშვს განუვითარდება თავდაჯერებულობა. ყოველივე ამ წარმატებების შემდეგ ის მოითხოვს ახალი დავალებების შესრულებას, იმის იმედით, რომ ის მას წარმატებით შეასრულებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას.

ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ინდივიდუალური სწავლების – შესაძლებლობაა ბავშვისთვის ჩამოაყალიბოს მხოლოდ მისთვის მისაღები სწავლების მეთოდები.

## და ისევ დასაწყისის გაგრძელება...

საბავშვო ბაგა-ბაღის ნამდვილ თვითმფრინავში გახსნის იდეა იყო... მაგრამ განხორციელება? – იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდი, მიზანი ბავშვების საბავშვო ბაღში ხალისით წასვლა იყო, რომ მათ სათუთ თვალებზე ცრემლების არავის ენახა... ჰოდა, მივაღწიოთ ამ მიზანს, მაგრამ არა სრულყოფილად, ახლა ბავშვები, საბავშვო ბაღში მოსვლისას კი არა, ბაღიდან სახლში წასვლისას ტირიან, არ ეთმობათ უდიდესი სათამაშო – თვითმფრინავი, ეს ხომ მათი ლაინერია...

## სარჩევი

ჩემი ბაღი თვითმფრინავში ........................................ 3
დასაწყისი ............................................................... 6
ამ ქალაქში დღესაც ახსოვთ ეს ისტორია... ................ 9
ყველაფერი ოცნებით იწყება ...................................... 11
ძველი „იაკი“-ს ახალი ისტორია .............................. 17
მსოფლიოს საბავშვო ბაღები ..................................... 23
ყველაზე საინტერესო... ............................................ 30
მსოფლიოს უჩვეულო საბავშო ბაღები ...................... 39
არაჩვეულებრივი იდეა .............................................. 40
პატარა „პილოტები“ ................................................. 41
არის ასეთი საბავშვო ბაღი ...................................... 43
ძეგლი „იაკ-40“-ს .................................................... 44
ფრენაში – პატრა ასაკიდანვე ................................... 52
ქართველი ბავშვები მიისწრაფვიან ცისკენ .............. 57
საქართველოს სიამაყე .............................................. 62
ისევ დასაწყისის გაგრძელება .................................. 65
ზეაღმაფრენა ............................................................ 67
ბაგა-ბაღი თვითმფრინავში – ქართული პროექტი,
რომელსაც ანალოგი არ აქვს .................................... 68
„თვითმფრინავი VIP – მგზავრებისთვის“ ................ 74
ისევ დასაწყისის გაგრძელება... ............................... 77
ბავშვი სუსტი ნერვული სისტემით (მელანქოლიკი) .. 78
ასაკობრივი თავისებურებები
ცხოვრების პირველ წელს ........................................ 98
რითი იწყება აღზრდა? ........................................... 104
მომავალი დედა ...................................................... 105
ოჯახში აღზრდის საერთო წესები ........................... 107
ბავშვში პიროვნების ფორმირება ............................ 109
ბავშვის სწავლების თავისებურებები ..................... 119
და ისევ დასაწყისის გაგრძელება... ....................... 126

Gari Chafidze

(My Kindergarden at the plane)

რედაქტორი – ლიუბოვ გვილავა
მხატვრული რედაქტორი – მაკა სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი – ირაკლი კორძახია
კორექტორი – ნაზიბროლა კაპანაძე

ქ. რუსთავი
გამომცემლობა „აკადემიური ქალაქი“
2020


Georgian



ამ ქვეყნად მარადიული არაფერია... როგორც ცოცხალი არსება, ისეა ტექნიკაც, ჯერ იდეის ჩანასახია, შემდეგ დაბადება, მერე განვითარება... გარკვეული წარმატებებით – გარკვეულ სიმაღლეებზე ასვლა... საკუთარი ხელწერის დამკვიდრება, დაბერება და... არა! ეს თვითმფრინავი „იაკ-40“, რომლის შესახებაც თავისი ორმოცდაათტომეულის ოცდამეთერთმეტე წიგნში მოგითხრობთ იდეის ავტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, არ გარდაცვლილა, არც არავის გაუნადგურებია, მან თავისი მრავალწლიანი საფრენი კარიერის დასრულების შემდეგ, ისევ განაგრძო აქტიური სიცოცხლე, სიცოცხლე vip მგზავრებისათვის, ეს „განსაკუთრებული მგზავრები“ კი ჩვენი შვილები არიან!